პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული. რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს. ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58.

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49. ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.

ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელ. 13—80.

სამშაბათი, 1 დეკემბერი 1925 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 276 (1431)

დღიური

— გერმანიის პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა ხელი მოაწერა ლოკარნოს ხელშეკრულებას.
— პოლონეთის ჯარებში დაიწყო გაქცევა.
— საფრანგეთში შედგა ახალი მთავრობა ბრიანის თავმჯდომარეობით.
— ეგვიპტეში ოსმალეთის რეაქციონერებმა დემონსტრაცია გამართეს.
— ანრი ბარბიუსის გამგზავრების შემდეგ რუმინეთის ჟანდარმებმა გააძლიერეს ტერორი გლეხების და მუშების წინააღმდეგ.

საქართველოს კომპარტიის მეოთხე ყრილობა

ყრილობის პირველი დღე

გუშინ, სალამოს, რვის ნახევარზე, სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის მეოთხე ყრილობა. პირველ სხდომას უაღრესად საზეიმო ხასიათი აქვს. საქართველოს და ამიერ-კავკასიის ფედერაციის დედა-ქალაქის პროლეტარიატი აღფრთოვანებით ესალმება ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსულ დაუღალავ მუშაკებს პარტიული და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისას, ესალმება ამ აღმშენებლობის „შავ მუშებს" და იმავე დროს მის მესვეურებს და პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს. არაჩვეულებრივი და შეიძლება ჩვენში ჯერ გაუგონარი ერთსულოვანობა ისმის ამ აღფრთოვანებულ მისალმებებში და თავისებურ ისტორიული მნიშვნელობის ელფერს აძლევს მათ. ის გულის სიღრმიდან ამოხეთქილი გულწრფელი სიტყვები, რომლებშიც გამოხვეულია აზრი და გრძნობა მრავალი უპარტიო მუშათა დელეგაციებისა ჩვენი წარმოების და საქალაქო მეურნეობის სხვადასხვა დარგებიდან. ამ საზეიმო გამოსვლებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ მუშები, რომლებიც წინეთ მისდევდენ ყოფილ მენშევიკურ პარტიას.

გვიგულეთ ამიერიდან როგორც ძმები და „ბასრი ხმალი" (ასე თქვა ერთი დელეგაციის მეთაურმა მუშამ), რომელიც თქვენთან ერთად დაიცავს დიდი რევოლუციის მონაპოვართ და სასიკვდილოთ ექცევა მშრომელი ხალხის მტრებს, იქნებიან ესენი გარედან მოსულნი, თუ შინაურები.

კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დაუღალავმა მუშაობამ და ჩვენმა მიღწევებმა ამეტყველეს ასე მუშები, რომლებმაც დაინახეს თავიანთი თვალით ეს მიღწევები, გაიმსჭვალენ და შეიგრძნეს სიდიდე ამ მუშაობისა და მისი შედეგების.

მაგრამ არა მარტო სოციალ-პოლიტიკური მომენტებით ხასიათდება ერთსულოვანებისა და სოლიდარობის დემონსტრაცია, რომლის შესანიშნავი სურათი გადაგვიშალა გუშინ ჩვენი პარტიის ყრილობის პირველმა სხდომამ. აჭარელი ამხანაგის გამოსვლამ, რომელმაც გამოიწვია უდიდესი აღფრთოვანება, ხაზი გაუსვა მეორე ხასიათის გარემოებას, ნაციონალურ მომენტს ჩვენს მუშაობაში და მიღწევებში. გულახდილათ შეგვიძლია ჩვენ გავიმეოროთ ყველა მტრების გასაგონათ ის, რაც არა ერთხელ გვითქვამს და იციან ჩვენმა მეგობრებმა: ჩვენმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ მოუტანა საზოგადოთ მთელი კავშირის, კერძოთ ამიერ-კავკასიისა და განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის ხალხებს ერთა შორის მშვიდობიანობა და განამტკიცა ის. ამას ვერ ხედავს ძალათ დაბრმავებული და ყურებ გამოძეველი, მაგრამ ეს დასანანია და ხელშესახები მათთვის, ვინც დღეს სარგებლობს ამ მშვიდობიანობით. ამ აზრმა ჰპოვა გამოხატულება უპარტიო ფუხარათა მისალმებაში არა მარტო სიტყვით, არამედ კოცნით, რომლითაც მიეგება თავისი სიტყვის გათავების შემდეგ პრეზიდიუმის წევრებს ამხ. დიასამიძე.

ასეთი დიდი ერთსულოვანობით აღინიშნა ყრილობის საზეიმო სხდომა, თავდები მისი სოლიდარული მუშაობის და გამარჯვების.

ერთსულოვანების და სოლიდარობის ზეიმი

(შთაბეჭდილებანი)

ელექტრონით განათებულ ოპერის თეატრის დარბაზს დღეს განსაკუთრებული გამომეტყველება აქვს. არსად მოსჩანან ფრაკებში გამოწყობილი, თავმოწონე მამაკაცები და დეკოლტიანი ქალები ბინოკლებით და ლორნეტებით ხელში.

თეატრი სავსეა სადათ ჩაცმულ, ზოგ შემთხვევაში სამუშაო ტანისამოსით მოსულ დელეგატებით. პარტერი, ეს ყოველი თეატრის მუდამ არისტოკრატიული „უბანი" გაჭედილია ქალაქის და სოფლის დემოკრატიით. აქ უმთავრესად დელეგატები მოთავსებულან. სხვა ადგილები კი დათმობილი აქვს სტუმრებს, რომლებიც დღეს უხვად მოწყდომია ოპერის თეატრს.

ყველგან საქმიანი საუბარი, ყველგან ყრილობის დღის წესრიგზე მსჯელობა და მეგობრული გამოცნაურება სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ დელეგატებს შორის. ვერსად გაიგონებთ სენტიმენტალურ დამების ნაღვლიან ამოხვრას დონ-ხოზეს მწველ თვალების ან ევგენი ონეგინის ტანჯვის შესახებ. ყველგან და ყოველივეს საქმიანი ელფერი აზის...

ფარდა... ყრილობას ხსნის მოხუცი, ვერცხლოვან წვერებიანი მიხა.

სცენაზე მოსჩანს ლენინის წითელ დროშებით შემოსილი ბიუსტი. ყველას აზრი, ყველას ფიქრი იმისკენაა, ვის სახელთანაც განუყრელათ დაკავშირებულია დიდი ოქტომბერი.

„საყვარელი ილიჩი"—ასე უწოდა მას თავმჯდომარემ თავის სიტყვაში..

მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს. იგონებს დარბაზი დიად ბელადს, იგონებს საქართველოს ბოლშევიკური ყრილობა კომუნიზმისთვის დავადებულ მებრძოლთა უკანასკნელ მსხვერპლებს-„საყვარელ ილიჩის" მოწაფეებს...

შემდეგ ყრილობის ორგანოების არჩევნები... ვერ ასწრებს თავმჯდომარე რომელიმე წინადადებაზე „ვინ არის მომხრეს" წარმოთქმას, რომ დარბაზი წითელი მანდატების ტყით იფინება. იშვიათი ერთსულოვნება, იშვიათი სოლიდარობა და თანხმობა...

მუშათა დელეგაციების მისალმებები... შრომაში გაკაჟებულ მოხუც პროლეტარების გულის სიღრმიდან ამოხეთქილი წრფელი სიტყვები... დაუსრულებელი ოვაციები და ტაშის გრიალი...

უკანასკნელათ საბჭოთა აჭარისტანის ფუხარა გლეხების გამოსვლა... რა აღტაცების იწვევს მთელ დარბაზში, როცა აჭარელი დელეგატი ყრილობას მიუძღვნის აჭარელ გლეხის ფიცრულზე გაკეთებულ მთელ კარმიდამოს: ოდა სახლით, ნალიით და ბეღლით.

მეორე დელეგატს მოაქვს მანდარინებით აზვინული მთელი თაბახი და ფორთოხლებით დატვირთული პატარა ნავი.

„თქვენ სპობთ თოფსა და წამალს, თქვენ ომის და ხალხთა შორის მტრობის წინააღმდეგნი ხართ და ამიტომ უყვარს ფუხარა ხალხს კომუნისტური პარტია", ამბობს ერთი მათგანი.

„აჭარას ვერავინ გამოჰგლიჯავს საბჭოთა საქართველოს. თუ საქართველო გადადუღდა, მასთან ერთად გადადუღდება აჭარისტანიც", აცხადებს მეორე აჭარელი გლეხი.

და დასასრულ, როგორც ეს ჩვევაა ფუხარა აჭარელის წრფელ და ძმურ გრძნობის გამოხატულებას, ამხ. დიასამიძე, სათითაოდ დაუვლის პრეზიდიუმში მჯდომ ამხანაგებს: მიხას, სერგოს, მამიას, ფილიპეს და სხვებს და მხურვალეთ ჰკოცნის მათ...

დარბაზი ჰქუხს, დაუცხრომელი ტაში გრიალებს...

ყრილობის პირველივე სხდომა მთლიანობის და ერთსულოვნობის ნამდვილ დემონსტრაციად გადაიქცა. ეს სურათი ყველას სიხარულით უვსებს გულს.

ერთსულოვნობა კომპარტიის გამარჯვების პირველი და მთავარი პირობაა.

ფიცხალი.

საზეიმო სხდომა

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა

ამხანაგებო, საქართველოს კომუნისტურ პარტიის მეოთხე ყრილობის პირველ საზეიმო სხდომას გახსნილათ ვაცხადებ. (მხურვალე ტაში. ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს).

ამხანაგებო, სანამ შეუდგებოდეთ ყრილობის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებას, ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვით შევეხო ჩვენი მუშაობის იმ ხანას, რომელმაც განვლო წარსულ მესამე ყრილობიდან დღევანდელ ყრილობამდე.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის მესამე ყრილობას, როგორც იცით, თან მოჰყვა კომუნისტურ პარტიის ამიერ-კავკასიის ყრილობა და ამ უკანასკნელს კი—კომპარტიის საერთო ყრილობა საბჭოთა კავშირის ფარგლებით. ყველა ამ ყრილობების დადგენილებები აქ დამსწრე ამხანაგებს საკმაოთ კარგათ აქვთ შეთვისებული და ურყევათ ატარებენ ცხოვრებაში. პარტიის წარსული ყრილობები იმ დროს შეიკრიბენ, როცა ჩვენი უდიდესი ბელადი და ხელმძღვანელი საყვარელი ამხანაგი ილიჩი ხორციელათ ჩვენთან აღარ იყო. მაგრამ ამ ყრილობების მუშაობა მთლიანად ამხ. ლენინის აღთქმათა გავლენის ქვეშ მიმდინარეობდა.

ილიჩის დაკარგვის შემდეგ ჩვენს რიგებს გამოაკლდა აგრეთვე ბევრი მისი ღირსეული მოწაფე და პარტიის თვალსაჩინო წევრები. მოგიწოდებთ პატივი სცეთ ილიჩის ხსოვნას და ჩვენს რიგებიდან სიკვდილის მსახვრალი ხელით გამოთიშულ მის ღირსეულ მოწაფეებს, პარტიის თავდადებულ მებრძოლებს (დელეგატები ფეხზე დგებიან. მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს).

ამნაირათ, ამხანაგებო, მიუხედავათ იმისა, რომ პარტიის წარსული ყრილობები ჩატარდა მძიმე სულისკვეთების ქვეშ, რომელიც გამოიხატებოდა დიადი ბელადის დაკარგვის ღრმა მწუხარებაში, კომპარტიის ბოლშევიკური რიგები არ შერყეულა. განვლილი ხნის განმავლობაში ის კიდევ უფრო გაიზარდა რიცხობრივათ, ორგანიზაციულად და იდეურათ.

მის რიგებში თავი მოიყარა მუშების ასიათასებმა. მის ორგანიზაციებში დაირაზმა პროლეტარიატის ახალი კადრები, იმ პროლეტარიატის, რომლის დიქტატურის ქვეშაც იმყოფება დედამიწის ერთი მეექვსედი.

თუ ერთ დროს იყო ამიერ-კავკასიის ნაციონალურ კომპარტიებში ერთგვარი გადახრები ან ოპოზიციონური მიდრეკილებანი, ეს შავი მოვლენა დღეს, შეიძლება თამამად ითქვას, სავსებით აღმოფხვრილი და გადალახულია. რა დასამალავია, ასეთ გადახრებს ადგილი ჰქონდა არა მარტო ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკათა პარტიულ ორგანიზაციებში, არამედ რუსეთის კომუნისტურ პარტიის რიგებშიაც და კომინტერნშიაც კი, საერთაშორისო მასშტაბით.

მაგრამ, ამხანაგებო, ეს ტკივილები ისე, როგორც ჩვენში, საბოლოოთ დაძლეულ იქნა სხვა ჩვენს მოძმე პარტიებში და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაშიაც. კომპარტიის ციხეს, ამრიგათ, შიგნიდან გატეხის აღარავითარი საფრთხე არ მოელის. ის ოპოზიციონურად განწყობილი ამხანაგები თითქმის მთლიანად დაუბრუნდენ პარტიის საერთო ხაზს და დღეს მის ურყევათ გატარებისათვის თავდადებით მუშაობენ.

ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა გერმანიის კომპარტიის დღევანდელი ვითარება. აქ ბოლო მოეღო ყოველგვარ უთანხმოებას და პარტიის ხაზის დამახინჯებას, როგორც მარცხნიდან, ისე მარჯვნიდან. სწორმა ბოლშევიკურმა, ლენინისტური ხაზმა სრული გამარჯვება ჰპოვა და თავის გარშემო შემოიკრიბა პარტიულ ორგანიზაციის დიდი და საუკეთესო შემადგენლობა.

ასევე გამარჯვებით გამოვიდა შინაურ უთანხმოებებიდან ჩეხო-სლოვაკიის კომპარტია, რომელიც ერთ-ერთ მძლავრ და მასიურ პარტიას წარმოადგენს დასავლეთ ევროპაში. ამ პარტიამ სახელოვანი გამარჯვება ჰპოვა უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში და მით ერთხელ კიდევ დაუმტკიცა მუშათა კლასის მოსისხლე მტრებს და მის ლაქიებს კომუნისტურ პარტიის ცხოველმყოფელობა და მისი ძლევამოსილება.

თუ გადავხედავთ საფრანგეთის კომპარტიას, აქაც ასეთ მთლიანობასთან და ერთსულოვნობასთან გვაქვს საქმე. თავგამოდებით იბრძვის აგრეთვე ინგლისის ნორჩი, მაგრამ მტკიცეთ ჩამოყალიბებული კომუნისტური პარტია. ოპორტუნისტულ ტრედ-იუნიონიზმის სენით შეპყრობილი ინგლისის პროლეტარიატი თანდათან აღწევს თავს შეთანხმებლების იდეურ ტყვეობას და კომუნისტურ პარტიის მეოხებით პროლეტარულ რევოლუციის დროშის ქვეშ ირაზმება. ინგლისის ნორჩი კომპარტია დაუღალავ პროპაგანდას აწარმოებს პროლეტარიატის რევოლუციონურ ბრძოლისათვის დასარაზმავათ, რომელიც დაყრდნობილი იქნება მეცნიერულ მატერიალიზმის საფუძველზე.

აქაც, ამხანაგებო, საქართველოს კომპარტიის რიგებშიაც მალე შეიგნო მოდავე მხარეებმა, რამდენად აუცილებელი იყო პარტიის მთლიანობა და ერთსულოვანი თანამშრომლობით მისი რიგების [illegible] უმთავრესად ამას უნდა მიეწეროს რომ ჩვენ ასე ადვილათ ვძლიეთ შარშანდელი აგვისტოს ავანტიურა, რომელიც საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტებმა, მშრომელი ხალხის მოსისხლე მტრებმა—მენშევიკებმა და მათ მაჩანჩალა ანტიკომუნისტურ პარტიებმა მოგვიწყეს.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ დღეს საბჭოთა ხელისუფლებას მტრები სავსებით აღარ მოეპოვება. დღეს კიდევ დარჩენილან შინ და გარეთ თითო-ოროლა რევოლუციის მოსისხლე მტრები, რომლებიც ახლაც კიდევ ავანტიურისტულ გუნებაზე არიან განწყობილნი. ეს ფაქტი ჩვენ ერთხელ კიდევ გვეუბნება, რომ საჭიროა მტკიცედ განვაგრძოთ სვლა ერთსულოვნობის და მთლიანობის გზით საბჭოთა ხელისუფლების და პროლეტარულ რევოლუციის მტერთა და ორის გულთა სავალალოდ.

ჩვენი ქვეყანა, სადაც დღეს საქართველოს კომუნისტური პარტია მოღვაწეობს, პარტიულად და სახელმწიფოებრივათ, ევროპის ბურჟუაზიას თავის საკბილოთ მიაჩნია. მას ამაში ხელს უწყობს ყვითელ სოციალიზმის მოციქულები მეორე ინტერნაციონალის სახით. ამიერ-კავკასიის კომპარტიების და კერძოთ საქართველოს კომუნისტურ ორგანიზაციების მდგომარეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ჩვენ ვართ ჩაგრულ აღმოსავლეთის მრავალ მილიონიან ხალხთა მოსაზღვრე რესპუბლიკები. აღმოსავლეთში კარგა ხანია დაწყებულია ბრძოლა იმპერიალისტურ მძარცველობის წინააღმდეგ და [illegible] ფართო ხასიათს ღებულობს.

ამის მოწამე ვართ ჩვენ, სხვათა შორის, დღევანდელ ჩინეთში, სადაც განუწყვეტელი სამოქალაქო ომის ცეცხლია დანთებული. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მრავალტანჯული ჩინეთი ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვა (ტაში).

გუსურვებ მეოთხე ყრილობას კიდევ უფრო განამტკიცებდეს ის კავშირი და ურყევი ამხანაგური სოლიდარობა, რომელიც განსაკუთრებით აღინიშნა წარსულ ყრილობის მუშაობით და რომელიც მტკიცედ ტარდებოდა ცხოვრებაში დღევანდელ ყრილობამდე. მე ვისურვებდი, რომ ყრილობის დღის წესრიგში დასმული მნიშვნელოვანი კითხვები ღირსეულათ გაერკვიოს და გადაეჭრას ჩვენი პარტიის უზენაეს ორგანოს და აქედან დაბრუნებული დელეგატები განახლებული სიცხოველით, განახლებული ენთუზიაზმით შედგომოდენ ადგილებზე მუშაობას სოფელსა და ქალაქ შორის ურყევ კავშირის გასაბმელათ და მტკიცე რევოლუციონურ ფრონტის შესაქმნელათ (მხურვალე და ხანგრძლივი ტაში).

ყრილობის ორგანოების არჩევნები

პრეზიდიუმი

პრეზიდიუმში ერთხმად არჩეული არიან:

1) ველხკი, 2) გოგია, 3) გეგეშიძე, 4) გეგეჭკორი, 5) დოლიძე ანდრო, 6) ჯატიევი, 7) უღენტი, 8) ქართველიშვილი, 9) კახიანი, 10) ყურულაშვილი, 11) ქურდაძე, 12) ქავთარაძე ლადო, 13) კვანტალიანი, 14) კვაჭაძე, 15) ლაკობა, 16) ლუკაშინი, 17) ლორთქიფანიძე, 18) მახარაძე, 19) მელაძე, 20) ნაზარეტიანი, 21) ორჯონიკიძე, 22) ორახელაშვილი, 23) ოკუჯავა, 24) ფანცულაია, 25) რატნეკ, 26) სუხიშვილი, 27) სტურუა ვანო, 28) ცხაკაია, 29) შაბანოვი, 30) ელიავა, 31) ენუქიძე და 32) დარახველიძე.

სარედაქციო კოლეგია

1) ასრიბეკოვი, 2) ხახტაძე გ., 3) ვარამაშვილი, 4) გოგობერიძე, 5) კიკნაძე ნიკოლოზ, 6) გიორგაძე და 7) საყვარელიძე.

სამდივნო

1) ჟვანია, 2) კოსტანიანი, 3) სვანიძე, 4) ურუშაძე და 5) წულუკიძე.

სამანდატო კომისია

1) არუთინოვი, 2) ვართაპეტოვი, 3) გობეჯიშვილი, 4) ივანოვ-კავკაზსკი, 5) მაშკევიჩი, 6) რამიშვილი და 7) სიამაიშვილი.

საპატიო თავმჯდომარეები

საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: სტალინი, ბუხარინი, ზინოვიევი, რიკოვი, კრუპსკაია, ენუქიძე, კამენევი, ტროცკი, ვოროშილოვი და კლარა ცეტკინ. (დელეგატები ტაშის ცემით ეგებებიან საპატიო პრეზიდიუმის სიას).

დღის წესრიგი

1) ცენტრალურ კომიტეტის ანგარიში;
2) სარევიზიო კომისიის ანგარიში;
3) საკონტროლო კომისიის ანგარიში;
4) პროფკავშირების ამოცანების შესახებ;
5) საქართველოს მრეწველობა და მისი პერსპექტივები;
6) სოფლად მუშაობა და საბჭოთა ქვედა აპარატის გადარჩევა;
7) პარტიის ცენტრალურ ორგანოების არჩევა და ამიერ-კავკასიის მე-4 და საკავშირო მე-14 პარტყრილობის დელეგატების არჩევა.

მისალმებანი

სცენაზე გამოდის ძველი მუშა ამხ. დავით ლორთქიფანიძე. მას თან ახლავს მთავარ სახელოსნოების დელეგატი მუშები. დელეგაციას ხელში უჭირავს მთავარ სახელოსნოების მუშების მიერ გაკეთებული ორთქლმავალის წინა ნაწილი, ბუფერი (თეფშებით და ფარკოფილებით), რონოდის თვალის გამომხატველი ლითონის პრესპაპიე და ორთქლმავლის ფანარი. ყრილობა მთავარ სახელოსნოების დელეგაციას ხანგრძლივი ტაშით ეგებება.

ამხ. დ. ლორთქიფანიძე

ამხ-ბო, თბილისის მთავარ სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეთა სახელით მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, საქართველოს მშრომელთა რევოლუციონურ ავანგარდის, კომპარტიის უზენაეს ორგანოს. საქართველოს მშრომელ ხალხს მრავალი ჭაპანწყვეტა გადაუტანია ცარიზმის დამხობისათვის ბრძოლაში. რევოლუციის ისტორიაში თბილისის მთავარ სახელოსნოების მუშების არა ერთი სახელოვანი ბრძოლის ფურცელი ჩაიწერება.

დიდი ოქტომბრის და კერძოთ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ადგილი ჰქონდა ჩვენში ერთგვარ მერყეობას და ყოყმანობას. მაშინ კიდევ არ იყო სავსებით გაფანტული ოპორტუნიზმის მხრით მოწამლული ჰაერი, რომელსაც ათეულ წლობის განმავლობაში ჰფანტავდა ჩვენში სხვადასხვა წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები.

მრავალი მტრები ჰყავდა საბჭოთა ხელისუფლებას. ბევრი ჰფიქრობდა წყალი აემღვრია და ამით თავისი შავბნელი საქმეები მოეჭახრაკებინა. შარშანდელმა აგვისტოს ავანტიურამ საბოლოოთ აახადა ფარდა ყველაფერს. დღეს ყველამ იცის სად არის მტერი და სად მოყვარე. დღეს მთავარ სახელოსნოების მუშები მზათ არიან როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგენ საბჭოთა ხელისუფლების მტრების ასალაგმავათ.

საქართველოს კომუნისტურ პარტიას შეუძლიან დაიმედებით იყვეს, რომ ჩვენი მუშები მტკიცეთ და მაღლა ატარებენ იმ დროშას, რომელიც მათ მოიპოვეს დიდი ოქტომბრის და საქართველოს თებერვლის მეოხებით.

ჩვენი რევოლუციონური გამძლეობა და თავდადება, ისევე ურყევი და შეუდრეკელი იქნება, როგორც ორთქლმავლის ეს ნაწილი. (მხურვალე ტაში).

ამხ. რაზმაძის სიტყვა

(თბილ. დეპო)

ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ მენშევიკურმა ავანტიურამ ჩვენში სასტიკი დამარცხება იგემა. მე და ჩემთან აქ მოსული ამხანაგები, ყოფილი მენშევიკები ვართ. მიუხედავათ ამისა, ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ ამ ფაქტს, რადგან დღეს უკვე აღარავისთვის სადაო არ არის, საით მიჰყავდა ჩვენებურ სოციალ-დემოკრატიას საქართველოს მშრომელი მასების მისგან გაბრიყვებული ერთი ნაწილი.

მენშევიკების დამარცხება უმთავრესად იმიტომ მოხდა, რომ აქ, თბილისში და კერძოთ დეპოში, მათმა გამოსვლამ ვერ ჰპოვა ვერც ერთი მუშა, რომელიც ამ ავანტიურას მხარში ამოუდგებოდა. (ტაში).

დღეს მენშევიკური პარტია იდეურათ [illegible] 1923 წლის აგვისტოში ის [illegible] 12 ათას მუშამ და გლეხმა და შარშანდელ ავანტიურის შემდეგ მას საბოლოოთ ზურგი შეაქცია 11 ათას პარტიის წევრმა.

ჩვენ, უპარტიო მუშები, ფიცსა ვდებთ საქართველოს კომპარტიის მე-4 ყრილობის წინაშე, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ დიდი ოქტომბრის მონაპოვარს. მიიღეთ ჩვენგან ეს მცირე საჩუქარი (დელეგაცია პრეზიდიუმს გადასცემს ორთქლმავლის ცალკე ნაწილების მოდელებს) და სრული იმედი იქონიეთ, რომ თბილისის დეპოს მუშები ჭირშიაც და ლხინშიაც განუყრელათ თქვენთან იქნებიან. (მხურვალე ტაში).

ამხ. კაციტაძის სიტყვა

(ზაჰესი)

ამხანაგებო, ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ მარქსიზმის მოძღვრების რევოლუციური ბუნება მხოლოდ კომპარტიამ შეითვისა და მხოლოდ მან შეასხა ამ მოძღვრებას პრაქტიკულ მუშაობის ხორცი. კომუნისტურ დროშით ხელში, ჩვენ წინ წავალთ მედგრათ მსოფლიო რევოლუციის კოცონის დასანთებათ, სადაც უნდა დაიფერფლოს კაპიტალისტურ წარმოების დრომოჭმული წესი და თავისუფლება მოიპოვოს მშრომელ კაცობრიობამ. მიიღეთ ჩვენგან ზაჰესის მშენებლობის სხვადასხვა დროს გადაღებული ფოტოგრაფიული სურათები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს კომპარტიის შემდეგ ყრილობისათვის ელექტრონის შუქით მოეფინება საბჭოთა საქართველოს დედა-ქალაქს და მის მიდამოებს. (ტაში).

ამხ. სტოლიარჩიკი

(ელექტრონის წარმოებათა მუშა)

(მას სხვებთან ერთად სცენაზე გამოაქვს ელექტრონის სვეტი, რომელზედაც მიმაგრებულია ორი ლამპა).

—ამხანაგებო, ელექტრონის წარმოებათა მუშა-მოსამსახურეების დავალებით მხურვალეთ მოგესალმებით თქვენ. გაუმარჯოს სოფლის და ქალაქის კავშირს. გაუმარჯოს მუშათა და გლეხის შემაკავშირებელ მძლავრ იარაღს, ელექტროფიკაციას! (ტაში).

ამხ. წერეთელი

(სახელმწ. უნივერსიტეტი)

ამხანაგებო, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა გულითად სალამს უძღვნის ყრილობას და იმედს გამოსთქვამს, რომ მისი მუშაობა, როგორც კომპარტიის ყველა წინანდელ ყრილობების, მიმართული იქნება ქვეყნის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ.

ჩვენი ახალგაზრდა უნივერსიტეტი, მიუხედავათ მისი სინორჩისა, გვერდით ამოუდგა ისეთ უნივერსიტეტებს, რომლებიც თავიანთ არსებობის ათეულ წლებს ითვლიან. სწავლის წყურვილი დიდია ჩვენში. მარტო წელს მიღებული იქნა უნივერსიტეტში 2.000 მშრომელი ახალგაზრდა.

მაგრამ ამ მისწრაფების განხორციელებას წინ ეღობება სტუდენტობის ნივთიერი ხელმოკლეობა. ჩვენ გამოვთქვამთ იმედს, რომ საქართველოს კომპარტია მიიღებს ზომებს მშრომელი ახალგაზრდობის კულტურულ მისწრაფებათა ნივთიერ უზრუნველყოფისათვის (ტაში).

ამხ. ბირიაშვილი

(ტრამვაი).

ვინც იცოდა ტრამვაის წინანდელი მდგომარეობა და ვინც იცნობს ჩვენს დღევანდელ მიღწევებს, ის დარწმუნდება, რომ მშრომელთა თვითმოქმედებას სასწაულის მოხდენაც კი შეუძლია. ტრამვაიში გაფართოვდა სახელოსნოები, გაყვანილია ახალი ხაზები, შეძენილია მრავალი სააღმშენებლო მასალები.

ეს ყველაფერი მოხდა სახელოვან კომპარტიის გონივრულ ხელმძღვანელობის ქვეშ. გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას და მის მე-4 ყრილობას! (ტაში).

შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოდის მბეჭდავთა კავშირის წარმომადგენელი ამხ. ყურმეიძე და არსენალის წარმომადგენელი ამხ. ალოპოვი. უკანასკნელი აცხადებს: „ჩვენ ომის მომხრენი არა ვართ, მაგრამ იარაღს მაინც ვამზადებთ. ეს იმიტომ, რომ ვიცით, საბჭოთა ხელისუფლებას ჯერ კიდევ ბევრი მტრები ჰყავს. ამიტომ თუ ვინმე გაბედავს ჩვენ წინააღმდეგ გამოლაშქრებას არსენალის მუშების მიერ გაკეთებული მახვილი მის წინააღმდეგ იქნება აღმართული". (ტაში).

ყრილობას მიესალმა აგრეთვე კოლოფის ქარხნის წარმომადგენელი ამხ. თვრალაშვილი, რომელმაც კოხტად გაკეთებულ კოლოფების მთელი კოლექცია მიართვა პრეზიდიუმს, და მეტყავეთა წარმომადგენელი ამხ. ჯანჯუგაზოვი.

წითელი ტერიტორიალურ დივიზიის წარმომადგენელს ამხ. ლონდაძეს ყრილობამ ხანგრძლივი ოვაცია გაუმართა. ამხ. ლონდაძემ თავის მოკლე სიტყვაში ხაზი გაუსვა დღევანდელ წითელ არმიის, როგორც მშრომელთა განათლების ერთ-ერთ კერის მნიშვნელობას, მან სთქვა: „ჩვენ ომის სასტიკი მტრები ვართ, მაგრამ არავინ იფიქროს, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამო- [illegible] მონაპოვართა იმედი ფარია. ჩვენ რისხვას დავატეხთ თავზე იარაღის ჟღარუნის ყველა მოტრფიალეთო".

ამხ. ცირეკიძე

(ჭიათურა)

ჭიათურის მუშების სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ცირეკიძე.

ამხ. ქათამაძის სიტყვა

(აჭარისტანი)

(აჭარლებს სცენაზე გამოაქვთ ნავის მოდელი ფორთოხლით სავსე, აჭარულ სახლკარის მოდელი და დიდი თაბახი აგრეთვე ფორთოხლით სავსე და სდგავენ სცენაზე.)

— ნება მიბოძეთ მოგესალმოთ აჭარისტანის პედაგოგიურ ინსტიტუტის და საერთოთ მოსწავლე ახალგაზრდობის სახელით.

ამხანაგებო, თქვენ მოგეხსენებათ, რომ საქართველოს დასავლეთი ნაწილი, ერთ დროს ცნობილი თავის კულტურული სიმაღლით, მოსწყდა საქართველოს ისტორიული ჩარხის უკუღმა ტრიალით. ბნელი დროის გამო მესხეთი მოსწყდა საქართველოს და ჩვენი კუთხე ფანატიკურ სარწმუნოებამ მოიცვა. ამ დროს სარგებლობდენ ყველა ჩვენი მტრები. ამ დროის სიგრძეზე ბევრი მთავრობის [illegible] ახსოვს აჭარას და უნდა ითქვას, რომ არც ერთ მთავრობის დროს არ ყოფილა ცდა, რომ აჭარისტანი გამოსულიყო ამ სიბნელიდან და უვიცობიდან, რომ დამდგარიყვენ ერთგვარ წარმატების გზაზე. ყველანი სცდილობდენ ჩვენს დამონებას. მაგრამ, როდესაც ოქტომბრის რევოლუციის მქუხარე ხმა მეხივით დაეცა მას, ვინც ცდილობდა ჩვენს დამონებას, ამის შემდეგ, აჭარისტანის გასაბჭოებით, საფუძველი ჩაეყარა იმ საქმეს, რომელმაც გაამდიდრა აჭარისტანი, შეავსო აჭარისტანი პოლიტიკურათ, ეკონომიურათ, ზნეობრივათ, კულტურულათ და თუ ჩვენ გადავხედავთ 17-18 წლების ჩვენს ცხოვრებას, ჩვენ გვეღიმება „რა დროში ვიყავით და რას მოვესწარით".

ერთ-ერთი მთავარი მიზანი, რომელიც საბჭოთა მთავრობამ დაისახა—ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ აჭარისტანის გამოსვლა იმ კარჩაკეტილი ცხოვრებიდან და მისი წარმართვა საუკეთესო მომავლისაკენ. განათლების კომისარიატის ერთი მიზანი იყო აღზრდა მომავალი თაობის. ამან მხოლოდ და მხოლოდ აჭარისტანში ჰპოვა გამოძახილი და ისეთი გამოძახილი, რომელიც, შეიძლება სხვა მხარეში იყოს, მაგრამ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ სხვაგანაც ისეთ საქმეს აკეთებენ, როგორც ჩვენში. მაშასადამე ეს მთავრობა, ეს კომუნისტური პარტია არის ის ხელისუფლება, რომლის გეზი არის მიმართული იქით, რომ შექმნას ისეთი ატმოსფერა, ისეთი სალი ჰავა, რომ სრულიათ გაგვაჯანსაღოს და დაგვაყენოს ჩვენ აჭარისტანის საერთო [illegible] გზაზე. ძველ აჭარისტანში არც ერთი სკოლა არ არსებობდა და, თუ იყო, ეს იყო ისეთები, სადაც იზრდებოდენ ხოჯები, სასულიერო პირები. მაგრამ ეხლა იქ 115 სკოლა არის, არის სხვადასხვა სპეციალური დარგის სკოლები. ყველა ეს არის შედეგი ჩვენი დიადი მონაპოვარის და კომუნისტური პარტიის ენერგიული მუშაობისა. თუ დღეს აჭარისტანში გაყვანილია აუარებელი გზატკეცილები, თუ დღეს აჭარისტანში აგებულია მრავალი ხიდები, რამაც გამოიწვია ერთი კუთხის მეორესთან დაახლოება, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური პარტიის და ჩვენი დიადი მონაპოვარის შედეგი.

აი ასეთ მდგომარეობაში ვართ აჭარისტანში. ჩვენ გამოვნახეთ საერთო გზა და მივდივართ კომუნისტურ პარტიასთან საერთო გზით. ჩვენ აჭარისტანის მშრომელი მასსა საქართველოს მშრომელ მასასთან ხელიხელს ჩაკიდებული ვიბრძოლებთ და დავიცავთ იმ ზღუდეს, რომლითაც შემოფარგლული არის კომუნისტური პარტია და ეს სიმბოლო, რომლითაც დაკავშირდება საქართველოს და აჭარისტანის მშრომელი მასსა.

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-4 ყრილობას, გაუმარჯოს საქართველოს და აჭარისტანის მშრომელი მასების კავშირს. ხანგრძლივი ოვაციები.

ამხ. გოგიტიძე

(აჭარისტანი)

ძვირფასო ამხანაგებო! ავტონომიური აჭარისტანის, ქობულეთის მაზრის, უპარტიო ფუხარა ხალხის სახელით მივესალმები სრულიად საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობას.

როდესაც ჩვენ ყრილობაზე მოვდიოდით ფუხარა ხალხმა მოგვცა ჩვენ დავალებები, რომელიც აქ უნდა გადმოგცეთ.

ეს პატარა ნაწილი, რომელსაც უწოდებენ ავტონომიურ აჭარისტანს, ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, არის საქართველოს ნაწილი და ქათ ვერავინ ვერ გამოგლეჯს ერთმანეთს. შესაძლებელია, გადადუღდეს საქართველო მასთან ერთად მოდუღდება აჭარისტანიც.

ჩვენში გაკეთებულია ყველაფერი; ჯარმა გაანთავისუფლა [illegible] მშრომელი ხალხი იმ კლანჭებიდან, იმ ბეგების კლანჭებიდან, რომლებშიცა ის იხუთებოდა. აქ გვერდში მიდგიან ამხანაგები და ჩვენ ყველას რაც დაგვავალა ხალხმა უნდა ვთქვათ, თორემ მერე მეტყვიან—არ გითქვამსო—და გვისაყვედურებენ. მართალია, დახმარება ჩვენ გვაქვს, მაგრამ კიდევ სჭირდება აჭარისტანის ხალხს დახმარება.

ჩვენ უძღვენით საქართველოს მშრომელ ხალხს მტკიცე მუშაობის მაგალითი. ეს არის აჭარისტანის ჰიდრო-ელექტრო სადგური. კომუნისტური პარტიის მუშაობით დამტკიცდა და შეერთდა მუშა და გლეხი. ეს ქნა კომუნისტურმა პარტიამ. ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ ქვეყანაში არ არიან მენშევიკები. ამას დაამტკიცებს მომავალი, ამას დაამტკიცებს აჭარისტანის ახალი თაობა. აგრეთვე, ამხანაგებო, ჩვენ მოკლე სიტყვაში მოგახსენებთ იმას, რომ, ერთი სიტყვით, ჩვენ ვართ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი საქართველოს მთავრობასთან და ჩვენ ავტონომიურ აჭარისტანში ფუხარა ხალხის გარდა ვერავინ ვერ იარსებებს. ამას არ დაანებებს არც კომუნისტური პარტია, რომელიც გვყავს ხელმძღვანელათ. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ანკესზე არ წამოვეგებით. მე მოკლეთ ვათავებ, ამხანაგებო, მე ავადმყოფი კაცი ვარ და ბევრს ვერ ვილაპარაკებ, გაუმარჯოს სრულიად საქართველოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს, გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, გაუმარჯოს ჩვენს ბელადებს. (ტაში).

ამხ. ბოლქვაძის სიტყვა

ამხანაგებო! მე აჭარისტანის უპარტიო გლეხკაცობის წარმომადგენელი ვარ და ვესალმები ამ გლეხკაცობის დავალებით საქართველოს კომპარტიას."

ამხანაგებო, დღევანდელი დღე ჩვენთვის ბედნიერია იმით, რომ აჭარელი უპარტიო გლეხი არ ყოფილა ჯერ ისეთ მდგომარეობაში, რომ სიტყვა ეთქვას. ამიტომ ჩვენი სურვილი არის ხელმეორედ მოგესალმოთ საქართველოს კომუნისტურ პარტიის მე-4 ყრილობას.

ამხანაგებო, დღეს აჭარელი გლეხობას, ფუხარა ხალხს არ გვაქვს ისეთი ნამუშევარი, რომ თქვენ გაგაკვირვოთ. აი ჩვენი ძველი ნამუშევარი ეს არის (უჩვენებს მანდარინზე). მაგრამ ეს საჩუქარი არის ერთგულობის და მტკიცე კავშირის მომასწავებელი.

ამხანაგებო, მე მინდა, რომ აჭარელი გლეხობის ფსიქოლოგია რამოდენიმეთ გაგაგებიოთ. რა არის ჩვენი აჭარელი ხალხის ზნე და ჩვეულება? ჩვენ არც ვართ მენშევიკები, არც ვართ ბოლშევიკები. ჩვენ ვართ აჭარელი ქართველები. მე, როგორც უსწავლელ კაცს, არ მიწყობს ჩემი ენა ხელს, რომ კარგათ ვსთქვა ის, რაც მინდა, მაგრამ ცოტა რამე მაინც მინდა ვსთქვა. უწინდელ დროში გამიგონია, რომ ყოფილა ათასი წლის წინეთ მხეცობა. იმის შემდეგ სწავლა-განათლება შემოუღიათ. ამას ალბათ იმისათვის დაიწყებდენ, რომ თუ წინეთ იყო სამხედრო მასალა, რომ ერთი მეორე ეხოცათ—ეხლა ამას მოვსპობდით და მოყვრობის კავშირს შევქმნიდით ჩვენ ადამიანებში. მაგრამ რომ დავფიქრდი, არაფერი არ გაუკეთებიათ ადამიანისათვის. ქვეყნის ზურგზე მილიარდზე მეტი ნაირ-ნაირი ავადმყოფობით კვდება ადამიანი. არ არის წამალი გამოგონილი მის წინააღმდეგ. არ არის საშუალება გამონახული რომ ახალგაზრდა ადამიანმა მიაღწიოს ბევრ თავის მიზანს, მოხუცდეს და მხოლოდ მერმეთ მოკვდეს. წლიდან წლამდე ადამიანი იცვლის ფერს—ერთ დროს მეც კარგი ვიყავი, მაგრამ მერმეთ შემეცვალა ფერი, შემდეგ კიდევ შევიცვლი ფერს და მოვკვდები. მხოლოდ არ გამონახულა წამალი, რომ ახალგაზრდა ადამიანი არ მოკვდეს. პირიქით გამოიგონეს ხალხის ამოსაჟლეტი იარაღი, ბუნებრივი სიკვდილი არ აკმარეს ადამიანს. ჩვენ გლეხები ვართ, დიდი კავშირი გვაქვს თქვენთან იმიტომ, რომ თქვენ სპობთ თოფს და ქმნით ძმობას და მოყვრობას. ამიტომ ჩვენი აჭარელი გლეხები ვფიქრობთ, რომ მჭიდრო კავშირი გვექნება თქვენთან. რომელ გლეხს ექნება სურვილი გააგზავნოს თავისი შვილი და ზარბაზანს წინ დაუყენოს. რა თქმა უნდა, არც ერთ გლეხს არ ექნება ასეთი სურვილი. მაგრამ დღეს, თუ თოფი გვაქვს ხელში, ეს იმიტომ რომ კაპიტალისტები არიან ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენ თქვენთან ერთად ხელს-ჩაკიდებული ვართ, გვერდში ამოგიდგებით, და, როდესაც გამოილაშქრებენ ჩვენი თავისუფლების წინააღმდეგ, ჩვენც თქვენთან ერთად სისხლს დავღვრით, მხოლოდ საჭიროა, რომ სულ ყველა გლეხებმა შეიგნონ, მათ ექნებათ თქვენთან მჭიდრო კავშირი, თქვენს გვერდში იდგნენ.

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-4 ყრილობას, გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს, გაუმარჯოს ჩვენ ხელმძღვანელ ბელადებს, გაუმარჯოს აჭა- [illegible]

ამხ. დიასამიძე

ამხანაგებო, ვესალმები ქვედა აჭარისტანის სახელით ახალ აყვავებულ ჩვენ საქართველოს მთავრობას და ყველა ამ ძმებს, რომ ისინი არიან ნამდვილი ხუთი წლის შეძენილი ძმები და არა თუ დედინაცვლიდან ძმები. ჩვენ ხუთი წლის წინედ გვყავდა ასეთი დედინაცვლის ძმები. მაგრამ როგორი ძმები იყვნენ ისინი. ერთი კაცი რომ ერთ ქალს შეირთავს, ეყოლება მას ორი-სამი ბავშვი, შემდეგ ქალი მოუკვდება და მეორე ქალს შეირთავს, მაშინ ის შეაძულებს მას შვილებს. აი ამნაირი ძმობა გვქონდა ჩვენ. სახელით ძმები ვიყავით ერთმანეთისთვის, მაგრამ მტრები იყვნენ ჩვენი. ჩვენი აჭარისტანი იყო ობოლი. შუა წყალში იდგა. და როდესაც დიდი წვიმა წვიმს და წყალი იზრდება, ხალხი უნდა დაიღრჩოს. აი სწორედ იმ დროს მოვიდა კომუნისტური პარტია, ხალხი ამოიყვანა წყალიდან და გადაარჩინა სიბნელიდან. ამნაირად ჩვენ დღეს, როგორც აპრილში, არის ახლად გაშლილი კუკური, ისე ვართ. ჯერ ჩვენ გაშლილი ვარდი არა ვართ თქვენსავით. მაგრამ მალე გავიშლებით თქვენის შემწეობით, როდესაც ჩვენ თქვენსავით განათლებული ვიქნებით ისე ჩვენ მაგრად ვართ.

ჩვენ, აჭარისტანის ფუხარა ხალხი იმ ზომაზე ვართ განმტკიცებული, რომ მეტი რომ არა ვსთქვათ, ქვა, სილა და ცემენტი რომ არის, ისე ვართ შეკრული და გერმანელები რომ ვერდენს აქცევდენ, იმ 42 დიუმიან ზარბაზანში რომ ჩაგვდოთ და გვესროლოთ მტერს დავანგრევთ და ჩვენ კი არ დავინგრევით.

მე ოთხი შვილი მყავს—პატარა ბალღები. მთელი თბილისი რომ მომცეთ, ერთ ბალანსაც არ დავთმობ. მაგრამ ეხლანდელ მთავრობისთვის რომ საჭირო იქნეს, მისთვის ოთხი შვილითაც რომ წავიდეთ საბრძოლველად, ისე დავიხოცებით, რომ უკან არ მოვიხედავთ, და არ ვიტყვით, რომ სახლი გვრჩება და გვინადგურდება. გაუმარჯოს საქართველოს მთავრობას! გაუმარჯოს აქ ჩვენ იმედებს, ამხანაგებო!

აჭარისტანის დელეგაციას ყრილობის სახელით პასუხი გასცა ამხ. მიხა ცხაკაიამ, რომელმაც თავისი სიტყვა დაასრულა ასე: გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს აჭარის ფუხარა ხალხს, გაუმარჯოს ჩვენ მათთან ერთად მუშაობას.

სხდომა დაიხურა 10 საათზე.

მეორე სხდომა გაიხსნება დღეს, წითელ თეატრში, სალამოს ექვს საათზე.

მოხსენებას გააკეთებს ამხ. კახიანი ცეკას მუშაობის შესახებ.

სახალხო-რევოლიუციონური მოძრაობა ჩინეთში

სახალხო ჯარების იერიშები ჩან-ძო-ლინის არმიის წინააღმდეგ

ჩან-ძო-ლინმა მუკდენში გამოაცხადა სამხედრო წესები

გომინდანის და კომპარტიის დეკლარაცია:

რევოლიუციონური მთავრობის შედგენა—სიტყვის, ბეჭდვის, კრების და კავშირების თავისუფლება.—ჩინეთის და უცხოელ კაპიტალისტებისათვის სავალდებულო მუშათა კანონმდებლობის შემოღება.—ნორმალური სამუშაო დროს დაწესება

ამხ. კარახანის და ჩან-ძო-ლინის შეხვედრა

კარახანი და ჩჟან-ცზო-ლინი

ხარბინი, 29 ნოემბ. მუკდენის სადგურში ჩჟან-ცზო-ლინმა გაუმართა კარახანს საზეიმო შეხვედრა.

კარახანი ეწვია ჩჟან-ცზო-ლინს, რომელთანაც საუბარი ჰქონდა 2 საათის განმავლობაში. ჩჟან-ცზო-ლინმა გამოსთქვა სიხარული კარახანის დაბრუნების გამო და განაცხადა, რომ ის მზად არის გადასჭრას ორივე მხარისათვის ხელსაყრელ პირობებში ყველა სადაო საკითხები, მათ შორის საკითხები აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის მიხედვით გზების, მდ. სუნგარიზე ნაოსნობის, მიწის და სხვ. შესახებ.

კარახანის დარბაზობის საპასუხოდ, ჩჟან-ცზო-ლინი უბრალოთ, ყოველგვარი მხლებლების გარეშე, ეწვია საბჭოთა საკონსულოს.

ბანკეტზე, რომელიც გამართა ჩჟან-ცზო-ლინმა კარახანის საპატივცემლოთ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სამხედრო ატაშემ ეგოროვმა, რომელიც გამოცხადდა წითელ-არმიელის ფორმაში.

სამხედრო წესები მუკდენში

ხარბინი, 29 ნოემბ. 26 ნოემბერს ჩჟან-ცზო-ლინმა მუკდენში გამოაცხადა სამხედრო წესები.

იერიშები მუკდენზე

ხარბინი, 29 ნოემბ. იაპონიის სააგენტო „ტოხო“-ს ცნობით, გო-სუნ-ლინის ჯარები შეტევას აწარმოებენ მუკდენის მიმართულებით.

ჩჟან-ცზო-ლინის ჯარები, რომლებიც ვერ ახერხებენ იერიშების მოგერიებას, უკან იხევენ გომანზის რაიონში (ჩჟან-ცზო-ლინის საზაფხულო რეზიდენცია). ჩჟან-ცზო-ლინმა სასწრაფოდ გაგზავნა ფრონტზე ჟანდარმების რაზმი 600 კაცის რაოდენობით, ტყვიამფრქვევების ორი ათასეული და თავისი მე-9-ე დივიზიის ნაწილი.

რეპრესიები

ხარბინი, 29 ნოემბ. გო-სუნ-ლინმა მოიწვია შანხაიგუანში მუკდენის არმიის დივიზიების და ბრიგადების უფროსთა სამხედრო თათბირი.

ის პირები, რომლებისგანაც გო-სუნ-ლინი მოელოდა წინააღმდეგობას, მან დააპატიმრა და გაგზავნა ტიან-ცზინში.

გო-სუნ-ლინის ჯარებში

ხარბინი, 29 ნოემბ. გო-სუნ-ლინის ჯარისკაცები გულზე ატარებენ სამკუთხედ წითელ ნიშანს, რომ განირჩეოდნენ სხვა ჯარებისაგან.

დემონსტრაცია პეკინში

პეკინი, 29 ნოემბ. 28 ნოემბერს პეკინში გაიმართა დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდენ დიდძალი მუშები, მოსამსახურეები, სტუდენტები და ინტელიგენტები.

დემონსტრაციამ შეიარა ქალაქის მთავარი ქუჩები და გაემართა ჩინეთის მთავრობის თავმჯდომარე დუან-ცზი-ჟუის სასახლისაკენ. დემონსტრანტების ლოზუნგი იყო: „ძირს დუან-ცზი-ჟუი! გაუმარჯოს სახალხო მთავრობას!“

სასახლეს იცავდა 5000 ჯარისკაცი, უმთავრესად, პირველი სახალხო არმიიდან. ჯარისკაცები თანაგრძნობით შეხვდენ დემონსტრანტებს, დაიწყო ჯარების დაძმობილება დემონსტრანტებთან. ამ დროს სასახლესთან მივიდა პეკინის გარნიზონის უფროსი ფინ-იუი-სიანის მომხრე, რომელმაც სთხოვა დემონსტრანტებს დაშლილიყვნენ და აღუთქვა მათ რომ ის გადასცემს დუან-ცზი-ჟუის მათ მოთხოვნილებებს.

უკან დაბრუნებისას დემონსტრანტებს გზაში შეტაკებები ჰქონდათ დუან-ცზი-ჟუის მომხრე პოლიციელებთან.

დემონსტრანტების ნაწილი გაემართა იმ სახლისაკენ, სადაც ცხოვრობს სახალხო განათლების მინისტრი, რომელიც განსაკუთრებით ეჯავრებათ სტუდენტებს, მისი სახლის წინ გაიმართა მტრული მანიფესტაცია. ცეცხლი გაუჩინეს ფოსტის უფროსის სახლს, რომელიც სულ გადაიწვა.

დემონსტრაციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქალაქში.

რევოლიუციონური დემონსტრაცია

პეკინი, 29 ნოემბერი. უკანასკნელ დემონსტრაციას პეკინში ჰქონდა რევოლიუციონური ხასიათი. დემონსტრაციას ხელმძღვანელობდენ კომუნისტები და გომინდანის მემარცხენე ფრთა, თუმცა მასში მონაწილეობას იღებდენ სხვა დასხვა ელემენტები, ზომიერებიც კი.

გომინდანის და კომპარტიის დეკლარაცია

პეკინი, 29 ნოემბერი. დემონსტრაციის გამო „გომინდანმა“ და კომპარტიის პეკინის ორგანიზაციამ გამოუშვეს შემდეგი დეკლარაცია:

„მუკდენის ჯგუფი ჩაბმულია შინაურ ბრძოლაში; მარცხდებიან რეაქციონური და მილიტარისტული ელემენტები, რომლებიც მუშაობდენ იაპონიის სასარგებლოთ ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ და წარმოადგენენ იარაღს იმპერიალისტების ხელში. სახალხო არმიებმა, რომლებიც ებრძვიან მუკდენელებს, თითქმის უსისხლოდ გაიმარჯვეს მტერზე.

სახალხო არმიები სამსახურს გაუწევენ ქვეყანას, თუ ისინი გაერთიანებენ ძალებს სახალხო რევოლიუციონურ მოძრაობასთან, თუ ისინი გაიზიარებენ ხალხის იმედებს, ზრახვებს და მოთხოვნილებებს.

ხალხის მოთხოვნილებები შემდეგია: რევოლიუციონური მთავრობის ხალხის ხელმძღვანელობით; სახალხო დაუყონებლივ მიიღოს დემოკრატიული თავისუფლებანი: სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირების თავისუფლება. ხალხი მოითხოვს მუშათა კანონმდებლობას, რომელიც სავალდებულო იქნება, როგორც ჩვენი, ისე უცხო კაპიტალისტებისათვის, 9 საათის სამუშაო დღეს მოზრდილ მუშებისათვის და 7 საათის სამუშაო დღეს შეგირდებისათვის და ბავშვთა შრომის და ღამით მუშაობის აკრძალვა ქალებისათვის; ხალხი მოითხოვს სახალხო კრების მოწვევას, რომელშიაც წარმოდგენილი იქნებიან მოსახლეობის ყველა კლასები, გარდა მუკდენის და ანფუის ჯგუფისა; ხალხი მოითხოვს ჩრდილოეთ ჩინეთის და სამხრეთ ჩინეთის რევოლიუციონურ მთავრობასთან გაერთიანებას; ხალხი მოითხოვს, რათა ახალი მთავრობა ებრძოლოს იმპერიალისტებს, ყველა უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმებისა და საბოლოო ავტონომიის შემოღებისათვის.

მხოლოდ ამ მოთხოვნილებათა განხორციელებას შეუძლია დააკმაყოფილოს ჩინეთის ხალხი. არც ერთ მთავრობას არ შეუძლია არსებობა, თუ არ შეასრულებს ამ მოთხოვნილებებს.

მღელვარება გრძელდება

პეკინი, 29 ნოემბ. ჯერ კიდევ არ შენელებულა მღელვარება, რომელიც უკანასკნელმა დემონსტრაციამ გამოიწვია.

29 ნოემბერს გაიმართა მეორე მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 10000 კაცზე მეტმა. მიტინგზე გამოვიდენ ჩინეთის ცნობილი საზოგადო მოღვაწეები.

მიტინგზე მიღებულ რეზოლიუციაში წამოყენებულია შემდეგი მოთხოვნილებანი: დუან-ცზი-ჟუის გადაყენება; დროებითი სახალხო კომიტეტის შედგენა, რომელსაც დაევალება სახალხო კრების მოწვევა; უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმება და კერძოთ საბაჟო ავტონომიის დაუყონებლივ შემოღება.

უკანასკნელი ცნობები

მდგომარეობა ჩინეთში

ხარბინი, 29 ნოემბ. იაპონიის საგენტოს ცნობით, ჩან-ძო-ლინმა მოისურვა გო-სუნ-ლინთან შეხვედრა, მაგრამ უკანასკნელმა უარი სთქვა მასთან შეხვედრაზე, რის გამოც გო-სუნ-ლინთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა მუკდენის არმიის იაპონელი მრჩეველი.

იაპონიიდან მიღებულ ცნობების მიხედვით, ჩან-ძო-ლინს ჰყავს 10,000 ჯარისკაცი, რომლებიც თავმოყრილი არიან სუი-ციუნში, სადაც ჯარებმა ააფეთქეს რკინისგზის ხიდი, რომ ხელი შეეშალათ გო-სუნ-ლინის შემოტევისათვის.

მუკდენიდან იტყობინებიან, რომ იაპონელების ბრიგადა ტეი-ლინსიანიდან იგზავნება მუკდენში.

იაპონელთა ინტერესების დასაცავად.

ტოკიო, 29 ნოემბერი. ნაღმოსანი „ტაჰიბანა“ გავიდა პორტარტურიდან ჩინეთის ნავთსადგურ ჩი-ვან-დაოსაკენ იაპონელთა სიცოცხლის და ქონების დასაცავად ამ რაიონში.

ბრიანის ახალი მთავრობა

პარიზი, 29 ნოემბ. ბრიანის კაბინეტის მინისტრების და მინისტრთა ამხანაგების პარტიული შემადგენლობა ასეთია: 7 რადიკალ-სოციალისტი, 7 რესპუბლიკანელი სოციალისტები და 2 მემარცხენე რესპუბლიკანელი.

ჰავასის სააგენტოს ცნობით, ბრიანმა წარუდგინა თავისი კაბინეტი რესპუბლიკის პრეზიდენტს.

გერმანია და ლოკარნოს ხელშეკრულება

კომფრაქციის წინადადება

ბერლინი, 29 ნოემბ. ლოკარნოს შეთანხმების შესახებ კანონპროექტის მიღების შემდეგ კომუნისტებმა შეიტანეს წინადადება, რომლითაც ისინი მოითხოვდენ „ლოკარნოს კანონის“ ძალაში შესვლის გადადებას 2 თვით. გერმანიის ძირითად კანონების მიხედვით ასეთი წინადადების მიღება სავალდებულოა რეიხსტაგისათვის იმ შემთხვევაში, თუ მას ხმას მისცემს დამსწრე დეპუტატების ერთი მესამედი მაინც. კომუნისტების წინადადება არ იქნა მიღებული, რადგან გერმანელმა ნაციონალისტებმა თავი შეიკავეს ხმის მიცემისაგან.

ნაციონალისტების წინადადება

ბერლინი, 29 ნოემბ. რეიხსტაგმა 285 ხმის უმრავლესობით 121-ის წინააღმდეგ უარჰყო ნაციონალისტების წინადადება მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

კლარა ცეტკინის სიტყვა

ბერლინი, 29 ნოემბ. კლარა ცეტკინის სიტყვამ რეიხსტაგში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა მიმართულების დეპუტატებზე. მის სიტყვას დეპუტატები უფრო მეტის ყურადღებით უსმენდენ ვიდრე რომელიმე ორატორის სიტყვას ლოკარნოს ხელშეკრულების განხილვის დროს.

არაჩვეულებრივი მომენტი

ბერლინი, 29 ნოემბ. საბირჟო წრეებთან ახლო მდგომი გაზეთი „ბერლინერ ბერზენკურიერი“ შემდეგს სწერს კლარა ცეტკინის სიტყვის შესახებ:

„ეს იყო არაჩვეულებრივი მომენტი, როდესაც კომუნისტების ქალთა ბელადი ასეთი არაჩვეულებრივი რწმენით იცავდა კომუნისტურ თვალსაზრისს. ძალიან იშვიათია, როცა ორატორი ასე მძლავრად იპყრობს მსმენელების ყურადღებას.

რეიხსრატმა მხარი დაუჭირა ლოკარნოს ხელშეკრულებას

ბერლინი, 29 ნოემბ. რეიხსრატმა (სახელმწიფო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან გერმანიის სხვადასხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები), 49 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 15-ისა, დაადგინა, არ გაიდაშუროს ლოკარნოს ხელშეკრულების და ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის წინააღმდეგ.

ჰინდენბურგმა ხელი მოაწერა

ბერლინი, 29 ნოემბ. „ვოლფის“ სააგენტოს ცნობით, პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა ხელი მოაწერა კანონს ლოკარნოს ხელშეკრულების და ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის შესახებ.

მუშათა საპროტესტო დემონსტრაცია.

ბერლინი, 29 ნოემბერი. 28 ნოემბერს კომპარტიის ინიციატივით ქარხნებში მუშაობის გათავების შემდეგ ყოფილ ჯარისკაცთა წითელი კავშირის რაზმებთან ერთად გაიმართა მუშათა საპროტესტო დემონსტრაცია ლოკარნოს ხელშეკრულების წინააღმდეგ.

პოლონეთის ჯარების გაზრწნა

ვარშავა, 29 ნოემბერი. პილსუდსკის გამოსვლებთან დაკავშირებით დიდი გაზრწნა ემჩნევა პოლონეთის ჯარის იმ ნაწილებს, რომლებიც ვილნოს ოლქში არიან დაბანაკებული. ოფიცრობა ორ ნაწილად გაიყო: პილსუდსკის მომხრეებად და მის მოწინააღმდეგეებად.

ამ დღეებში შესდგა ოფიცრების კრება, რომელმაც დაადგინა გენერალ შეპტიცკის სახელობის ყაზარმებს ეწოდოს პილსუდსკის სახელი. ოფიცრებმა არ დაუცადეს კორპუსის კომანდირის პასუხს, ჩამოგლიჯეს ღამით ყაზარმის აბრა და დააკრეს ახალი, პილსუდსკის სახელის აღნიშვნით. იმავე დროს ოფიცრებმა დაადგინეს არ შეასრულონ კორპუსის უფროსის გენერალ ბრბეცკის ბრძანებები. უკანასკნელმა გადააყენა თანამდებობიდან დივიზიის უფროსი გენერალი დომბროვსკი და პოლკის ორი უფროსი. ამან კიდევ უფრო მეტი აღშფოთება გამოიწვია ოფიცრებ შორის და მათ ხელმოწერით განაცხადეს უარი დამორჩილებაზე.

ამბობენ, რომ ორი პოლკი—მეორე და მეხუთე გადაყვანილი იქნებიან ვილნოდან ცენტრალურ პოლონეთში.

ამხ. ლუნაჩარსკი ბერლინში

მოხსენება რუსეთის ხელოვნების შესახებ

ბერლინი, 29 ნოემბ. ბერლინის პრესა ძველებურად დიდ ინტერესს იჩენს გერმანიაში ლუნაჩარსკის ჩასვლისადმი.

საზ. „ახალი რუსეთის“ თაოსნობით ლუნაჩარსკიმ 27 ნოემბერს გააკეთა მოხსენება რუსეთის ხელოვნების და ლიტერატურის შესახებ. მსმენელთა შორის იყვენ გერმანიის სახელმწიფო დაწესებულებათა, ხელოვნების და მეცნიერების წარმომადგენლები, მათ შორის რეიხსტაგის წევრი ლებე.

ნადიმი ლუნაჩარსკის პატივსაცემად

ბერლინი, 29 ნოემბ. 28 ნოემბერს „აღმოსავლეთის შემსწავლელმა საზოგადოებამ“ ლუნაჩარსკის პატივსაცემად გამართა ნადიმი, რომელსაც დაესწრენ გერმანიის მეცნიერების გამოჩენილი წარმომადგენლები.

პრუსიის სახალხო განათლების მინისტრმა ბეკერმა ლუნაჩარსკის პატივსაცემად გამართა საზეიმო ნადიმი, რომელსაც დაესწრენ პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტი ბრაუნი, გერმანიის ელჩი საბჭოთა კავშირში ბროკდორფ-რანცაუ და აგრეთვე მთავრობის, მეცნიერების და ხელოვნების წარმომადგენლები.

სრულუფლებიან წარმომადგენლობაში

ბერლინი, 29 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ ბერლინში ლუნაჩარსკის პატივსაცემად გამართა დარბაზობა, რომელსაც გარდა ხელოვნების და მეცნიერების წარმომადგენელთა დაესწრენ რეიხსკანცლერი ლუთერი, გერმანიის ელჩი საბჭოთა კავშირში ბროკდორფ-რანცაუ და სხვები.

კომპარტიის ზრდა

ბერლინი, 29 ნოემბ. ჰაგენის ოლქის მელითონეთა პროფკავშირის კონფერენციამ აღნიშნა პროფკავშირებში კომუნისტების გავლენის ზრდა. საოლქო ორგანიზაციის 38.000 წევრიდან 15.000 წარმოდგენილი იყო მემარცხენე ოპოზიციის დელეგატების მიერ. კონფერენციამ ერთხმად მიიღო ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია, რომელიც საჭიროდ სთვლის მრეწველობის გასოციალებისათვის, მუშათა ერთიანი საბრძოლო ფრონტის დაპირდაპირებას.

ბესარაბიელ გლეხების „გასამართლება“

ბარბიუსის გამგზავრების შემდეგ.

ვენა, 29 ნოემბ. ბარბიუსის გამგზავრების შემდეგ, რუმინეთში კვლავ დაიწყო იმ პირთა წამება, რომელთაც ბრალი ედებათ ტატარბუნარის აჯანყების მოწყობაში. ერთ-ერთი ბრალდებული აწამეს და კარცერში ჩააგდეს იმისათვის, რომ მას აღმოაჩნდა ოპოზიციონურ გაზეთ „ფაკლა“-ს ერთი ნომერი.

ბრალდებულთა ნათესავებს კვლავ აუკრძალეს პატიმრების ნახვა და საჭმელის გადაცემა.

ჯალათის საქმე.

ვენა, 29 ნოემბ. ბუქარესტის სამხედრო სასამართლოში დაიწყო ობერ—ლეიტენანტის მორაჩესკუს საქმე. მორაჩესკუს ბრალად ედება 40-დე კაცის მოკვლა და მრავალრიცხოვან დატყვევებულების გაძარცვა.

მორაჩესკუ თავის დასაცავად აცხადებს, რომ ის ჩადიოდა მკვლელობას ზევიდან მიღებული ბრძანების მიხედვით. სასამართლოში მორაჩესკუმ ღიარა აგრეთვე, რომ ის გზავნიდა თავის ხელქვეითთ ყალბი დოკუმენტებით საბჭოთა უკრაინაში, საიდანაც მათ უნდა წამოეყვანათ ცნობები თავისი რაზმისათვის.

სომხეთის გასაბჭოების 5 წლის თავზე

თბილისში

კვირას, 29 ნოემბერს რუსთაველის თეატრში სომხეთის გასაბჭოების ხუთი წლისთავზე შესდგა სადამო-მიტინგი, რომელიც მოაწყო სომხეთის ხელოვნების სახლმა „აიარტუნ“-მა.

მიტინგი გახსნა ამხ. სურხატიანმა. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. ს. ხანოიანმა, რომელმაც აღნიშნა წლისთავის მნიშვნელობა.

შემდეგ ლაპარაკობს ამხ. სერგო ორჯონიკიძე.

ამხ. სერგო ორჯონიკიძის სიტყვა

ამხ. ორჯონიკიძეს დარბაზი ხვდება ხანგრძლივი ოვაციებით.

ხუთი წელი საკმაო დროა,—ამბობს ამხ. ორჯონიკიძე,—იმისათვის რომ ვსთქვათ სიტყვა იმ პოლიტიკის სისწორის შესახებ, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლება საბჭოთა სომხეთში.

ხუთი წლის განმავლობაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სწარმოებს სომხეთის აღმშენებლობა.

მე დღეს არ მაქვს განზრახული მოვიყვანო ვრცელი შედარებები იმას შორის, რაც იყო სომხეთში გასაბჭოებამდე და რაც არის ეხლა. დაშნაკელებს თავი მოჰქონდათ ნაციონალურ ხელისუფლებად. თუ სომხეთის ხალხის გაჟლეტა შეიძლება ჩაითვალოს ნაციონალურ ხელისუფლებად, ასეთ ხელისუფლებას მართლაც წარმოადგენდა დაშნაკელების ხელისუფლება. მაგრამ თუ ვიტყვით, რომ ნაციონალურ ხელისუფლების უთავარ ამოცანას წარმოადგენს ზრუნვა ხალხზე, ერთად-ერთი ნამდვილი ნაციონალური ხელისუფლება სომხეთში იყო და არის საბჭოთა ხელისუფლება.

ახალ ისტორიაში იშვიათია ისეთი ხალხი, რომელსაც გაევლოს ასე დიდი მსხვერპლი, როგორიც გაიღეს სომხებმა, იშვიათია ისეთი ქვეყანა, რომელშიაც დაღვრილიყოს იმდენი სისხლი, რამდენიც სომხეთში.

დაშნაკური პარტია ბოდავდა რაღაც დიდ სომხეთზე, ზღვიდან ზღვამდე, ნამდვილად კი ის სომხეთს გვერდს უხვევდა და ხელს უწყობდა მხოლოდ სომხეთის ხალხის გაჟლეტას. და თუ ეხლა ვანის ნაპირები, ალაშკერის ველები და ყოფილი სომხეთის სხვა ადგილები, და მთელი ანატოლია, მოფენილია სომხეთის ხალხის ძვლებით, ეს უნდა მიეწეროს დაშნაკურ პოლიტიკას და ეს სომხეთის ხალხმა უნდა დააბრალოს უფრო დაშნაკელებს, ვინემ აბდულ

ჩვენ არ ვძლევით ფანტაზიებს. ეხლა არავინ არ დაიწყებს ბოდვას დიდი სომხეთის შესახებ და ჩვენ არც ვაპირებთ მის შექმნას. მაგრამ სომხეთის ის ნაწილი, რომელიც ხელიდან გამოვსტაცეთ სომხეთის ხალხის მტრებს, რომელთა შორის იყვნენ დაშნაკელებიც, რომლებმაც თავისი პოლიტიკით ალექსანდროპოლში ჩამოიყვანეს ოსმალეთის ჯარები,—ეს სომხეთი საბჭოთა ხელისუფლებას სიამაყით შეუძლია უჩვენოს ყველას.

ყველა ხედავს, რომ ნანგრევებზე შენდება ახალი სომხეთი და მას აშენებს სომხეთის კომუნისტური პარტია.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ საბჭოთა სომხეთზე, არ შეგვიძლია არ მოვიგონოთ მისი საუკეთესო შვილები და ჩვენი საუკეთესო ამხანაგები, რომელთაც პირველი საძირკველი ჩაუყარეს სომხეთის აღმშენებლობას.

მთელი სომხეთი და ყველა მისი მეგობრები ხედავენ და სიხარულით ხვდებიან სომხეთის ხალხის წარმატებას, მაგრამ მათ არ შეუძლიათ დაივიწყონ, რომ მისი საუკეთესო პირისუფალი და ინტერესების დამცველი, მისი და საერთოდ ყველა მშრომელთა საუკეთესო მეგობარი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ბრძოლას მშრომელთა უკეთესი მომავლისათვის, იყო კაცი, რომელსაც არ შეუძლია ეხლა ჩვენთან ერთად იდღესასწაულოს ეს დიადი დღე, რადგან ის ასვენია კომუნარების ბაღის კედელთან. მე ვლაპარაკობ ალიოშა მიასნიკოვზე. (ამხ. მიასნიკოვის სახელის ხსენებაზე ყველა ფეხზე დგება).

მასთან ერთად ჩვენ დავკარგეთ ამხ. ათარბეგოვი, რომელიც აქამდის ასე სძულთ დაშნაკელებს და მათ მახლობელ ინტელიგენციას. მაგრამ ამხ. ათარბეგოვი იწვოდა და დაიწვა მშრომელთათვის და მათი ინტერესებისათვის. (ყველანი დგებიან).

ჩვენი დაპირება დაღუპულ ამხანაგების საფლავთან უნდა იქნეს შემდეგი: ჩვენ განვაგრძობთ ჩვენ საერთო საქმეს, მანამ ჩვენ შეძლება გვაქვს და მანამ ცოცხლები ვართ. ჩვენი სიკვდილის შემდეგ კი, უნდა ვიფიქროთ, ახალი თაობა წაიყვანს საქმეს ჩვენზე კიდევ უკეთესად.

რას წარმოადგენს ეხლანდელი საბჭოთა სომხეთი. მე არ მინახავს არც ერთი სომხეთში ნამყოფი კაცი, რომელი ეროვნების და მიმართულებისაც არ უნდა ყოფილიყო ის, რომელშიაც გაკვირვება და აღტაცება არ გამოეწვია იმ წარმატებას, რომელსაც მიაღწია ხალხმა მოკლე დროის განმავლობაში.

და ყველაფერი ეს გაკეთდა იმათ გარეშე, რომელნიც თავის თავს სომხეთის საუკეთესო მოღვაწეებს უწოდებენ, რადგან ყველა ეს „საუკეთესო მოღვაწეები“ — ხატისოვი და კომპანია —დიდი ხანია თავიდან მოიშორეს სომხეთის მშრომელებმა.

უკანასკნელ დროს ქართველი ეროვნულ-დემოკრატები და დაშნაკელები (ესენი კი, როგორც ვიცით, დიდი მეგობრები არიან) ძლიერ ხშირად გაიძახიან ამიერკავკასიის ერების კონფედერაციის შექმნის აუცილებლობაზე. კონფედერანტები ამტკიცებენ, რომ ყველა ამიერკავკასიის ხალხთა ინტერესები მჭიდროთ და სამუდამოდ არის ურთიერთ შორის დაკავშირებული. იმათ ეს მხოლოდ ეხლა დაინახეს და ისიც საზღვარ-გარეთ გაიგეს.

სამწუხაროდ მრავალს აქა დამსწრეს არ ესმის აქამდე ეს ელემენტარული ჭეშმარიტება და აქამდე ვერ გაუგია, რომ იმ მიწის ნაგლეჯზე, რომელსაც ამიერ-კავკასია ეწოდება, დასახლებული არიან ხალხები, რომელთა ინტერესები ისე გადახლართვიან ერთმანეთს, რომ არ არსებობს ამ ინტერესების გამყოფი ძალა. რა კი ეს ასეა, საჭიროა, რომ ამ ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდეს. ეს არ ესმოდათ და არ ესმით მენშევიკებს და დაშნაკებს, რომლებმაც ქართველებისა და სომხების სამარცხვინო შეტაკებამდე მიიყვანეს საქმე. ზოგიერთ წრეებში სისინს ეხლაც აქვს ადგილი. ამაში დამნაშავეა როგორც ქართული, ისე სომხური ინტელიგენციის ნაწილი.

დღეს, სომხეთის გასაბჭოების ხუთი წლის თავზე, აქ, საქართველოს დედა ქალაქში, ჩვენ უნდა განვაცხადოთ, ჩვენი გამარჯვებები და წინსვლა დიდათ არის დამოკიდებული იმისაგან, თუ რამდენად შესძლებს ეს ორი მოძმე ხალხი—ქართველები და სომხები —აზერბეიჯანელებთან ერთად შეუთანხმონ ერთმანეთს თავიანთი ინტერესები და ხელიხელჩაკიდებული გასწიონ წინ.

ჩვენ ვიცით, რომ ქართველ და სომეხ მუშათა კლასს არაფერი გასაყოფი ერთმანეთ შორის არა აქვს. ჩვენ ვიცით, რომ გლეხები—ქართველები და სომხები—მშვიდობიანად მუშაობენ მეზობლად; მათ შორის არ არის და არც იყო რაიმე მტრობა.

მაგრამ სამწუხაროდ ამასვე ვერ ვიტყვით ინტელიგენციის შესახებ. იმათ არ იქნა და ვეღარ გაიგეს რაღაც და ცდილობენ შოვინიზმის შხამით მოსწამლონ გარშემო მყოფნი რა სურთ მათ—არ ვიცით, ვინაიდან გასაყოფი მაინც და მაინც იმათ არაფერი აქვთ და არაფრის გაყოფის ნებას მათ არავინ მისცემს. მუშებს და გლეხებს მაგრად უპყრავთ ხელში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. ისინი მოუწოდებენ ყოველივე, რაც პატიოსანი და კეთილშობილია ხალხში, გაერთიანებული მუშაობისაკენ. მაგრამ თუ ინტელიგენციის ეს ნაწილი გააგრძელებს მაინც შოვინიზმის შხამის შეტანის ცდას მშრომელ მასებში, ის წააწყდება სასტიკ წინააღმდეგობას.

ჩვენ მივმართავთ ინტელიგენციას მოწოდებით: ჩვენ მოუწოდებთ მას ერთსულოვანი მუშაობისაკენ. ჩვენ დავანახვებთ ყველას, რომ მუშებს—ქართველს და სომეხს—ძმურად და მშვიდობიანად შეუძლიათ იდგნენ ერთად დაზგასთან. ჩვენ დავამტკიცებთ რომ გლეხებს მეგობრულად შეუძლიათ გვერდი-გვერდ მუშაობა. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ორივე მოძმე ხალხის ინტელიგენციაც ამგვარადვე ძმურად და ერთსულოვნად მუშაობდეს. ჩვენ უნდა შევძლოთ ამის მიღწევა და მივაღწევთ კიდევაც.

ამიერ-კავკასიის ერთა შორის სოლიდარობა უნდა იყოს სრული.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმობას!

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!

გაუმარჯოს სომხეთის კომუნისტურ პარტიას!

ამხ. ორჯონიკიძის სიტყვა ხანგრძლივი აპლოდისმენტებით დაიფარა, რომელიც შემდეგ გადაიქცა ოვაციებში.

შემდეგ აზერბეიჯანის მშრომელთა სახელით სიტყვას ამბობს თურქულ ენაზე ამხ. ამირვანსკი.

წითელ არმიის სახელით მიტინგს ესალმება კავკასიის წითელ არმიის პოლიტ-სამმართველოს უფროსი ამხ. რატნეკი. შემდეგ ამხ. ბ. გდატიევი კრებას უზიარებს თავის შთაბეჭდილებებს სომხეთის მდგომარეობის შესახებ გასაბჭოების პირველ დღეებში.

დასასრულ კრებამ მიიღო მისასალმებელი დეპეშის ტექსტი სომხეთის მშრომელთა მიმართ.

ერევანში

ერევანი, 30 ნოემბერი. სომხეთის გასაბჭოების ხუთი წლის თავი გადახდილ იქნა დიდი ზეიმით და აღფრთოვანებით.

ჯერ კიდევ წინა დღით, 28 ნოემბერს, მთელმა ქალაქმა საზეიმო სახე მიიღო.

საღამოს ყველა თეატრებში და კლუბებში გაიმართა წარმოდგენები და მოგონებათა საღამოები.

იმავე საღამოს სახელმწიფო თეატრის დარბაზში შესდგა ქალაქის საბჭოს, ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს საზეიმო გაერთიანებული სხდომა პროფკავშირების, კომკავშირის და სომხური დივიზიის წარმომადგენლების თანდასწრებით

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი

გამოქვეყნდა დანიის მუშათა დელეგაციის დეკლარაცია

უახლოეს ხანში მოხდება შეთანხმების დადება ლატვიასთან

საბჭოთა კავშირის მუშების მიწვევა ნორვეგიაში

ჩიჩერინი პარიზში.

პარიზი, 29 ნოემბ. საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწეები დიდ მნიშვნელობას აძლევენ ჩიჩერინის ჩასვლას პარიზში.

გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სამხრეთიდან უკან დაბრუნებისას ჩიჩერინი უფრო დიდი ხნით გაჩერდება პარიზში.

გაზეთები ამტკიცებენ, რომ თავისი საუბრებით საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან ჩიჩერინმა საძირკველი ჩაუყარა მომავალ მოლაპარაკებას საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

გაზეთი „პტი პარიზიენ“-ი აცხადებს, რომ ჩიჩერინის საუბარმა ბრიანთან საგრძნობლად წინ წასწია ვალების საკითხის მოწესრიგების საქმე.

„მატენ“-ის ცნობით, გარეშე საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ბერტელო შეეხო თავის საუბარს ჩიჩერინთან და განაცხადა: „ჩვენ დავკმაყოფილდით მხოლოდ მით, რომ გაკვრით შევეხეთ ზოგიერთ საკითხებს, როგორიც არის მაგალითად, ინგლის-საბჭოთა და საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის საკითხი, საკითხები ვალების, ვრანგელის ფლოტის და საჰაერო შეთანხმების დადების შესაძლებლობის შესახებ. ჩვენ არ შევჩერებულვართ სპეციალურად არც ერთ ამ მუხლზე, ჩვენ მხოლოდ ნიადაგი მოუმზადეთ მოლაპარაკებას, რომელიც შესაძლებელია წარმატებით იქნეს დაწყებული, როცა მეორეჯერ გამოივლის ჩიჩერინი პარიზში.

ექსპორტი ინგლისში

მოსკოვი, 30 ნოემბ. რუსეთ-ინგლისის საექსპორტო კომპანიამ უკანასკნელ კვირაში ინგლისში საბჭ. კავშირიდან შეიტანა 20.000 ტონა ხორბალი, ქერი, სელი და სხვ.

ოსმალეთის მინისტრი მოსკოვში

მოსკოვი, 30 ნოემბ. 28 ნოემბერს, ნაშუადღევს 2 საათზე კალინინმა კრემლში თავის კაბინეთში მიიღო ოსმალეთის მიწათმოქმედების მინისტრი საბ-ბეი.

საუბარს დაესწრენ საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასკომის მდივანი ენუქიძე და ოსმალეთის ელჩი ზექია-ბეი.

კალინინი ოსმალეთის მინისტრს ესაუბრა სასოფლო მეურნეობის და საბჭოთა მთავრობის საერთო პოლიტიკის საკითხებზე.

მოსკოვი, 30 ნოემბ. ოსმალეთის მიწათმოქმედების მინისტრი საბ-ბეი მიიღო კრემლში ლეჟავამ, რომელიც მიესალმა მას რუს. სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის და რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის სახელით.

ოსმალეთის მიწათმოქმედების მინისტრმა ინახულა აგრეთვე მიწათმოქმედების კომისარი.

საბრი-ბეი ამ დღეებში შეუდგება რუსეთის სასოფლომეურნეობის დაწვრილებით გაცნობას.

დანიის დელეგატების გამგზავრება

მოსკოვი, 30 ნოემბ. 28 ნოემბერს დანიის მუშათა დელეგაციამ სრული შემადგენლობით ინახულა სრულიად საკავშირო პროფკავშირთა საბჭო, სადაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მელნიჩანსკისთან.

საუბარის გათავების შემდეგ, დელეგაციამ ინახულა პროფ-კავშირთა ცეკა. დელეგაციის გამომშვიდობებას საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ცენტრალურ ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან მეგობრული ხასიათი ჰქონდა.

საღამოთი დელეგაცია ლენინგრადით დანიაში გაემგზავრა.

ურთიერთობა ლიტვასთან

მოსკოვი, 30 ნოემბ. 28 ნოემბერს შესდგა საბჭოთა კომისიის და ლიტვის დელეგაციის უკანასკნელი სხდომა. მოსალოდნელია მთელ რიგ საკითხების სასურველად გადაჭრა.

ინგლის-საბჭოთა შეთანხმებისათვის

ლონდონი, 29 ნოემბ. ცნობილმა ეკონომისტმა, ეკონომიურ ჟურნალის „სტეტისტ“-ის ყოფილმა რედაქტორმა ლიბერალმა ჯორჯ პეიშმა გლაზგოს გაზეთ „ფორვარდ“-ის წარმომადგენლებთან საუბრის დროს მხარი დაუჭირა სრულ შეთანხმებას ინგლის-საბჭოთა კავშირს შორის.

„ჩემის აზრით, განაცხადა პეიშმა, რუსეთი გახდება მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ბაზარი ევროპის სახელმწიფოებისათვის. ევროპის ეკონომიური აღორძინება უმთავრესად დამოკიდებულია საბჭოთა მრეწველობის განვითარებაზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა მთავრობა შეასრულებს ვალდებულებას, რომელსაც ის თავის თავზე მიიღებს

დელეგაციის დაბრუნება

მოსკოვი, 30 ნოემბ. 28 ნოემბერს მოსკოვში დაბრუნდა გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის დელეგაცია, ამხ. რუდის თავმჯდომარეობით. დელეგაცია გაგზავნილი იყო პარიზში რკინის გზათა საერთაშორისო კავშირის სესიაზე.

დელეგაცია აქტიურ მონაწილეობას იღებდა, როგორც რკინის გზათა საერთაშორისო კავშირის სესიის მუშაობაში, ისე მისი სატარიფო კომისიის საქმეებში.

დანიის დელეგაციის დეკლარაცია

მოსკოვი, 30 ნოემბ. დანიის მუშათა დელეგაციამ სამშობლოში გამგზავრების წინ გადასცა საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს წევრ ამხ. მელნიჩანსკის დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია: „დელეგაცია დიდად აფასებს იმ აღმშენებლობითი მუშაობას, რომელიც სწარმოებს საბჭოთა კავშირის მრეწველობაში და მიწათმოქმედებაში და აღფრთოვანებულია იმ მისწრაფებებით, რომელთა მიზანია საბინაო პირობების გაუმჯობესება და მშრომელთა კულტურული დონის ამაღლება საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღებით და საგანმანათლებლო მუშაობის წარმოებით მუშათა ფართო მასებში. დელეგაცია პატივს სცემს მუშების წარსულ გმირულ ბრძოლას, რომლის შედეგად მიღწეულია ის, რომ პროლეტარიატს მიეცა შესაძლებლობა განაგრძოს მშვიდობიანი განვითარება და დააყენოს რუსეთის მუშა ეკონომიურ და კულტურულ დარგში პირველ რიგში მთელი ქვეყნის მუშებს შორის.

უსურვებს რა რუს ამხანაგებს მათი სააღმშენებლო მუშაობის მშვიდობიანად გაგრძელებას, დელეგაცია ეცდება ხელი შეუწყოს იმას, რომ საბჭოთა რუსეთის და მთელი ქვეყნის მუშათა კლასი გაერთიანდენ პროფკავშირების ერთ საბრძოლველ ფრონტზე იმპერიალისტებისა და საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ.

ურთიერთობა ნორვეგიასთან

მოსკოვი, 30 ნოემბ. საბჭოთა კავშირის კომუნალური მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ნორვეგიის კომუნალურ მუშაკთა კავშირისაგან მიიღო მიწვევა ყრილობაზე, რომელიც ნოემბერში გაიხსნება ნორვეგიაში.

საფრანგეთის ახალი მთავრობა

ბრიანის კაბინეტი

პარიზი, 29 ნოემბერი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ახალი კაბინეტის შემადგენლობა ასეთი იქნება: ბრიანი—მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და გარეშე საქმეთა მინისტრი; შოტანი—იუსტიციის მინისტრი, დოლადიე—შინაგან საქმეთა მინისტრი; პენლევე—სამხედრო მინისტრი; ლეიგი—საზღვაო საქმეთა მინისტრი; რუსტანი—სახალხო განათლების მინისტრი; ვენსონი—ვაჭრობის მინისტრი; დემონზი—საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი; დიურაფურ—შრომის მინისტრი; პერიე—ახალშენების მინისტრი; დიურანი—მიწათმოქმედების მინისტრი.

პარიზი, 29 ნოემბერი. საბოლოოდ შესდგა ახალი კაბინეტი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და გარეშე საქმეთა მინისტრი—ბრიანი; ფინანსთა მინისტრი — ლუშერი; სამხედრო მინისტრი—პენლევე; საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი—დე-მონზი.

რეაქციონერების დემონსტრაციები ერზერუმში

ანგორა, 29 ნოემბ. 23 ნოემბერს ოსმალო ფანატიკოსები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან იმ რეფორმებს, რომელთაც ოსმალეთის მთავრობა ახდენს ყოფა-ცხოვრებაში, გამოვიდენ ერზერუმის ქუჩებში, აძულებდენ ვაჭრებს დაეხურათ დუქნები და გამართეს მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია გუბერნატორის სახლის წინ.

დემონსტრაციის ხელმძღვანელები, უმეტეს შემთხვევაში მოლები და შეიხები, გაიძახოდენ: „ძირს მოხელეები და ერეტიკოსები, რომლებმაც დაიხურეს ქუდები! ჩვენ არ მოვითმენთ დაცინვას ჩვენს ადათებზე“.

პოლიციამ და ჯარებმა მიმართეს იარაღს და გარეკეს დემონსტრანტები.

ანგორის მთავრობამ გამოაცხადა საალყო წესები ერზერუმის ოლქში და დაარსა სამხედრო-საველე სასამართლო. დემონსტრაციის დაახლოვებით 100-მდე წევრი დააპატიმრეს და გადასცეს საველე სასამართლოს.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

კომუნალური მეურნეობის მუშაკთა ყრილობა

მოსკოვი, 30 ნოემბერი. 29 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნა კომუნალური მეურნეობის მუშაკთა საკავშირო ყრილობა.

ამხ. კამენევი ჩრდილო-კავკასიის პარტკონფერენციაზე.

დონის როსტოვი, 30 ნოემბერი. აქ ჩამოვიდა ჩრდილო-კავკასიის პარტკონფერენციაზე დასასწრებლად ამხ. კამენევი.

ბრძოლა სპეკულიაციასთან.

მოსკოვი, 30 ნოემბერი. შინა-ვაჭრობის კომისარიატმა დაუგზავნა ყველა თავის ადგილობრივ ორგანოებს ცირკულიარი საწერიმალო პირობაში იმ საქონელზე, რომელიც საკმაოდ არ მოიპოვება, ზედანადები ხარჯების განსაზღვრის შესახებ. ფასებზე მაქსიმალური ნამატების რაოდენობა უნდა გამომუშავდეს შემდეგ საქონელზე: ბამბეულ ნაწარმოებზე, ქსოვილებზე, ძაფზე, შილეულობაზე, სახურავ რკინაზე, ლურსმანზე, მავთულზე, რკინის და თუჯის ჭურჭელზე, მარილზე, შაქარზე, მცენარეულობის ზეთზე, ნავთზე, ფანჯრის მინაზე, საპონზე.

ადამიანის ორგანიზმის ელექტრო-ანდამატური ტალღები.

ლენინგრადი, 30 ნოემბერი. ელექტრო-ტეხნიკური ინსტიტუტის პროფესორმა სკიპრსკიმ შესძლო არა თუ დაემტკიცებინა, რომ ადამიანის სხეული გამოყოფს ტალღებს, არამედ ამ ტალღების გაზომვაც კი მოახერხა. ყოველ ადამიანს სჩვევია გარკვეული ელექტრო-მაგნიტური ტალღები, ამ ტალღებს შეუძლიათ ცვლა ორგანიზმის მდგომარეობის, ჯანმრთელობის, ხვადმყოფობის და სულიერი განწყობილების მიხედვით.

უკრაინა

სასოფლო ელექტროსადგური.

ოდესა, 30 ნოემბერი. სასოფლო ელექტრო-სადგურების შენება ყოფილი ოდესის გუბერნიის ტერიტორიაზე ფართოვდება. უკანასკნელ ხანებში გახსნილია ახალი სადგურები ბალტაში, ბერისლავლში, ნოვაია უშიცაში, გოლოვანევსკში, ახალ კალინკში და სხვა ადგილებში.

ახალი დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები.

ხარკოვი, 30 ნოემბერი. უკრაინის სოციალური დაზღვევის მთავარმა სამმართველომ გადასდო 2 მილიონი მანეთი მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში ახალი დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების გასახსნელად დონის ოლქსა და ეკატერინოსლავის გუბერნიაში.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ნავთის მიღება.

ოზურგეთი, 30 ნოემბ. კოოპერატივის სახელზე მოვიდა 2 ცისტერნი ნავთი, რითაც ბოლო მოეღო ნავთის კრიზისს, რომელიც ნოემბრის პირველი რიცხვიდან გრძელდებოდა.

აღმშენებლობა გორის მაზრაში.

გორი, 30 ნოემბერი. გასაბჭოების დღიდან მაზრაში აშენებულია საცხოვრებელი სახლები: 1921 წ.—185, 1922 წ.—200, 1923—311. 1924—554 და 1925—526, სულ 1.779.

ქალაქ გორის კომუნალური მეურნეობა ამთავრებს აბანოს დიდ შენობას, რომელიც დაიწყებს მუშაობას დეკემბრის პირველ რიცხვებიდან. ქალაქი თანდათან შენდება; იკირწყლება ქუჩები, გაჰყავთ ტროტუარები. ახალი ელექტრონის სადგურის მოსაწყობად მაგრდება დამბა. ქალაქის ცენტრში ეწყობა დიდი ბაღი.

ფოსტა-ტელეგრაფის კონტორა გორში.

გორი, 30 ნოემბ. კომუნალურმა მეურნეობამ გადასცა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს ქალაქის ერთი დიდი შენობათაგანი, რომელიც დანგრეულია მიწისძვრით; შენობა უნდა შეკეთდეს და მასში მოეწყობა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა.

ტელეფონი სვანეთში.

ჯვარი, 30 ნოემბ. გუშინ დამთავრდა ტელეფონის ხაზის გაყვანა ჯვარსა და მესტიას შუა. პირველ უბანში ტელეფონის გამყვანთ მეტად მძიმე პირობებში მოუხდათ მუშაობა ენგურის ხევში. ხაზის სიგრძე უდრის 112 ვერსს. გლეხები აუწერელი სიხარულით შეხვდნენ ხაზის გაყვანას.

აზერბაიჯანი

საწარმოო გეგმა

ბაქო, 29 ნოემბ. უმაღლესი სახალხო სამეურნეო საბჭოს საწარმოო გეგმით ათ დარგში, ხორბლეულობის გამოკლებით, 1925—26 წლის საერთო პროდუქციის რაოდენობა ნავარაუდევია 18.969.200 მან., რაც შეადგენს გასული წლის საერთო პროდუქციის (10.962.000) მან.) 173 პროც. უმაღლესი სამეურნეო საბჭოს ყველა წარმოებებიდან 1925—26 წ. მოსალოდნელია 1.940.000 მან. მოგება.

კომუნალურ მეურნეობათა გამგეების თათბირი

ბაქო, 30 ნოემბ. შინა-ვაჭრობის კომისარიატთან გაიხსნა აზერბაიჯანის კომუნალურ მეურნეობათა გამგეების თათბირი.

თათბირს ესწრებიან ადგილობრივ მეურნეობათა განყოფილებების და საალმშენებლო ქვე-განყოფილებების გამგეები, წარმომადგენლები საქართველოსი, სომხეთის და აზერბაიჯანის პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

სამამზო კოოპერაციის სპეციალური ცენტრი

ბაქო, 30 ნოემბ. „კეიბირლიგი" სცნობს საჭიროდ მოეწყოს აზერბაიჯანის სამამზო კოოპერაციის სპეციალური ცენტრი.

„კეიბირლიგი" მიზანშეწონილად სთვლის ამიერ-კავკასიის ბიუროს მოწყობას იმ მიზნით, რომ მან ხელმძღვანელობა გაუწიოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას.

ბენზინის ექსპორტი

ბაქო, 30 ნოემბ. წლის მეორე მეოთხედში განზრახულია 1.300.000 ფუთი ბენზინის გატანა უცხოეთში.

აღმშენებლობითი მუშაობა აჭარისტანში

(საუბარი აჭარისტანის სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მემედ გოგიბერიძესთან)

გუშინ თბილისში ჩამოვიდა აჭარისტანის სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მემედ გოგიბერიძე, რომელიც ინახულა ჩვენი გაზეთის თანამშრომელმა.

შეკითხვაზე, თუ როგორ მიმდინარეობს აჭარისტანის კულტურულ-ეკონომიური აღორძინება, ამხ. გოგიბერიძემ განაცხადა შემდეგი:

საქართველოს საბჭოთა მთავრობა აჭარისტანის ღარიბ ხალხის მდგომარეობას იმთავითვე განსაკუთრებულ ყურადღებით ეპყრობოდა. რაც დრო გადის საქართველოს მზრუნველობა ჩვენი პატარა რესპუბლიკის მიმართ თანდათან იზრდება.

მიმდინარე წელს, აჭარისტანის ბიუჯეტი ერთი-ორად არის გადიდებული. ბიუჯეტის მთავარ წყაროს კი წარმოადგენს საქართველოს მთავრობის დახმარება.

ბიუჯეტის გადიდება საშუალებას გვაძლევს გავაფართოოდ და გავაორკეცოთ ამჟამად წარმოებული მუშაობა ჩვენი კუთხის ეკონომიური და კულტურული აღორძინებისათვის.

ვისაც აჭარისტანი გასაბჭოებამდე უნახავს, დღეს იგი მას ველარ იცნობს, იმდენათ გამოცვლილია დღეს აჭარ. დაბა-სოფლები, რომელიც ამ ხუთი წლის წინად არ მოეპოვებოდა არც რიგიანი გზები, არც სკოლები, არც საექიმო პუნქტები და არც კოოპერატივები. ნაცვლად 5 წლის წინად არსებულ 5 სკოლისა, დღეს აჭარისტანში გახსნილია 105 პირველდაწყებითი შრომის სკოლა სადაც 9 ათასამდე ორივე სქესის ახალგაზრდა სწავლობს. გარდა ამისა ბათომში არსებობს ორი სპეციალური ტეხნიკუმი-ინდუსტრიალური და სასოფლო-სამეურნეო, სადაც აჭარლებთან ერთად სპეციალურ განათლებას ღებულობენ სხვა ეროვნებანიც.

აჭარისტანის დიდ კულტურულ მიღწევად ჩაითვლება აგრეთვე აჭარისტ. სოფლების დაქსელვა საფერშლო და საექიმო პუნქტებით. არ არის თემი, სადაც მოწყობილი არ იყოს ამბულატორია და საექიმო პუნქტი, რომელიც უფასო დახმარებას აძლევს ღარიბ ხალხს. გარდა ამისა, რომ ყოველ აჭარელ გლეხს შეუძლია ისარგებლოს ბათომის მშვენივრად მოწყობილი მთავარი საავადმყოფოთი, ზოგიერთ პუნქტებთან გლეხებს სასწრაფო დასახმარებლად მოწყობილია რამდენიმე საწოლი.

ერთი-ერთი დიდი საქმე, რომელიც კეთდება ამჟამად აჭარისტანში, არის საგზაო საქმე. ორი წლის წინად დაწყებული საგზაო მშენებლობა მიმდინარე სამეურნეო წელში დამთავრდება. უდიდესი ნაწილი გზატკეცილებისა, რომლის საერთო სიგრძე—80 ვერსს აღემატება, დასრულებულია და ამჟამად კარგი გზების, საშუალებით აჭ. სოფლები დაკავშირებული არიან როგორც ქალაქთან, ისე ერთი მეორესთან. ქობულეთი—ლელვა-ოზურგეთის გზატკეცილი, რომელიც გურიასა და აჭარისტანს აკავშირებს და რომელსაც დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, უკვე გაყვანილია, სოფელ ლელვამდე—7 ვერსის მანძილზე: გასაყვანია კიდევ 5 ვერსი, რასაც გაერთიანებული ძალღონით დაასრულებს აჭარისტანის მთავრობა და ოზურგეთის სამაზრო აღმასკომი. აჭარისტანის მთავრობას უყურადღებოთ არ დაუტოვებია აგრეთვე წყლის მეურნეობის მოწესრიგების საქმე ჩვენში. უკანასკნელ დრომდე ჩვენი სოფლები მოკლებული იყვნენ სასმელ-სახმარებელ წყაროებს. გასულ წელს მთელ რიგ სოფლებში დაიწყო წყალსადენების გაყვანა, რომელიც მიმდინარე წელს კიდევ უფრო გაფართოვდება. შედგენილ გეგმის მიხედვით აჭარისტანის სოფლები უნდა დაქსელოს წყალსადენის ქსელით, რომლის საერთო სიგრძე 80 ვერსს აღემატება და რომლისთვისაც საქართველოს მთავრობის მიერ ბიუჯეტს გარეშე გადადებულია 100,000 მანეთი.

შემდეგ ამხ. მემედ გოგიბერიძემ ჩვენს თანამშრომელს გააცნო აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის მდგომარეობა და საბჭოთა აღმშენებლობის პერსპექტივები, რომლის შესახებაც საუბარს მოვათავსებთ შემდეგ ნომერში.

ი.

მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრება

მოსკოვი, 30 ნოემბ. მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე 28 ნოემბერს ბოგოლიუბოვმა მოუგო შპილმანს. კაპაბლანკამ და ლევენფიშმა ითამაშეს უშედეგოთ. რეტიმ მოუგო იეიტსს. ლასკერმა მოუგო მარშალს. ტარტაკოვერმა და გოტგილფმა ითამაშეს უშედეგოთ ტორრემ და გრიუნფელდმა—უშედეგოთ. ბოგატირჩუკმა მოუგო რაბინოვიჩს. დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

მოსკოვი, 30 ნოემბ. მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე 29 ნოემბერს მექსიკანელმა ტორრემ წააგო ინგლისელ მაესტრო იეიტსთან. კაპაბლანკამ მოუგო ტარტაკოვერს. ბოგოლიუბოვმა მოუგო ზუბარევს. პარტია ლასკერსა და ლევენფიშს შორის გადაიდო მეტი შანსით ლევენფიშის მხარეზე.

მეტი ყურადღება მუშათა გამომგონებლობას

წარმოების არც ერთი სისტემის დროს მუშათა გამომგონებლობას არ ჰქონია იმდენი შესაძლებლობა თავისი ინიციატივის და შემოქმედების გამოსაჩენად, რამდენის მას აქვს ეხლა, რაციონალიზაციაქმნილ მრეწველობის პირობებში. საბჭოთა წარმოების სოციალისტური საფუძველი ქმნის აუარებელ შესაძლებლობას სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარებისათვის. გარდა ამისა ეს სოციალისტური საფუძველი იწვევს კოლექტიური შემოქმედების სურვილს და ენერგიას, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იმალებოდა მშრომელთა მასებში. ამჟამად მუშათა გამომგონებლობის ფართოთ განვითარებულმა აზრმა დიდათ შეუწყო ხელი შრომის ნაყოფიერების გადიდებას მრეწველობის მრავალ დარგში. მუშათა გამომგონებლობის მნიშვნელობა და ამოცანები გათვალისწინებულია უმაღლეს პარტორგანოების ყველა მნიშვნელოვან დადგენილებებში სახალხო მეურნეობის საკითხების შესახებ. ხელმძღვანელ სამეურნეო და პროფესიონალურ ორგანოების ცირკულიარების მთელი რიგი მოითხოვს მუშათა გამოგონებლობისადმი ყურადღების გაძლიერებას.

მიუხედავად ამისა, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში, სადაც საერთოდ სუსტია მრეწველობა, მუშათა გამომგონებლობისათვის დახმარების აღმოჩენას ძალიან ნაკლები ყურადღება ექცევა. აქ არ ხდება მისი სათანადოთ შეფასება. რამდენ სარგებლობას და მომჭირნეობას მივაღწევდით, თუ სათანადოთ წავაქეზებდით მუშათა გამომგონებლობას, რომლის შემწეობით მომჭირნეობით იქნებოდა დახარჯული სათბობი და სხვა მასალები, რომლებიც ასე ძვირათ გვიღირს და რომელთა შეძენა ძალიან ძნელი ხდება, შემცირებული იქნებოდა გაფუჭებულ ნაწილების რაოდენობა, გამოყენებული იქნებოდა ნაშთები, გამოყენებული იქნებოდა ბუნების მუქთი ძალები, საწარმოო პროცესების მექანიზაციით და ავტომატიზაციით თვით წარმოების შენით, გაუმჯობესებული იქნებოდა მასალების და პროდუქციის გადაზიდვა და სხვ. რამდენი სარგებლობა და გაუმჯობესება გვექნებოდა ამ შემთხვევაში კოოპერატიულ, საბჭოთა და სხვ. მუშაობის დარგებში. აქ თვითეული, ერთი შეხედვით უმნიშვნელო გაუმჯობესება თვითეულ დარგში, ერთად აღებული მოგვცემდა დიდ სარგებელს. აქ აუცილებლად სახალხო-სამეურნეო მუშაობის ყველა ხელმძღვანელთა ყურადღება მიქცეული უნდა იყოს ყოველდღიური პრაქტიკულ საკითხებისაკენ.

აქვე მუშათა გამომგონებლობას უნდა წაეხმაროს „შმო"—შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, ვინაიდან, თუ გაუმჯობესებაში და გამოგონებაში ინიციატივა არ იქნა, „შმო" გადაიქცევა ცარიელ ლაპარაკად. უნდა მოეწყოს ისე, რომ „შმო" გამომგონ მუშების ხელში და თავში იყოს ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება ყოველთვის და ყოველს ადგილს მისი გამაუმჯობესებელი მიზნების მისაღწევათ. დასასრულ, ჩვენი „შმო"—გაზეთი უნდა იქნეს გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი მშრომელთა მთელი შემოქმედებითი და მომწესრიგებელი აზრის. მან აგრეთვე უნდა გვაჩვენოს როგორც სარკეში ყველა მიღწევები სამრეწველო და სახელმწიფო დაწესებულებების შრომის რაციონალიზაციის საქმეში.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი ამ ჟამად იმუშავებს პრაქტიკული ზომების ფორმებს სამრეწველო და სახელმწიფო დაწესებულებებში მუშების გამოგონებათა დასახმარებლად. ამიერ-კავკასიის სინამდვილეში ამ ზომებმა, რომლებიც ძირითად დებულებებში ეთანხმებიან ცენტრალურ საკავშირო დაწესებულებების დირექტივებს, განსაკუთრებული მიზეზების გამო კიდევ უფრო უნდა გაუსვან ხაზი ამ ხელის შეწყობის მრავალ მხრივობას. ზომები უნდა მდგომარეობდნენ:

ა) სათანადო ორგანოების მიერ ყურადღების გაძლიერებაში გამოგონებათა და გაუმჯობესებათა მიღებისა და შემოწმებისადმი, განსაკუთრებით ისეთ გამოგონებათა, რომლებიც გამომდინარეობენ მუშებისა და მდაბალი პერსონალის წრეებიდან, და მათ ფართო გავრცელებაში სხვა სამრეწველო დაწესებულებებში, თუ კი ერთ რომელიმეში წარმატებით იქნა ის გამოყენებული;

ბ) ყოველმხრივ წაქეზებაში, მატერიალური, პრემიების გაცემაში და მუშა გამომგონის გზაზე ყველა დაბრკოლებების დაძლევაში, ხოლო ხელმოკლეობის დროს მისთვის ტეხნიკური დახმარების გაწევაში და საერთოდ სასარგებლო გამოგონებათა ხელსაყრელ რეალიზაციაში;

გ) მთელ რიგ ორგანიზაციულ ზომებში, როგორც გამოგონებათა და გაუმჯობესებათა საავტორო უფლებების დაცვისათვის, ისე სათანადო ინსტანციების გავლის წესრიგში, ამ გავლის მაქსიმალური შემსუბუქებით;

დ) გამოგონებათა და გაუმჯობესებათა საექსპერტო აპარატების მუშაობის გაუმჯობესებაში;

ე) პრესის საშუალებით მუშების გამოგონებათა ფართო გაშუქებაში; გამოგონებათა გამოფენაში მათი სარგებლიანობის შესახებ ანგარიშებით და სხ.

ვ) და დასასრულ, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მიერ თვალყურის დევნებაში მუშების გამოგონებათათვის იმ სარგებლის გამონაგარიშებით, რომელიც შეუძლია იმათ მოუტანონ სამრეწველო დაწესებულებებს.

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ მუშების გამოგონებათა მნიშვნელობა სავსებით შეთვისებული იქნება ჩვენი სამრეწველო და სახელმწიფო დაწესებულების და სათანადო პროფკავშირთა ორგანოების ხელმძღვანელთა მიერ, და ის მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონფლიქტო კომისიების მიერ ხელის შეწყობით გამოიღებს დიდ ნაყოფს საბჭოთა კავშირის პროლეტარული მასების შეჯიბრების ფრონტზე უცხოეთის კაპიტალისტურ სამეურნეო სისტემასთან.

ნ. ლეჟავა.

ზაჰესის ფინანსიური მდგომარეობა

მოსკოვიდან მიღებული ცნობით, თანხების მიწოდების მხრივ ზაჰესის მშენებლობის დამთავრება სავსებით უზრუნველყოფილია. როგორც საქ. სახ. კომ. საბჭოს ატყობინებს ა|კ. რწმუნებული ამხ. ტერ-გაბრიელიანი, საბჭოთა კავშირის მომავალი წლის ბიუჯეტში შეტანილია ზაჰესის დასამთავრებლად საჭირო თანხა—1.200.000 მანეთი. მიღწეულია შეთანხმება საბჭ. კავ. ფინ. სახ. კომისარიატთან და ელექტრობანკთან, რომ ზაჰესს ბიუჯეტში შეტანილი თანხის გარდა გარანტიის ქვეშ მიეცეს სესხად შეღავათიან პირობებში ერთი მილიონი მანეთი, რომლის დაფარვასაც 1926 წლის ოქტომბრიდან კისრულობს საბჭოთა კავშირის ფინ. სახ. კომი.

შეთანხმების მიხედვით ელექტრობანკი სესხის გაღებას ზაჰესისათვის იწყებს 1926 წლის პირველ მარტიდან. თანხების მიწოდებას გეგმა შეთანხმებულია ფინ. სახ. კომისარიატთან, ელექტრობანკთან და ზაჰესის წარმომადგენელთან ზაჰესის საჭიროებასთან სრულ შეფარდებით. მარტამდე ა.-კ. ფინსახკომს ნება ეძლევა ზაჰესს მიახმაროს თავის 1.900.000 მანეთიანი ფონდიდან, ა.-კ. სახ. კომ. საბჭოს ანაბარეული 150.000 მანეთი—რაოდენობით. გარდა ამ თანხებისა, მარტამდე სხვადასხვა დაწესებულებიდან ზაჰესი მიიღებს 197 ათას მანეთს და 60 ათას მანეთს ყოველთვიურ ასიგნობას თბილისის აღმასკომიდან.

მარტიდან დაიწყებს სესხის მიცემას ელექტრობანკი, გაგრძელდება აგრეთვე ყოველთვიურად აღმასკომის მხრივ ნორმალური ანაბარების გადადება ზემოხსენებულ რაოდენობით (60 ათასი მანეთი). ამ ჯამს მიემატება ის თანხა, რომელსაც ზაჰესს მისცემს დარჩენილი და გამოუყენებელი საამშენებლო მასალის განაღდება.

ამგვარად ზაჰესისათვის საჭირო თანხების წყაროა: 2.500.000 მანეთი საბჭოთა კავშირის ბიუჯეტიდან, 1.900.000 მანეთი ა.-კ. განსაკუთრებული ფონდიდან, 150 ათასი მანეთი ა.-კ. სახ. კომ. საბჭოს სარეზერვო ფონდიდან და 1.500.000 ადგილობრივი თანხები. ამ თანხათა ჯამი უდრის სულ 5.600.000 მანეთი. აქედან ა. წ. პირველ სექტემბრამდე უკვე მიღებულია 500 ათასი მანეთი.

გერმანელ და ჩეხო-სლოვაკელ მუშა-ახალგაზრდობის დელეგაციები

ზაჰესში

28 ნოემბერს დელეგაცია სრული შემადგენლობით ეწვია ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო რაიონს. დელეგატებმა მოკლე ხნის განმავლობაში დაათვალიერეს ყველა მნიშვნელოვანი ადგილები, რამაც მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ა|კ. კომუნისტურ უნივერსიტეტში

ზაჰესიდან დაბრუნების შემდეგ დელეგაციები ესტუმრნენ ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტს და იქ არსებულ სტუდენტთა სათვისტომოს. დელეგატებს გააცნეს სწავლის საქმის დაყენება და მეცადინეობის მეთოდი ა|კ. კომუნისტურ უნივერსიტეტში. აქვე გამოიკითხეს დელეგატებმა სტუდენტთა ყოფა-ცხოვრების და მეცადინეობის პირობები.

დელეგაციები სოფელ ასურეთში.

კვირას, 29 ნოემბერს, დილით დელეგაციები სრული შემადგენლობით და კომკავშირის ცეკას პრეზიდიუმის წევრების თანხლებით გაემგზავრნენ სოფელ ასურეთში, სადაც დელეგატებმა მიუსწრეს სასოფლო ყრილობას.

მოხსენებას, თემის აღმასკომის მუშაობის შესახებ, აკეთებდა საბჭოს თავმჯდომარე. დელეგატებს მოკლედ გადაუთარგმნეს მოხსენების, გლეხებისაგან მიცემული შეკითხვების და აგრეთვე კამათის შინაარსი. მომხსენებელს თემის მდგომარეობისა და საბჭოთა ორგანოების საქმიანობის შესახებ შეკითხვები მისცეს თვით დელეგატებმა, რომელთაც მიიღეს დამაკმაყოფილებელი პასუხი. ასურეთში ყოფნით დელეგატებს საშუალება მიეცათ, დარწმუნებულიყვნენ, თუ როგორ ტარდება საბჭოთა მმართველობის სისტემა სოფლად. თავიანთი შთაბეჭდილების გადმოცემის დროს, უცხოელი ახალგაზრდები აღფრთოვანებას გამოსთქვამდნენ ხელისუფლების ორგანოებისა და ხალხის შორის არსებული საქმიანი კავშირის გამო.

სასოფლო ყრილობის დასრულების შემდეგ დელეგატებმა ინახულეს გლეხთა მეურნეობანი, გაეცნენ გლეხის ნივთიერ მდგომარეობას, მეურნეობათა ხასიათს და მუშაობის წესებს.

ასურეთში გამართულმა ექსკურსიამ დელეგატებში დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

დელეგაციები მთავრობის თავმჯდომარესთან

ასურეთიდან დაბრუნების შემდეგ დელეგაციები სრული შემადგენლობით მიიღო საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. შალვა ელიავამ. ურთიერთ შისალმების შემდეგ სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარემ გაუკეთა მოხსენება საქართველოს მდგომარეობისა და მისი ახლო წარსულის შესახებ.

შემდეგ დელეგატებმა მისცეს მრავალი შეკითხვები საქართველოს ეკონომიურ-პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებაზე, რაზედაც მათ გაეცათ ამომწურავი პასუხი.

დასასრულ გადაუხადეს რა მადლობა ცნობების მიწოდებისათვის, დელეგაციები გამოემშვიდობნენ მთავრობის თავმჯდომარეს.

დელეგატები გამასწორებელ სახლში

ორშაბათს, 30 ნოემბერს, დილით დელეგატები ეწვიენ მეორე გამასწორებელ სახლს, სადაც მოთავსებული არიან პოლიტიკური პატიმარნი, მათ ჰქონდათ საუბარი ყოფილ პარიტეტულ კომიტეტის წევრებთან. დელეგატები გაეცნენ აგრეთვე გამასწორებელ სახლის რეჟიმს და პატიმართა ყოფაცხოვრებას.

მუშაობა რუსეთის ლენინურ კომკავშირის ახალგაზრდობას შორის

ამხ. ბუხარინის თეზისები მე-XIV პარტყრილობისათვის მოწონებული რ. კ. პ. (ბ) ც. კ. პოლიტბიუროს მიერ

შესავალი.

1. რუსეთის ახალგ. ლენინურ კომკავშირის მუშაობა უნდა იყოს შეფარდებული მიმდინარე მომენტის თავისებურებებთან. სამეურნეო ზრდა, როგორც ქალაქში, ისე სოფლად, მეურნეობის სოციალისტურ ელემენტების წარმატებანი სხვადასხვა სამეურნეო ფორმებს შორის წინაალმდეგობათა გამწვავების დროს (სახელმწიფო მეურნეობა და კერძო კაპიტალი, კულაკობის ზრდა სოფლად, საშუალო შეძლების გლეხის აღორძინება, ღარიბ გლეხობის ნაწილობრივი პროლეტარიზაცია და სხვ.). ახალი ურთიერთ დამოკიდებულება ქალაქსა და სოფელს შორის საერთოდ (წარმოების ნაკლებობა, მიუხედავათ ინდუსტრიის ზრდისა) საქონლის მეურნეობის განვითარების საფუძველზე,—ასეთია ეს თავისებურებანი, რომლებიც საბოლოო ანგარიშით, განსაზღვრავენ მუშაობას ახალგაზრდობის შორის.

2. ეკონომიურ ზრდის და ამ ზრდის წინაალმდეგობათა ნიადაგზე მოსალოდნელია ერთგვარი ცვლილება ქვეყნის კლასიურ ურთიერთ დამოკიდებულებაში. იზრდება და ირაზმება ქალაქის მრეწველობის პროლეტარიატი და ამავე დროს ხდება მისი შინაგანი შემადგენლობის ცვლილება (კვალიფიციურ მუშების დაბრუნება სოფლებიდან, გაპროლეტარებულ გლეხების ახალი ფენები, მუშათა ახალგაზრდობა, რომელიც პირველად ებმის საწარმოო პროცესში). იზრდება მოსამსახურეთა ფენები—სახელმწიფო, სახელმწიფო-სამეურნეო და კოოპერატიულ აპარატის გართულების და ზრდის მიხედვით. ამავე დროს იზრდებიან ახალი ბურჟუაზიის ფენები, განსაკუთრებით, სავაჭრო კაპიტალის სფეროში, ფენები, რომლებიც სცდილობენ დაიპყრონ ქალაქის მოსამსახურე ინტელიგენციის ნაწილი და დაეყრდნონ შეძლებულ ფენებს სოფლში, სადაც საშუალო შეძლების გლეხობის მასის აღორძინების დროს შედარებით ძლიერდება ორივე უკიდურესი ფრთა: კულაკობა ერთის მხრივ და სოფლის ღარიბი გლეხობა და დაქირავებული მუშები—მეორეს მხრივ.

3. სამეურნეო ზრდის საფუძველზე იზრდება ყველა კლასების, კლასიურ ჯგუფების აქტივობა და ასეთ პირობებში პროლეტარიატის ხელმძღვანელობა ქვეყნის საერთო პოლიტიკის და ეკონომიკისადმი შეიძლება შენარჩუნებული და განმტკიცებული იქნას მხოლოდ ახალ განვითარების უმაღლეს საფეხურზე; გლეხობის აქტივობის ზრდა გულისხმობს პროლეტარიატის აქტივობის კიდევ მეტ ზრდას, რათა შენარჩუნებული იქნას სწორი ურთიერთ დამოკიდებულება ძირითად კლასებს შორის, ე. ი. მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი.

4. ასეთ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის საკითხს მის სხვადასხვა შემადგენელ ნაწილებში. ჰასაკების ბუნებრივი გადანაცვლება სხვადასხვა გამოცდილების მქონე ახალგაზრდობისა (ახალი ჰასაკოვანი ფენები, რომლებიც არ იცნობდენ არც ფეოდალურ, არც ბურჟუაზიულ რეჟიმს, რომლებსაც არ უნახავთ სამოქალაქო ომიც კი) და ამ მხრივ ახალგაზრდობის ხვედრითი წონის გადიდება ამწვავებს საკითხს უკანასკნელის შესახებ და ამ საკითხს ეძლევა დღევანდელ დროის მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემის ხასიათი.

5. კლასიურ წინაალმდეგობის განვითარება და ახალი ბურჟუაზიის ზრდა ქალაქში და სოფლად მოასწავებს აგრეთვე გაძლიერებულ ბრძოლას ახალგაზრდობისათვის. ამიტომ სრულიად შემთხვევითი არ არის, რომ რევოლიუციაში დამარცხებული პარტიების ნაშთები—ესერები და განსაკუთრებით მენშევიკები—სპეკულაციას ეწევიან უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობაზე: ავრცელებენ ბურჟუაზიულ—რესტავრაციულ შეხედულებებს მუშათა და მოსწავლე ახალგაზრდობის შორის; ხატავენ ჩვენ სოციალისტურ სახელმწიფოებრივ წარმოებებს, როგორც უბრალო კაპიტალიზმს ან სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის ამა თუ იმ ფორმას; ამ წარმოების სისტემას, როგორც მუშათა კლასის ექსპლოატაციის სისტემას; პროლეტარიატის სახელმწიფოს, როგორც კაპიტალისტურ დამქირავებელს და სხვა. ესენი უარყოფენ პროლეტარიატის დიქტატურას და იმ ფაქტს, რომ მთავარი საწარმოო საშუალებანი ეკუთვნიან პროლეტარულ სახელმწიფოს, იყენებენ ჩვენს ნაკლულოვანებებს, სცდილობენ შეარყიონ მუშათა კლასის და მოსწავლე ახალგაზრდობის რწმენა პროლეტარიატისადმი, აღვივებენ პესიმიზმს და ამგვარად ამზადებენ იდეურ ნიადაგს აშკარა ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციისთვის. გლეხობის შორის მათ სურთ გამოიყენონ კულაკურ ზედაფენების და იმ ღარიბ გლეხობის ნაწილის უკმაყოფილება, რომელიც ჯერ კიდევ იმყოფება მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში.

6. ბრძოლა ახალგაზრდობისათვის მისი სათანადო აღზრდა, სოციალისტურ რევოლიუციის გამოცდილების შენარჩუნება და შეგუება უდიდეს საალმშენებლო-ორგანიზაციულ ამოცანებთან სწორი ხელმძღვანელობის შენარჩუნების და განმტკიცების დროს ნაკარნახევია თანამედროვე პერიოდის უმთავრესი თავისებურებით.

I. კომკავშირის ძირითადი პრობლემები მიმდინარე პერიოდში

7. ყრილობა აღნიშნავს კომკავშირის მთელ რიგ მიღწევებს გასული წლის განმავლობაში (მუშათა ახალგაზრდობის 50 პროც. დაპყრობა, მუშაობის გაძლიერება სოფლად, აღმზრდელობითი მუშაობა საერთოდ და პოლიტიკური სწავლა კერძოდ, ახალ აქტივისტების წამოყენება, კომკავშირის დაახლოვება პარტიასთან და მის ხელმძღვანელობასთან არალენინურ გადახრის წინააღმდეგ ბრძოლას და ყოფილი დისკუსიის შემდეგ.

8. უმთავრეს მოვლენებად კომკავშირის მუშაობაში შეიძლება ჩაითვალოს ამჟამად 4 მოვლენა:

პირველი—კავშირის და პიონერთა ორგანიზაციის უდიდესი ზრდა, განსაკუთრებით კავშირის გლეხურ უჯრედების ზრდა; მეორე—დისციპლინის შესუსტება კომკავშირის რიგებში, მესამე (რასაც განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას), ერთგვარი წინააღმდეგობა ერთის მხრივ მუშაობის ფორმებსა და შინაარსს და მეორეს მხრივ სამეურნეო ზრდაზე დამყარებულ მოთხოვნილებებს შორის; ბოლოს, მეოთხე—წინააღმდეგობა კავშირის და პიონერთა ორგანიზაციების ზრდასა და არასაკმარის ხელმძღვანელობის შორის (პროლეტარიატის და გლეხობის, პარტიის და კომკავშირის, კომკავშირის და პიონერების მიმართ).

9. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მასების ახალ მოთხოვნილებათა შეუფარდებლობა სამეურნეო ზრდასა და კომკავშირის მუშაობის მეთოდებსა, ფორმებსა და შინაარსთან. მუშაობის შეფარდება ამ საკითხებთან წარმოადგენს კომკავშირის მოძრაობის ცენტრალურ პრობლემას მიმდინარე გარდატეხის პერიოდში.

10. ქალაქში მუშათა ახალგაზრდობისათვის ეს პრობლემა დასმულია შემდეგნაირად: წარმოებაში ჩაბმული ძირიან ახალგაზრდობის ახალი ფენები, სამეურნეო განვითარება ბუნებრივად იწვევს ამ ფენებში ლტოლვას—გააუმჯობესონ თავიანთი მატერიალური მდგომარეობა (ხელფასის საკითხი პირველ რიგში), მიიღონ სათანადო პროფესიონალური განათლება და შეძლებისდაგვარად მაღალი საწარმოო კვალიფიკაცია, ჩაებან საწარმოო პროცესში საერთოდ, შეძლებისდაგვარად მიიღონ მონაწილეობა წარმოების სამეურნეო საქმეებში, გაელენა მოახდინონ მის მუშაობაზე, ყოფაცხოვრების დარგში იქონიონ ერთგვარი დასასვენებელი დრო და გართობის ერთგვარი მინიმუმი და სხვა.

11. ამ სრულიად ჯანსაღ მოძრაობაში შეიძლება იყოს ორი გადახრა: ჯერ ერთი—ამ სტიქიის ბრმა, არაკრიტიკული წაქეზება, მეორე—პირდაპირი ბრძოლა ამ მოძრაობის წინააღმდეგ. ორივე ეს ხაზი არასწორია და ამას შეუძლია დაარღვიოს მუშაობა ახალგაზრდობის შორის.

ამ სტიქიის შეუკავებელი გაშლა აუცილებლად გამოიწვევს განხეთქილებას მუშათა სხვადასხვა ჯგუფებსა და მთელ კლასს შორის, სხვადასხვა მუშებსა და მუშათა სახელმწიფოს შორის, იგი აუცილებლად განავითარებს მეშჩანურ ინდივიდუალიზმს მუშათა კლასში და გააძნელებს სოციალისტური მშენებლობის საქმეს. არა ნაკლებ საზიანოა მეორე გადახრა, რომელიც გადაჭრით უარყოფს ჯანსაღ მზრუნველობას მუშათა ახალგაზრდობის მატერიალურ კეთილდღეობაზე, ვინაიდან მისი ძირითადი ინტერესება სოციალისტური მშენებლობით მშვიდობიანობის და სამეურნეო ზრდის პირობებში შეიძლება მხოლოდ მისი მატერიალური მდგომარეობის სისტემატიურად გაუმჯობესებით. ამიტომ პირადი და ჯგუფური ინტერესების დაკავშირება მთელი კლასის ინტერესებთან წარმოადგენს ცენტრალურ პრობლემას კომკავშირის მთელი მუშაობის დაყენებაში.

12. ამავე დროს კომკავშირის მუშაობაში ადგილი აქვს ისეთ ფორმებს, ისეთ მეთოდებს, მუშაობის ისეთ შინაარსს, რომელიც უფრო შეეფერებოდა ჩვენი განვითარების წარსულ პერიოდს. პროპაგანდა, აგიტაცია, უჯრედების დღის წესრიგი და ყოველდღიური მუშაობა არ არის საკმარისად დაკავშირებული გაძლიერებულ ლტოლვასთან მატერიალური კეთილდღეობისაკენ; კავშირი პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის არ შეადგენს მუშაობის მთავარ საგანს; მეთოდები არ შეეფერება აქტივობის ზრდას (ბიუროკრატიზმის ელემენტების არსებობა აპარატში) და სხვ. ყველაფერი ამის დაკავშირება, რევოლიუციონურ სოციალისტურ მშენებლობის მთავარ ამოცანისთვის დაქვემდებარება—ასეთია კომკავშირის მუშაკთა უმთავრესი დირექტივი ქალაქში.

13. სოფლად შემჩნეულია იგივე მოვლენა: სოფლის დაქირავებული მუშები და ღარიბი გლეხობა ილტვიან თავის მატერიალურ ინტერესების პირდაპირი დაცვისაკენ, თავის (ან კოლექტიურ) მეურნეობის აღორძინებისაკენ; საშუალო შეძლების გლეხობაში ასეთი ლტოლვა კიდევ უფრო მკაფიოთაა გამოხატული.

ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობას და მისი ახალი თაობის აქტიური ფენები თანამედროვე სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლების პირობებში სცდილობენ გააუმჯობესონ თავიანთი მატერიალური მდგომარეობა თავიან წარმოების უკეთესად დაყენებით, მეურნეობის უფრო გაუმჯობესებულ ფორმებზე გადასვლით; გაზარდონ თავიანთი კულტურული დონე და გამდიდრდენ უწინარეს ყოვლისა პრაქტიკული ხასიათის სასარგებლო ცოდნით.

გააუმჯობესონ თანამედროვე სოფლის ყოფა-ცხოვრების პირობები საერთოდ და კერძოდ, გამოძებნონ სალი გასართობის საზოგადოებრივი ფორმები, რომლისკენაც მიილტვის ახალგაზრდობა.

ინდივიდუალური მეურნეობის აღორძინების პრობლემის შეფარდება სოციალისტური აღმშენებლობის საერთო ინტერესებთან და ამასთან დაკავშირებით მუშაობის სათანადოთ დაყენება—აი, ასეთია ის მთავარი დასკვნა, რომელიც ჩვენ უნდა გამოვიტანოთ ეხლანდელი მდგომარეობის გათვალისწინებიდან.

14. ამრიგად, კომკავშირის წინაში სდგას ამოცანად თავისი მუშაობის, თავისი ორგანიზაციის გამოცოცხლება. გარდატეხის მომენტი მის განვითარებაში ხვდება გარდატეხის მომენტს საბჭოების, პროფკავშირების და პარტიის განვითარებაში, რაც გამოხატავს გარდამავალ მომენტს საერთოდ მთელი ქვეყნის განვითარებაში. კომკავშირის გამოცოცხლება არის აქტიურ-რევოლიუციონურ ძალების ზრდის საერთო ჯაჭვის რგოლი ეხლანდელ მომენტში.

15. მასების აქტივობის ზრდა და წამოყენებულ ხელმძღვანელთა უფრო ფართო კადრის შერჩევის აუცილებლობა მოითხოვს გადამჭრელ კურსის აღებას დემოკრატიაზე კომკავშირის ორგანიზაციის შიგნით. თუ ეხლანდელი მომენტი გვიკარნახებს ცვლილებების შეტანას მუშაობის შინაარსში, არა ნაკლებ აუცილებელია შეგუება მიმდინარე ამოცანებთან და აგრეთვე მუშაობის ახალ შინაარსთან, მის ორგანიზაციულ ფორმებთან (დემოკრატია კომკავშირის შიგნით) და მუშაობის მეთოდებთან (მაქსიმუმი დარწმუნებისა და მინიმუმი იძულებისა).

16. ზემოდ აღნიშნული ნაკლულოვანებანი წარმოადგენენ (რამდენადაც ეს მიზეზები შედეგია კომკავშირის არა სწორი მუშაობის) მთავარი მიზეზს იმისას, რომ ადგილი აქვს კომკავშირის რიგების დატოვებას. კავშირის დიდ ზრდასთან ერთად, ჩვენ ხშირად ვხედავთ მისი რიგებიდან გასვლასაც. ამ მოვლენის ანალიზი გვიჩვენებს, რომ გასვლას ასაბუთებენ უმეტეს შემთხვევაში მით, რომ „კავშირში რა უნდა ვაკეთოთ", რომ ის „არაფერს არ გვაძლევს", რომ უმჯობესია ვეძიოთ ნამდვილი (ე. ი. პირველყოვლისა, პროფტეხნიკური) განათლება ან (სოფლად) ხელი მივყოთ ნამდვილ „საქმეს" (ე. ი. მეურნეობის აღდგენას). ყველაზე უფრო ძლიერ და ცოცხალ უჯრედებს ქალაქებში წარმოადგენენ ის უჯრედები, რომლებმაც შესძლეს დაეკავშირებიათ ცხოვრების დონის ამაღლების ინტერესები საერთოდ მთელი სახელმწიფო წარმოების ინტერესებთან და, მაშასადამე, რევოლიუციის საერთო ინტერესებთან. ყველაზე უფრო ძლიერ და ცოცხალ უჯრედებს სოფლად წარმოადგენენ ის უჯრედები, რომლებიც აწარმოებენ პრაქტიკულ მუშაობას სასოფლო მეურნეობის აღსადგენად (სასოფლო-სამეურნეო წრეების, კოოპერაციის, აგრონომებთან კავშირის შემწეობით). ყველაზე უფრო ძლიერ და ცოცხალ კლუბებს წარმოადგენენ ის კლუბები, რომლებიც იძლევიან არა მშრალ, შაბლონურ მასალებს, არამედ ერთგვარ ცოცხალ გასართობთა მინიმუმს.

17. დისციპლინის დაცემას აძლიერებენ მეტად მნიშვნელოვანი გარეშე მიზეზები: გადაჯგუფება მუშურ და გლეხურ ახალგაზრდობის შემადგენლობაში, საერთოდ, უმუშევრობის არსებობა ქალაქებში, მოსახლეობის ზრდით გამოწვეული მიწის სივიწროვე, აღებ-მიცემობის განვითარება, მისი წინააღმდეგობები, და კერძოთ, ალკოჰოლის მოხმარების ზრდა ინდუსტრიალურ ქალაქებში. საზოგადოთ სამეურნეო გაჯანსაღების და კერძოთ ახალგაზრდობის შრომის გაუმჯობესებისათვის მიღებულ ზომებთან ერთად, საჭიროა თავგამოდებული, სისტემატიური ბრძოლა კომკავშირის რიგებიდან გასვლის წინააღმდეგ და მთელს კავშირში დისციპლინის აღდგენისათვის.

18. ამასთან უშუალოდ არის დაკავშირებული აუცილებელი ბრძოლა ყოფა-ცხოვრების მოწესრიგებისათვის როგორც კომკავშირის შიგნით, ისე მის გარეშე—უპარტიო მუშურ და გლეხურ ახალგაზრდობას შორის. ძველი დაუდევრობის და ანარქიზმის ნაშთები ყოფა-ცხოვრებაში ამჟამად კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან სამეურნეო განვითარების მოთხოვნილებებს. სახელმწიფო და კოოპერატიულ მეურნეობის მუშაკთა კადრები შესძლებენ სწორად და ძლევამოსილად გაუძღვნენ საქმეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი უფრო სწორად და ჯანსაღად „იანგარიშებენ", იმუშავებენ და იცხოვრებენ. თავაშვებულობის ელემენტებს, რომლებიც ნიადაგს პოულობენ ნაწილობრივ რევოლიუციის წინანდელ ინტელიგენტურ იდეოლოგიის ნაშთებში, ნაწილობრივ კომკავშირულ და უპარტიო ახალგაზრდობის კლასობრივად დაშლილ, ლუმპენ-პროლეტარულ, მეშჩანურ, წვრილ-ბურჟუაზიულ და ინტელიგენტურ-ანარქისტულ წრეებში,—დაბოლოს გადამჭრელი ბრძოლა უნდა გაუწიოს პროლეტარული ახალგაზრდობის შეგნებულმა ნაწილმა.

19. კომკავშირის მუშაობის ძირითად პრობლემად ამთავითვე უნდა იქნეს დასმული ხელმძღვანელობის პრობლემა. ამაში შედის კავშირის პროლეტარულ და გლეხურ ნაწილის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი, საკითხი პარტიული კადრის შესახებ კომკავშირში, საკითხი პარტიის ხელმძღვანელობის შესახებ, საკითხი პიონერთა ორგანიზაციებისადმი კომკავშირის ხელმძღვანელობის შესახებ.

20. აქ საქმის საერთო მდგომარეობა შეიძლება დახასიათებულ იქნეს, როგორც დიდი შეუფარდებლობა რ. ლ. კომკავშირის ზრდასა და ხელმძღვანელობის შორის. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი პროლეტარული ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად კავშირში (ამიტომაც ეხლა განსაკუთრებით ხაზს უსვამთ მთელი მშრომელი ახალგაზრდობის კავშირში ჩაბმის ლოზუნგს); რ. ლ. კომკავშირში არ მუშაობენ პარტიის საკმაო ძალები; ცუდათ არის დაყენებული, როგორც თვისობრივად, ისე რიცხობრივად, პიონერთა ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის საქმე.

ყრილობა აქცევს უაღრესად სერიოზულ ყურადღებას დიდ საფრთხეებს, რომლებიც გამომდინარეობენ აქედან, და უმთავრესს ამ საფრთხეებს შორის—განხეთქილების შესაძლებლობას კავშირის პროლეტარულ და გლეხურ ნაწილს შორის, პროლეტარული ხელმძღვანელობის შესუსტებას.

პარტყრილობისათვის

სამეურნეო ორგანოები და სარევიზიო კომისიები
(წინადადების წესით)

პარტიის ყრილობის დღის წეს-რიგში სდგას სამეურნეო საკითხები. ყრილობამ უნდა მიაქციოს ყურადღება ერთ არა ნორმალურ მდგომარეობას და თავის ავტორიტეტული დადგენილებით გამოასწოროს შეცდომა.

ეს არა ნორმალური მდგომარეობა გამოიხატება იმაში, რომ უმაღლეს სამეურნეო საბჭოსთან არსებობს ამი სარევიზიო კომისია. ისინი რევიზიის უკეთებენ სამეურნეო საბჭოში შემავალ ტრესტებს და რევიზიის შედეგებს სხვადასხვა წინადადებათა სახით ატარებენ უმაღლეს სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმში. პრეზიდიუმის წევრებათ კი ტრესტების ხელმძღვანელები არიან. ამრიგათ გამოდის, რომ რევიზიის აღმოჩენილ შენიშვნების მიღება ან უარყოფა დამოკიდებულია იმათზე, ვისაც რევიზია უკეთდება. ცხადია, რომ ასეთ წესის დროს ადგილი ექნება შენიშვნების შესუსტებას, ზოგიერთი წინადადების უარყოფას და სხვა. საერთოდ არსად არ ხდება, რომ რევიზიით აღმოჩენილ დეფექტების ცნობა ან უარყოფა დამოკიდებული იყოს თვით იმ პირებისაგან და ორგანოებისაგან, რომელსაც რევიზია უკეთდება.

ამაზე, შეიძლება, გვიპასუხონ, რომ პრეზიდიუმში, ვსთქვათ თამბაქოს ტრესტის რევიზიის შედეგების წინადადებების მიღების დროს, თამბაქოს ტრესტის ხელმძღვანელი—პრეზიდიუმის წევრი, ერთი ხმით სარგებლობს და მას არავითარი გავლენა არ ექნება გადაწყვეტილების მიღებაზეო. რომ ტრესტის წარმომადგენელი ერთი ხმის უფლებით სარგებლობს ეს სიმართლეა, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ერთი ფსიქოლოგიური მომენტი. დანარჩენი ტრესტის ხელმძღვანელებს—საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს შეუძლიათ წარმოიდგინონ, რომ მოხდება მათი ტრესტის რევიზიაც, რევიზიის შედეგების განხილვა, ასეთ შემთხვევაში ძნელია დასმულ საკითხისადმი სრული ობიექტიური მიდგომა.

ესეც რომ არ იყოს, არის კიდევ ერთი ფრიად საყურადღებო მოსაზრება. სამეურნეო სარევიზიო კომისიები ემორჩილებიან უმაღლეს სამეურნეო საბჭოს, ან უფრო სწორად რომ ვსთქვათ, მის პრეზიდიუმს, სადაც უმეტეს ნაწილათ შედიან ტრესტების ხელმძღვანელები. გამოდის რომ ნაწილობრივათ სარევიზიო კომისია ემორჩილება ტრესტის ხელმძღვანელს. სარევიზიო კომისიის წევრები სთვლიან თავის „მბრძანებლებათ“ პრეზიდიუმის წევრებს—ტრესტის ხელმძღვანელებს და რევიზიის გაკეთების დროს ისინი იმ საკითხებს, რომელიც შეიძლება შეეხოს ამ ხელმძღვანელებს გადააფუჩეჩებენ და ან სუსტათ გამოხატავენ რევიზიის შედეგებში. ასეთ მდგომარეობას ობიექტიურათ შეუძლია ჰქონდეს ადგილი და თუ არ ვცდები, თვით სარევიზიო კომისიების წევრების გადმოცემით, ასეთი შემთხვევები უკვე იყო. ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ჯერჯერობით ჩვენ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმ საფეხურამდე, რომ დაქვემდებარებულმა პირმა ან ორგანიზაციამ გაბედულათ და სხვებით გაუკეთოს შენიშვნები და მიუთითოს შეცდომაზე თავის უმაღლეს ორგანოს ან ხელმძღვანელ პირს.

თუ გვინდა, რომ სამეურნეო ორგანოების სარევიზიო კომისიების მუშაობა იყოს ნაყოფიერი (მათ მუშაობას—კი დიდი მნიშვნელობა აქვს) უნდა შევსცვალოთ ახლა არსებული წესი, ან ისინი უნდა გავათავისუფლოთ სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმის დამორჩილებისაგან და გადავსცეთ სხვა ორგანოებს (შესაძლებელია ეკონომიურ საბჭოსთვის დაქვემდებარება) ან კიდევ ტრესტების ხელმძღვანელები არ უნდა იყვნენ უმაღლეს სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმის წევრებათ.

თუ საკითხი ასე არ გადასწყდა, მაშინ უკეთესია სარევიზიო კომისიები მოსპობილ იქნან.

ხ. გ—ძე.

სამეურნეო ორგანოები და პროფკავშირები
(წინადადების წესით)

ამხ. ყურულაშვილის თეზისებში არის შემდეგი ადგილი:

„მიუხედავათ პროფკავშირების მუშაობის საგრძნობლად გაუმჯობესებისა, მათ ჯერ კიდევ სავსებით ვერ აღმოუფხვრეს სამხედრო კომუნიზმის პერიოდის მუშაობის მეთოდები, რაც გამოიხატება ზოგჯერ სამეურნეო ორგანოს კავშირით შეცვლის ტენდენციაში, სამეურნეო ფუნქციების მითვისების ცდაში“.

ამრიგად თეზისები პირდაპირ აყენებენ საკითხს იმის შესახებ, რომ პროფესიონალური კავშირები არ უნდა ერეოდენ სრულებით სამეურნეო ორგანოების მუშაობაში.

ასე გადაჭრით საკითხის დაყენება ჩვენის აზრით შეცდომა არის. ის არ ეგუება ცხოვრების სინამდვილეს. საკითხი იჭრება განყენებულად და მისმა ასე განყენებულად გადაჭრამ შეიძლება უარყოფითი ნაყოფი გამოიღოს.

დაუკვირდეთ ამას კარგად და გავიხსენოთ წარსული. ახლო წარსულში პროფესიონალური კავშირები ეწეოდენ სამეურნეო საქმეებს, ხშირად სამეურნეო ორგანოებს სცვლიდენ და მათ მაგიერობას ასრულებდენ, იმიტომ კი არა რომ ჯინაზე იქცეოდენ, არამედ იმიტომ, რომ სამეურნეო ორგანოები მაშინ სუსტნი იყვნენ, ვერ იდგენ თავისი დანიშნულების სიმაღლეზე და პროფესიონალურ კავშირებს ძალაუნებურათ უნდა მოეკიდნათ ხელი სამეურნეო საქმეებისათვის.

ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა. სამეურნეო ორგანოები მოღონიერდენ, განმტკიცდენ და კავშირების მიერ მათ საქმეებში ჩარევა საჭირო აღარ ხდება. მაგრამ... ჯერ კიდევ აქა-იქ ჩვენ მოგვეპოვებიან სუსტი სამეურნეო ორგანოები, ან ცალკე სამეურნეო საკითხების გადაჭრაში ესა თუ ის სამეურნეო ორგანო იჩენს უილაჯობას, დროზე ზომებს ვერ იღებს და სხვა. ამ შემთხვევებში რას იტყვით, როგორ უნდა მოიქცეს პროფესიონალური კავშირი? გულზე ხელი დაიკრიოს და შორიახლოს სეირს უყუროს? ეს ხომ დანაშაულობა იქნებოდა პროლეტარული დიქტატურის წინაშე. საბჭოთა პროფესიონალური კავშირი უაღრესად დაინტერესებული არის მეურნეობის მშენებლობაში და დაჩქარებითწინსვლაში და ბუნებრივია, რომ ის სუსტი სამეურნეო ორგანიზაციის ფუნქციებში ჩაერიოს. თუ ამას არ იზამს პროფკავშირი, ის არ იდგომება თავისი მოვალეობის სიმაღლეზე. კავშირის ასეთი ნაბიჯები კიდეც უნდა წავაქეზოთ.

პროფესიონალურ კავშირების მიერ სუსტ სამეურნეო ორგანოების მუშაობაში ჩარევის აუცილებლობა გამომდინარეობს აგრეთვე იქიდანაც, რომ კავშირი დაინტერესებულია თავის წევრების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებაში ხელფასის აწევით და სხვა ზომებით. თუ კი სამეურნეო ორგანო სუსტათ მუშაობს, ცხადია მას ნაკლები შესაძლებლობა ექნება მუშა-მოსამსახურეების პირობების გაუმჯობესებისათვის; აქედან ნათლად სჩანს კავშირის ჩარევის აუცილებლობა.

პროფკავშირების ამოცანების შესახებ თეზისები, რომელნიც წამოყენებული არიან პარტიულ ყრილობაზე, იჩენენ ორპირობას. ერთი მხრივ ისინი ეუბნებიან კავშირებს, რომ მათ უნდა იზრუნონ საბჭოთა მეურნეობის აღმშენებლობაში, დაეხმარონ სახელმწიფო ორგანოებს და მეორე მხრივ კატეგორიულად უყენებენ საკითხს ხელს ნუ ახლებთ სამეურნეო ორგანოებს, მათ იმუშაონ ისე, როგორც სურთო.

ამ საკითხში საჭიროა გარკვეული დადგენილების მიღება. ის უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ პროფკავშირები, როგორც ფრიად დაინტერესებული ორგანოები არ შეიძლება სრულიად ჩამოცილებული იყვნენ სამეურნეო ორგანოების მუშაობიდან.

ლ—ძე.

სასოფლო მეურნეობა

საქართველოს სახალხო მამულები

ვარციხის სახალხო მამული.

ვარციხის სახალხო მამული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მამულია მთელ იმერეთში. წინათ იგი ეკუთვნოდა ცნობილ ღვინის მრეწველს ანანოვს. მამული მდებარეობს აჯამეთის ახლო და ცნობილია ღვინის დამამზადებელ ერთ საუკეთესო ფირმად მთელს საქართველოში. რევოლიუციის პირველ წლებში მამულის ნაყოფიერება საგრძნობლად დაეცა და ჩამოქვეითდა. 1923 წლიდან იწყება მამულის აღდგენა. ამ ჟამად მამულის ნაყოფიერება იმდენად გაიზარდა, რომ 100 პროც-ით გაუსწრო ომის წინა დროინდელ დონეს. მაგ. ყურძნის საუკეთესო მოსავალ ის დროს კერძო მწარმოებლის ხელში მამული ამზადებდა 50 ათას ვედრო ღვინოს წელს კი მამული ამზადებს 120 ათას ვედროს. მიმდინარე წელსვე მამული ჰაჭისაგან ხდის ერთ მილიონ გრადუსს არაყს. აქვე დამზადებული იქნება 700 ათასი გრადუსი კონიაკი და 2 მილიონი გრადუსი დაწმენდილი სპირტი.

ამ ჟამად ვარციხის სახალხო მამულში ეწყობა კონიაკის ახალი ქარხანა, რომლის ასამუშავებლად საჭიროა განსაკუთრებული ჯიშის ყურძენი. მიწათმოქმედების სახ. კომის. მიმდინარე შემოდგომიდანვე შეუდგა საჭირო ჯიშის ვენახის გაშენებას 10 დესეტინის სივრცეზე. ახალი ქარხანა კონიაკის თვითღირებულებას 70 პროც-ით დასწევს.

წელს ვარციხის სახალხო მამული აწარმოებდა გლეხებისაგან ყურძნის შესყიდვას, ფუთის 1 მანეთიდან—1 მ. 70 კ-მდე.

კახეთის სახალხო მამულები

სახალხო მამულების ტრესტში შედის მუკუზანის, წინანდალის და თელიანის მამულები, რომელთა მდგომარეობა ამ ჟამად დამაკმაყოფილებელია. მოსავალი ამ მამულებში წელს შარშანდელზე ბევრად მეტი იყო.

კახეთის მამულები საჭიროებენ დიდ მზრუნველობას და მოვლას, რადგან არსად საქართველოში ისე არ არის ფილოქსერა გავრცელებული, როგორც კახეთში. კერძოთ, ფილოქსერით დასნეულებულია კახეთის სახალხო მამულებიც. მიწათმოქმედების სახკომის მთავარი ყურადღება [illegible] არის მიქცეული. კომისარიატი მამულებს და აგრეთვე გლეხებს აწვდის სანერგე და სანამყნე მასალას, აწყობს მწარე ღერწის სადედეებს და დამყნილი ვაზის სანერგეებს. სახალხო მამულების ტრესტს განზრახვა აქვს სახალხო მამულების ვენახები გადააქციოს საცდელ საჩვენებელ დაწესებულებად, სადაც გლეხობა შეისწავლის ვენახების კულტურულ მოვლას.

ეკონომიური ცხოვრება

ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატში

მაზრების გამოკვლევა

ა|კ. ფინსახკომმა მოახდინა აზერბაიჯანის სამი მაზრის—სალიანის, ნუხის და ზაქათლის მაზრების სამეურნეო და ფინანსიური გამოკვლევა.

შემოსავლის მუხლების ანალიზმა დაამტკიცა, რომ ადგილები ნაკლებ ინიციატივას იჩენენ შემოსავლის წყაროების გამონახვის საქმეში—არ აქვთ რა საკუთარი შემოსავალი, ისინი უმთავრესათ სცხოვრობენ სახელმწიფო შემოსავლის ხარჯზე.

ასე, მაგალითად, აღნიშნულ მაზრებში წმინდა ადგილობრივი მნიშვნელობის შემოსავალი შეადგენს შემოსავლის საერთო თანხის 27,1 პროცენტს სალიანის მაზრაში, 31 პროც. ნუხის მაზრაში და 17,8 პროც. ზაქათლის მაზრაში.

რაც შეეხება ხარჯებს, გამოკვლევა აღნიშნავს თანხების სიმცირეს, რის გამო აპარატის შესანახავი ხარჯების გაღების შემდეგ, არაფერი რჩება მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

სახელმწიფო დაწესებულებების გამოკვლევა

ა|კ. ფინსახკომის საკონტროლო აპარატმა გამოიკვლია ა. კ. ს. ფ. ს. რ. მთელ რიგ სახელმწიფო დაწესებულებების ანგარიშწარმოება, რომლის დროსაც გამოირკვა მთელი რიგი ისეთი ხარჯები, რომლებიც გათვალისწინებულ არ არის საკავშირო ფინსახკომის ცირკულიარებში.

ასეთ ხარჯების რიცხვს ეკუთვნის: ეტლით მოგზაურობა, უვადო დახმარების მიცემა მოსამსახურეებისათვის, უკანონო ხარჯების მიცემა მივლინების დროს, მისაპატიჟებელი ბილეთების შეძენა დაწესებულების ხარჯზე და სხვა.

ყველა უკანონოთ დახარჯული თანხები დაერიცხა სათანადო დაწესებულებებს და პირებს, რომლებსაც ევალებათ მათი გადახდა. უკანონოთ დახარჯული თანხები ნოემბრის განმავლობაში შეადგენს 1095 მან. 92 კაპ.

ტყეების გადაცემა

ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გლეხებზე გადაცემა დაწყებულია ამიერ-კავკასიის თითქმის ყველა კუთხეებში. 4.192.825 დესეტინიდან ამიერ-კავკასიაში გადაცემული უნდა იქნეს სულ 300.000 დესეტინა. ეს ციფრი არ არის საბოლოო და მუშაობის პროცესში შეიძლება შეიცვალოს. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები გლეხებს ეძლევათ უფასოთ და უვადოთ საკუთარი მეურნეობის გასამაგრებლათ, მაგრამ ისინი ვალდებული არიან გეგმაშეწონილათ გამოიყენონ ისინი.

მეორე საგლეხო სესხი

ა|კ. ფინსახკომი შეუდგა მეორე საგლეხო სესხის სააგიტაციო კამპანიის ჩატარებას სოფლად.

მეორე საგლეხო სესხის საერთო თანხიდან 2 მილიონ მანეთის ობლიგაციები გასაღებული უნდა ყოფილიყო გლეხთა შორის; ამის გამო ა|კ. ფინსახკომმა გამოსცა და ადგილებზე დაგზავნა პლაკატები, ფურცლები და სხვ.

საქართველოში მოძრავი კინო ესტუმრება 35 მჭიდროთ დასახლებულ პუნქტს.

ეკონომიური ქრონიკა

— **ბამბის ქარხანა ქუთაისში.** დღეს ქუთაისში მოხდება ბამბის ქარხნის საზეიმო გახსნა.

— **„აზერკომტორგმა“.** საზღვარგარეთ სარეალიზაციოთ გაგზავნა 300,000 ცალი ფირფიცარი.

— **ცემენტი.** ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის ბათომის განყოფილებამ მიიღო ცემენტის დიდი პარტია.

— **ავტომობილების მიღება.** ამ დღეებში ა. კ. ს.ხ. ვაჭ. კომისარიატი საზღვარ-გარეთიდან მიიღებს 35 ახალ ავტომობილს.

— **ტრაქტორები ამერიკიდან.** ა. კ. შინა ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო ცნობა, რომ ამერიკიდან უკვე გამოვიდა გემი, რომელსაც ა.-კავკასიისათვის მოაქვს 150 ტრაქტორი.

ფართლეულობის ბაზარი ნოემბრის პირველ ნახევარში

ფართლეულობის ბაზრის მდგომარეობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს საკავშირო საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილებაში აცნობეს შემდეგი:

— ნოემბრის პირველ ნახევარში ფართლეულობის საბითუმო ბაზარზე მეტათ გაცხოველებული მდგომარეობა იყო. დიდი მოთხოვნილება საქონლის თითქმის ყველა ჯგუფებზე დაუკმაყოფილებელი რჩებოდა სუსტი მიწოდების გამო. ფასები მტკიცეა, მათ ემჩნევათ ზრდის ტენდენცია, რადგან განყოფილებიდან გაცემული საქონელი გავლენას ვერ ახდენს ფასების შემცირებაზე.

საწვრიმალო ვაჭრობაც მეტათ გაცხოველებულია; მჭიდველებით დატვირთულია არა მარტო საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილების საწვრიმალო მაღაზიები, არამედ კოოპერატიული და კერძო მაღაზიებიც. დიდი მოთხოვნილებაა ყოველგვარ ქსოვილებზე, განსაკუთრებით საზამთროზე.

ბამბეული მანუფაქტურით მეტათ დაინტერესებულია სახელმწიფო და კერძო კლიენტურა. როგორც პროვინციაში, ისე ქალაქში ჩვენი ბამბეული საქონლის შერჩევა სავსებით აკმაყოფილებს თბილისის რაიონის გემოვნებას და მოთხოვნილებას.

ბამბეული ქსოვილების გარდა დიდი მოთხოვნილებაა საზამთრო საქონელზე, რომელიც საკმაო რაოდენობით არ იშოვება ბაზარზე. ფართო მოთხოვნილებაა მაუდზე და კამვოლის საქონელზე. ნაკლებათ იშოვება თხელი მაუდი და მაგარი მატყლის ქსოვილები. განყოფილება თითქმის სავსებით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას კამვოლის საქონელზე.

საკმაოთ გაცხოველებულია სელის საქონლით ვაჭრობაც, დიდი მოთხოვნილებაა უმთავრესათ თეთრ ტილოზე, რაგენდუსზე და სარჩულის პოლოტნოზე.

ნაჭრობითი ვაჭრობა ხდება მხოლოდ ერთ საწვრიმალო მაღაზიაში და გასაცემ საქონლის თანხა არ აღემატება 500 მანეთს.

საწვრიმალო ვაჭრობა მეტათ ინტენსიურათ მიდის და დაუსრულებელი რიგები მაღაზიების წინ მოწმობენ იმას, რომ მოსახლეობას ძალიან ესჭირდება საფეიქრო საქონელი.

საწვრიმალო საქონლის შერჩევა საერთოდ დამაკმაყოფილებელია, მაგრამ რაოდენობა არ არის საკმაო.

კერძო ბაზარი მეტათ ფრთხილათ ვაჭრობს, მას ეშინია, რომ საქონელი არ გამოელიოს. კერძო ვაჭრებს განყოფილებიდან ჯერჯერობით არ ეძლევათ ბამბეული მანუფაქტურა.

ფასები კერძო ბაზარზე მტკიცეა და განყოფილების ფასებს აღემატება 100 და უფრო მეტი პროცენტით. ფასების ზრდის ტენდენცია აიხსნება არა მარტო საქონლის უქონლობით, არამედ ფინანსიური მიზეზებითაც.

კლიენტების დიდ ნაწილს, როგორც წინათაც, შეადგენენ კოოპერატივები. განყოფილების საერთო ბრუნვა ყველა კონტრაგენტებთან გამოიხატა 612,378 მანეთში.

ინტენსიური ვაჭრობა გაგრძელდება უახლოეს თვეებშიც.

ხაზინების შემოსავალ-გასავალი

საქართველოში გაწერილი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 38,8 ათასი მანეთით იქნა შემცირებული. სულ უნდა აიკრიფოს 1.545.990 მანეთი. ამ თანხიდან ოქტომბრის განმავლობაში აიკრიფა 288,8 ათასი მანეთი, რაც მთელი გაწერილი თანხის 23,7 პროცენტს შეადგენს.

ცალკე რაიონების მიხედვით ეს პროცენტი ასე მერყეობს: დასავ. საქართველოში აიკრიფა 11,7 პროც., აღმოსავლეთ საქართველოში—23,6 პროც. აჭარისტანში—33 პროც., სამხრეთოსეთში—36,7 პროც. და აფხაზეთში კი ყველაზე მეტი—48,4 პროც.

ოქტომბერში ჩვენი ხაზინების საერთო შემოსავალი უდრიდა 1,8 მილიონ მანეთს, ხოლო გასავალი—1,5 მილ. მან. წინა თვესთან შედარებით კლებულობს როგორც შემოსავალი, ისე გასავალი, მაგრამ პირველი უფრო ნაკლებ (5,4 პროც.) ვიდრე მეორე (19,2 პროც.).

ოქტომბერში, თუმცა როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი შემოსავალი კლებულობს, მაგრამ პირველი უფრო ნაკლებ შემცირებულია (2,4 პროც.) ვიდრე მეორე (10,3 პროც.). სახელმწიფო შემოსავალში ყველაზე უფრო საგრძნობლათ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა მატულობს (225,9 პროც.). წინააღმდეგ დანარჩენ საშემოსავლო მუხლების თითქმის საყოველთაო შემცირებისა.

რაც შეეხება ადგილობრივ ბიუჯეტს, აქაც ყველა საშემოსავლო წყაროთა განაკრეფი კლებულობს, გარდა სახელმწიფო შემოსავალ-გადასახადების ანარიცხ-ზედნართის პროცენტებისა, უმთავრესათ სასოფლო-სამეურნეო გადასახადთან დაკავშირებით.

რაც შეეხება გასავალს, თუმცა აქაც შემცირება გვაქვს, მაგრამ უფრო მეტია იგი ადმინისტრატიულ მმართველობისათვის, ვიდრე სხვა საჭიროებისათვის.

რაც შეეხება კრედიტს, უნდა ითქვას, რომ საერთო დავალიანებიდან ოქტომბერში საკავშირო დაწესებულებებზე მოდიოდა 9,5 პროც., ამიერ-კავკასიის გაერთიანებულ დაწესებულებებზე—19,3 პროც., საქართველოს 64,2 პროც., ხოლო აზერბეიჯან-სომხეთის—7 პროცენტი.

სექტემბერთან შედარებით სომხეთ-აზერბეიჯანის წარმოებათა დავალიანება შემცირდა, ხოლო დანარჩენთან—მატულობს და მათ შორის ყველაზე მეტათ—ამიერ-კავკასიის გაერთიანებულ წამოწყებათა დავალიანება, ხოლო ყველაზე ნაკლებ—საქართველოსი (8,2 პროც.)

საერთო დავალიანებაში სახალხო მეურნეობის ყველა დარგების კრედიტი იზრდება, მაგალითად, სოფლის მეურნეობის—17 პროცენტით, ვაჭრობის—10,5 პროც., კომუნალურ მეურნეობის—9,6 პროც. და სხვა.

საგეგმო კომისიაში

ახალქალაქის მაზრის აღსადგენათ.

ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე თანხების გადადების შესახებ მაზრის აღსადგენათ. შუამდგომლობას თანდართული ჰქონდა ხარჯთაღრიცხვა სკოლის, სოფლის გზების, 3 ხიდის, სათემო აღმასკომების რამოდენიმე შენობის და საფერშლო პუნქტის შესაკეთებლათ.

სახალხო კომისართა საბჭომ ხარჯთაღრიცხვა დასკვნისათვის გადასცა სახელმწიფო საგეგმო კომისიას, რომელმაც ის მიიღო 74.000 მანეთის რაოდენობით.

ამას გარდა სახელმწიფო საგეგმო კომისიამ განიხილა საკითხი წყალსადენის აგების შესახებ სამსოფელოში; წყალსადენის გაყვანა რიგს [illegible]ლი. ახალქალაქის სამაზრო აღმასკომს [illegible] შემუშავოს წყალსადენის ტეხნიკური გეგმა. წინასწარი ცნობებით, 3 წყალსადენის გაყვანა დაჯდება 43 ათასი მანეთი.

ცხენი-წყალის ნაპირების გამაგრება.

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა მდ. ცხენის-წყალის ნაპირების გამაგრების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა; ნაპირები გამაგრებულ იქნება ქალ. ცაგერთან (ლეჩხუმის მაზრა). მთელი ეს მუშაობა დაჯდება 46.000 მან.

ნაპირების გამაგრება მოხდება პალვისის გაბიონების აგების გზით.

მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

ბათუმი თუ ფოთი.

1925 წლის 30 სექტემბერს ფოთის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინაშე, რომ ყველა სატრანზიტო ტვირთები გაგზავნილი ყოფილიყო ფოთიდან.

ყველა საჭირო მასალების შეგროვების შემდეგ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ გამოიტანა თავისი დადგენილება ამ საკითხის შესახებ.

ორივე ნავთსადგური—ბათომი და ფოთი ერთნაირად საჭიროა საქართველოს და ამიერ-კავკასიის ეკონომიური ცხოვრების განსავითარებლად, ამასთანავე მათ შორის მაგისტრალური ნავთსადგურის არჩევა შეიძლება გადაწყვეტილი იქნეს მხოლოდ მთავრობის მიერ. მაგრამ, კერძოდ, ტეხნიკური და ეკონომიური პირობების მხრივ უპირატესობა ფოთის მხარეზეა.

ომის წინა ხანებთან შედარებით ფოთის საქონლის ბრუნვა დაეცა და ფოთი დეფიციტიან ნავთსადგურად გახდა. ამ ტომ, მაგისტრალური ნავთსადგურის არჩევისაგან დამოუკიდებლად, სასურველია მიღებული იქნეს საჭირო ზომები ნავთსადგურ ფოთის გამოსაცოცხლებლად.

ამ ღონისძიებათა გამოსამუშავებლად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გამოყოფილიყო მთავრობის სპეციალური კომისია, რომელშიაც უნდა შევიდენ საქართველოს და ამიერ-კავკასიის ყველა დაინტერესებულ დაწესებულებების წარმომადგენლები.

აჭარისტანის სავაჭრო სამმართველოს გამოკვლევა.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა აჭარისტანის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს გამოკვლევა.

გამოკვლევის მასალების განხილვის შემდეგ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ დაადგინა:

იმ მიზნით, რომ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებმა რაც შეიძლება სრულად განახორციელონ თავისი უშუალო ამოცანები, წინადადება მიეცეს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს გამგეობებს, რომ მათ თავისი თანხები არ მოთავსონ სხვა წარმოებების ბრუნვაში და ამ თანხებს მისცენ პირდაპირი დანიშნულება.

შრომის დაცვა მავნე წარმოებებში

დამსჯელი ტარიფის გამოყენება

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილება ამ ჟამათ იკვლევს შრომის პირობებს მავნე წარმოებებში და არკვევს იმას, თუ რამდენათ სრულდება შრომის ინსპექციის მოთხოვნილება წარმოების სანიტარულ-ტეხნიკური პირობების გაუმჯობესების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩენილი იქნა ამ მოთხოვნილებების დარღვევა, შრომის დაცვის განყოფილება აწესებს დამსჯელ ტარიფს.

ჯერჯერობით დამსჯელი ტარიფი შრომის დაცვის მოთხოვნილებების შეუსრულებლობისათვის გამოყენებულია საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობის, თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარი“-ს და ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ ტრესტის ასოთ ჩამომსხმელ სახელოსნოს მიმართ.

სახელმწიფო კინო-მრეწველობის ფაბრიკაში აღმოჩენილი იქნა შემდეგი დეფექტები: არ არის საჭირო ვენტილიაცია, შეწვეპებელ განყოფილებაში უკიდურესი სივიწროვეა, ძველი ლაბორატორიები სრულებით ვერ აკმაყოფილებენ სანიტარულ-ტეხნიკური ინსპექციის მოთხოვნილებებს. ფაბრიკის ნაშენების გეგმები წარდგენილი არ არის შრომის დაცვის განყოფილებაში, შეთანხმებული არ არის მასთან და ამრიგათ დაცული არაა წინასწარი მეთვალყურეობის წესები.

შრომის ინსპექცია არა ერთხელ მიუთითებდა ფაბრიკის დირექციას ამ არანორმალურ მოვლენებზე, მაგრამ ისინი გამოსწორებული არ იქნა, რისთვისაც საჭირო შეიქნა დამსჯელი ტარიფის გამოყენება.

უკეთესი მდგომარეობა არაა თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარში“. გამოკვლევამ აღმოაჩინა მთელი რიგი არანორმალური მოვლენები და შრომის დაცვის მოთხოვნილებების დარღვევა.

ფაბრიკაში არ არის ბანა, სადაც მუშებს შეეძლოთ დასვენება და საჭმელის ჭამა. ზაფხულში ეს საგრძნობი არ იყო, რადგან მუშები ეზოში გამოდიოდენ, მაგრამ ეხლა მუშები იძულებული არიან საჭმელი და სპეც-რძე შეინახონ სახელოსნოებში, რის გამო ისინი ისვრება თამბაქოს მტვერში და ზიანს აყენებს მუშების ჯანმრთელობას.

თუმცა განმეორებითი მოთხოვნილების შემდეგ მოწყობილი იქნა ვენტილიაცია, მაგრამ ელექტრო-ენერგიის უქონლობის გამო ის არ მუშაობს.

ხშირად ყოფილა ლაპარაკი ამ არანორმალურ მოვლენებზე, კერძოდ სასადილოზე, მაგრამ ფაბრიკის დირექცია სდუმდა, რისთვისაც მან „საჩუქრად“ მიიღო დამსჯელი ტარიფი.

რაც შეეხება ასოთ ჩამომსხმელ სახელოსნოს, აქ შრომის დაცვა კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში იყო. უპირველეს ყოვლისა შენობა მეტად ვიწროა, იატაკი ქვისაა, შემდეგ, სრულებით არ არის ვენტილიაცია, იმ დროს, როდესაც ის უნდა ჰქონდეს თვითეულ მანქანას.

გაზის ქარხანა მოთავსებულია ეზოში უბრალო ფარდულის ქვეშ, რის გამო ცივ ამინდში შეუძლებელია მუშაობა. შრომის ინსპექციას არა ერთხელ მოუთხოვია ამ დეფექტების აღმოფხვრა, მაგრამ უშედეგოდ. ამ სახელოსნოს მიმართაც გამოყენებულია დამსჯელი ტარიფი.

მავნე წარმოებების გამოკვლევა დამთავრდება მიმდინარე წლის დეკემბერში და სათანადოთ დასჯილი იქნებიან ყველა ისინი, ვინც არ ასრულებს შრომის ინსპექციის მოთხოვნილებებს.

2. ახალგაზრდათა შორის მუშაობის მთავარი მხარეები.

21. ზემოდ ნათქვამიდან სჩანს, რომ მომენტის მთავარ დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს ადამიანთა ახალ მასალის, ახალ ადამიანების გამოსვლა როგორც საწარმოო პროცესში, ისე პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე. ვისაც ეს არ ესმის, მას არაფერი არ ესმის საერთოდ.

მაშასადამე, საჭიროა ამ თავითვე განსაკუთრებით ხაზი გაესვას მემკვიდრეობის (преемственность) აუცილებლობას სოციალისტური აღზრდის საქმეში და ამასთან იმ პირობებში, რომლებიც ძირიან-ფესვიანად განსხვავდებიან რევოლიუციის წინანდელ პერიოდის, სამხედრო კომუნიზმის და თვით ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი პერიოდის პირობებიდან.

22. თუ წინანდელ წლებში ერთ-ერთ უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენდა კომუნისტური მედიდურობის, თავის ძალების, მიღწეულ შედეგების ზედმეტად შეფასების საფრთხე, ეხლა კი იმდენათ, რამდენადაც საზოგადოებრივი ცხოვრების აღმშენებლობაში ებმებიან ახალგაზრდობის სავსებით ახალი წრეები, ამ საფრთხესთან ერთად ჩვენს წინაშე იჭრება მეორე საფრთხე—სოციალისტური განვითარების პერსპექტივების სავსებით დაკარგვის საფრთხე. დიდი პოლიტიკური უცოდინარობა ახალგაზრდობის ახალ ფენებს შორის, რომელთაც ნათლად არ აქვთ წარმოდგენილი განსხვავება კაპიტალისტურ წარმოებებსა და ჩვენი თანდათანობით სოციალისტური ტიპის წარმოებებს შორის, კაპიტალიზმის და ჩვენი განვითარების გზებს შორის—არის უაღრესად სერიოზული მოვლენა, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის პარტია.

23. აქედან გამომდინარეობს ის, რომ აუცილებელია ბრძოლა ორ ფრონტზე: ჯერ ერთი, აუცილებელია განვაგრძოთ ბრძოლა კომუნისტურ მედიდურობასთან და გადაჭარბებულ ოპტიმიზმთან, რომელიც ვერ ამჩნევს აუარებელ დაბრკოლებებს და საფრთხეებს, რომლებიც წინ გვიდგას ჩვენ, განსაკუთრებით კი ეს ბრძოლა აუცილებელია იმიტომ, რომ მიუხედავათ მეურნეობის სოციალისტური ელემენტების ხვედრითი წონის უაღრესად გადიდებისა, კერძო სავაჭრო კაპიტალს შეუძლია გაარღვიოს ჩვენი ფრონტი სწორედ ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის დარგში, მეორე მხრით, კულაკის უეჭველი გაძლიერება თავის მხრივ აყენებს მთელ რიგ ახალ ამოცანებს. მეორე, აუცილებელია სასტიკი ბრძოლა პესიმიზმის და იმათი ლიკვიდატორული უიმედობის წინააღმდეგ, რომელთაც არ სწამთ, რომ ჩვენი განვითარება მიდის სოციალისტური გზებით (რაც წყალს უშვებს მენშევიკების და ესერების წისქვილზე), ბრძოლა, რომელიც გადაუდებელი ხდება სწორედ ეხლა, როცა გამოდიან ახალგაზრდობის ახალი ფენები, როცა, მეორეს მხრით, ჩვენი მრეწველობის განვითარებას კიდევ არ შეუძლია დასძლიოს საკმაოდ საერთო სიღარიბე (უმუშევრობა, მიწის სივიწროვე მოსახლეობის ზრდასთან შედარებით, ცუდი განათლება არასაკმაო სამუშაო ხელფასი) საკმაო ნიადაგი შეუქმნას სოციალიზმის სწრაფ წარმატებებს სოფლად.

24. ამ ჟამად დამყარებული უნდა იქნეს ცოტად თუ ბევრად მტკიცე შეფარდება „პოლიტიკასა“ და „კულტუროსნობას“ შორის. უშუალოდ მე-13-ე პარტყრილობამდე საგრძნობი იყო ერთგვარი გადახრა „კულტუროსნობისაკენ“ მე-13-ე ყრილობამ და კომკავშირის შემდეგმა გადაწყვეტილებებმა მოაბრუნეს საჭე წმინდა „პოლიტიკისაკენ“. ამჟამად ადგილი აქვს გადახრას სწორედ ამ მხრით, და ამიტომ „პოლიტიკა“ უმეტესად დარჩა მხოლოდ კარჩაკეტილ აქტივის ფარგლებში. საჭიროა ცხლავე ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ეხლანდელ პირობებში წარმოუდგენელია კავშირის პოლიტიკური აღზრდა და პოლიტიკური როლი პირველყოვლისა მისი კულტურულ-ეკონომიური მუშაობის გარეშე. სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ შევედით სწრაფი სამეურნეო აღმშენებლობის ხანაში, სწორედ იმიტომ, რომ სულ უფრო და უფრო ვითარდება კლასიური ბრძოლა, როგორც ბრძოლა სხვადასხვა სამეურნეო ფორმებისა, სწორედ იმიტომ, რომ ახალგაზრდობის ახალი ფენები ებმებიან საწარმოო-სამეურნეო „საქმეს“, აუცილებელია კულტურულ-სამეურნეო და პოლიტიკურ მუშაობის მჭიდროთ დაკავშირება ერთმანეთთან. ეს სრულებით არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს აქ ლაპარაკი იყოს პოლიტიკის როლის შემცირებაზე. პირიქით, კიდევ უფრო უნდა განვითარდეს კავშირის პოლიტიკური მნიშვნელობა, მისი პოლიტიკური კლასიური ბრძოლა, მაგრამ ეს ბრძოლა დაკავშირებული უნდა იქნეს სოციალისტური აღმშენებლობის მიმდინარე პრობლემებთან, და მხოლოდ ამ პირობით შესაძლებელია რუსეთის ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის პოლიტიკური პოზიციის განმტკიცება არა სიტყვით, არამედ საქმით.

25. ამის გარეშე შეუძლებელია ახალ გაზრდობის ინტერნაციონალისტურ-რევოლიუციონური აღზრდა, რომელიც წარმოადგენს სოციალიზმის ყოფნა არ ყოფნის საკითხს. დიდი ილიუზია იქნებოდა იმის ფიქრი, რომ აქ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ძველი შაბლონებით, პირიქით, საჭიროა მდგომარეობის მთელი სიახლის შეძლება, თუ დასავლეთ ევროპის მუშები და დასავლეთ-ევროპის ახალგაზრდები მოდიან საბჭოთა კავშირისა და კომუნიზმისაკენ ახალი გზებით, იგივე შეიძლება ითქვას ჩვენი ახალგაზრდობის მოძრაობაზე საერთაშორისო პროლეტარიატისაკენ. ახალგაზრდობის ყოველდღიური ცხოვრების მოთხოვნილებების დაკავშირება საერთოდ მუშათა კლასის და მაშასადამე, სოციალიზმის სამეურნეო აღმშენებლობის ინტერესებთან საბჭოთა კავშირში, გაგება საბჭოთა კავშირის როლის, როგორც სოციალიზმის ბაზისა მთელს მსოფლიოში, და აგრეთვე ჩვენი პარტიის როლის, როგორც საერთაშორისო ძალის, რომელმაც ყოველმხრივ უნდა განამტკიცოს კავშირი ყველა ქვეყნის პროლეტარიატის რევოლიუციონურ ახალგაზრდობასთან,—აი ახალგაზრდობის ინტერნაციონალისტურ-რევოლიუციონური აღზრდის ეხლანდელი თავისებური გზები.

26. უფრო მეტად, ვინემ ოდესმე, კომკავშირი უნდა დაემყაროს მასებს პირველყოვლისა, მუშურ ახალგაზრდობის მასებს. ეხლანდელი მომენტის ერთ-ერთ უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს, ერთის მხრივ კომკავშირის უპარტიო მასებისაგან მოწყვეტის საფრთხე, ხოლო მეორე მხრით—კომკავშირის აქტივის კომკავშირის მასისგან მოწყვეტის საფრთხე. გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს დაუახლოვოთ ეს აქტივი ფაბრიკას, ქარხანას და სოფელს.

27. კომკავშირი ვერ შესძლებს იმ დიდ ამოცანების დაძლევას, რომლებიც მას წილად ხვდა, თუ რიცხობრივად და თვისობრივად არ იქნება გაუმჯობესებული მისი აქტივი. საჭიროა განსაკუთრებით ხაზგასმული იქნეს ის, რომ ამჟამად აუცილებელია ამ აქტივის მაღალი საერთო პოლიტიკური და აგრეთვე სპეციალურად საქმიანი (ცოდნისა პრაქტიკის სხვადასხვა დარგებში) კვალიფიკაცია. ლენინიზმის შესწავლა უნდა წარმოადგენდეს კომკავშირის აქტივის ქვა-კუთხედს. აუცილებლად უნდა შევიგნოთ, რომ ამ ჟამად სრულებით საკმაო არ არის არც მყვირალა ლოზუნგები, არც მშრალი ბიუროკრატიული საქმიანობა. ყრილობა აქცევს ყურადღებას მდგომარეობის მთელს სერიოზულობას და ავალებს რუსეთის ახალგაზრდათა ლენინურ კომკავშირს მიიღოს ყოველივე ზომები ამ აქტივის საერთო და განსაკუთრებით პოლიტიკური კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

28. აქტივს უზომოდ დატვირთვა მიმდინარე მუშაობით უმთავრესად აიხსნება ძალების დაუზოგავათ და უაზროთ დახარჯვით. მუშაობის მიზანშეუწონელად დაყენების გამოსწორება ეხლა ყველაზე უფრო გამოსადეგია ლენინის ლოზუნგი: „უმჯობესია ნაკლები, მაგრამ უკეთესი“. საჭიროა დაუზოგავათ მოვსპოთ ამოუფხვრათ ყოველივე ზედმეტი, რაც არ არის გამოწვეული აუცილებლობით (ხშირი სხდომები, კომისიები და სხვა), და მივაქციოთ უაღრესად სერიოზული ყურადღება მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

(დასასრული იქნება)

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის
სავალუტო სამმართველო

აცხადებს, რომ საბჭოთა საქართველოს და აზერბეიჯანის სათანადო უმაღლეს ეკონომიურ საბჭოების დადგენილებათა თანახმად ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარმა დაამტკიცა საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათა შემდეგი წესდებები, რომლებიც შედგენილია ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. 2 აპრილს დამტკიცებულ ნორმალურ წესდების მიხედვით.

საურთიერთო კრედიტის ქუთაისის საზოგადოება, ქუთაისში, რომელსაც აქვს 10.000 მანეთის თანხა და უმცირესი კრედიტი 250 მანეთი.

საურთიერთო კრედიტის განჯის საზოგადოება განჯაში თანხა 30.000 მანეთი. უმცირესი კრედიტის რაოდენობა—100 მანეთი.

საურთიერთო კრედიტის თბილისის სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოება. თბილისში, თანხა 35.000 მანეთი და უმცირესი კრედიტის რაოდენობა 200 მანეთი.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალუტო სამმართველოს უფროსი—საფარიანი.

1925 წ. 26 ნოემბერი. ნ. 340 1—1

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის
სავალიუტო სამმართველო
აცხადებს, რომ თბილისის ქალაქის ბანკის

აქციონერთა საზოგადო კრების დადგენილების თანახმად 1925 წ. 31 მაისის თარიღით და საბჭ. საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭო დადგენილების მიხედვით, ფინანსთა სახ. კომისარმა ნება დართო გადიდებული იქნას ბანკის ძირითადი თანხა 2.000.000 მანეთამდე 20.000 ახალი აქციის გამოშვებით; თვითეული აქციის ფასი ნავარაუდევია 50 მანეთათ.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალიუტო სამმართველოს უფროსი—ა. საფარიანი.

339—1—1

კოოპერაცია

წარმოკავშირის საბჭოს მეოთხე სესია

პირველი სხდომა

29 ნოემბერს, დღის 12 საათზე, გაიხსნა წარმოკავშირის საბჭოს მეოთხე სესია.

ამხ. ლადო დუმბაძემ მოახსენა სესიას, რომ სხვადასხვა პირობების გამო ვერ მოხერხდა საბჭოს სესიის უკანასკნელ დრომდე მოწვევა. გარდა ამისა აპრილის ყრილობაზე არჩეული საბჭოს წევრები დაბრუნდენ ყრილობიდან საბჭოს პრეზიდიუმის აურჩევლად, ამიტომ ამ სესიას მოუხდება საბჭოს თავმჯდომარის და პრეზიდიუმის არჩევა.

პრეზიდიუმში ერთხმათ არჩეული იქნენ ამხ. ოკუჯავა, ჟულელი, გეგეჭკორი, მოლა-ამასი, გაგუა, ელიზბარაშვილი, ფანჩულიძე, კანდიდატებათ: ბეგანიძე და ისაკოვი.

საბჭო პირველი სესიის სხდომის თავმჯდომარეთ ერთხმათ ირჩევს ამხ. შ. ელიავას.

შემდეგ ამხ. ლ. დუმბაძე აკეთებს ინფორმაციო მოხსენებას წარმოკავშირის გამგეობის მუშაობის შესახებ 1925 წლის აპრილიდან—ოქტომბრამდე.

ამხ. ლ. დუმბაძის მოხსენება

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის 1924—25 წლის მოქმედების შეფასების დროს,—ამბობს ამხ. დუმბაძე,—მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, როგორც ორგანიზაციული მშენებლობის ზრდა, ისე სამეურნეო საქმიანობის გადიდება.

ძირითადი კოოპერატიული ქსელი გაიზარდა 53,8 პროც.-ით და მოეფინა თითქმის ყველა რაიონებს, შეკავშირებულ წევრთა რიცხვი გაიზარდა 42,9 პროც., რაც საქართველოს საგლეხო მეურნეობათა საერთო რიცხვის 9,1 პროც. შეადგენს.

სოფლის მეურნეობის სპეციალურ დარგების განვითარების ინტერესები მოითხოვდენ სპეციალურ ცენტრების შექმნის საჭიროებას, რაც უკვე განხორციელებულია მევენახეობის და მეხილეობის დარგში. ამასთან ერთად მოხდა შეთანხმება სასოფლო - სამეურნეო ბანკთან მთლიან სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობების დაარსების შესახებ.

ორგანიზაციულ ზრდასთან ერთად იწყება სას.-სამ. კოოპერაციის მთელი სისტემის სამეურნეო მუშაობის ზრდაც, რომელიც წარსულ წელთან შედარებით 400 პროცენტით გაიზარდა.

სამეურნეო საქმიანობის განვითარება უფრო ინტენსიურია; დამზადება-გასაღება, სპეციალურ კულტურების და მესაქონლეობის დარგში, რაც მწარმოებელ გლეხს მტკიცე ფასის გარდა აძლევდა ზედმეტ მოგებას აძლევდა დივიდენდის სახით (მაგალითად, დივიდენდი თამბაქოზე, ბამბაზე და შვეიცარიულ ყველზე).

ამასთან ძირითად ქსელის საქონლის ბრუნვა ავიდა 10 მილიონამდე. გლეხობის სამეურნეო მოთხოვნილებების ყოველმხრივ დაკმაყოფილების საჭიროებამ გამოიწვია მთელი სისტემის ფინანსიური ოპერაციების გაფართოვება და ცენტრის ბალანსი 2 მილ. მანეთიდან ავიდა 5 მილ. მანეთამდე.

ბოლოს, სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად სას.-სამ. კოოპერაციამ ჩაატარა მთელი რიგი აგრიკულტურული ღონისძიებანი, კერძოდ მევენახეობის, მეხილეობის, მეთამბაქოობის, მესაქონლეობის და სხვა დარგებში.

დადებით მიღწევებთან და სას.-სამ. კოოპერაციის ორგანიზაციულ-სამეურნეო ზრდასთან ერთად უნდა აღინიშნოს აგრეთვე უარყოფითი მხარეები, რომლებსაც უნდა მივაწეროთ: ძირითადი ქსელის საერთო ორგანიზაციული სისუსტე, კოოპერატიული ამხანაგობების სწრაფი ზრდა და მოსახლეობის შედარებითი ნელი ჩაბმა სას.-სამ. კოოპერაციის მუშაობაში, სპაიო თანხების სუსტი მიზიდვა, საჭირო საბრუნავ თანხების უქონლობა, უცხო თანხებით სარგებლობა და აქედან, როგორც შედეგი, დიდი დავალიანება და თვალსაჩინო ხარჯები ბანკების კრედიტებზე, საკომისიო-კოოპერატიული ოპერაციების სისუსტე და ძირითად ქსელის გადახრა სავაჭრო ოპერაციებისაკენ, დაბოლოს უნდა აღინიშნოს აპარატის მოუწყობლობა და ბრუნვასთან შეუფერებელი ზედმეტი ხარჯები.

მეორე სხდომა.

სესიის მეორე სხდომაზე დაიწყო კამათი ლ. დუმბაძის მოხსენების გარშემო.

ორატორები აღნიშნავენ წარმოკავშირის მუშაობის სუსტ მხარეებს და მოითხოვენ ნაკლის გამოსწორებას.

ა.-კ. რკინისგზების მთლიანი მომხმ. საზოგადოება

საზოგადოების რწმუნებულთა მე-6 ყრილობა

ამ წლის დამლევს შესდგება ა.-კ. რკ. გზების მთლიან-მომხ. საზოგადოების რწმუნებულთა ყრილობა.

ყრილობის მოწვევამდე განზრახულია საზოგადოების წევრთა კრებების ჩატარება მთელ გზაზე, სადაც გამგეობა გააკეთებს მოხსენებებს, თავის საქმიანობის შესახებ და ჩატარებულ იქნება რწმუნებულთა არჩევნები.

წვრილ. სადუქნო კრედიტები

5 სექტემბრიდან აქამდე საზოგადოებამ თავის საწვრილმანო დუქნებიდან გასცა ნისიად საქონელი 16.312 მანეთის, რომლითაც ისარგებლა 1.447 წევრმა.

საქონლის გაყიდვის ბრუნვა

საზოგადოების წლიური ბრუნვა საქონლის გაყიდვაში გამოიხატა—7,406,391 მან. და 36 კაპ. წარსულ წელთან შედარებით ბრუნვა გაზრდილია 2,05-ჯერ.

პურის ცხობა

საზოგადოებამ პურის ცხობა ფართოდ განავითარა. საშუალოდ დღეში იგი აცხობს—1,487 ფუთს. მარტო თბილისში ამ წლის განმავლობაში გამოცხობილია—108,206 ფ. პური.

კოოპერატიულ ტეხნიკუმში

საზოგადოების გამგეობამ ... ნა, მიავლინოს თბილისის კოოპერატიულ ტეხნიკუმში 5 რკინისგზელი. კანდიდატების წამოყენების შესახებ გამგეობა მიმართავს: თბილისის, ბაქოს და ლენინაკანის საუბნო პროფკავშირის კომიტეტებს.

ახალი დუქნები

საზოგადოებას განზრახული აქვს გახსნას ახალი დუქნები: სადგ. შორაპანში, მარელისში, საგარეჯოში, გურჯაანში და ძეგამში.

საზოგადოების დუქანთა ქსელი

საზოგადოება აკავშირებს თავის აპარატში ა.-კ. რკ. გზების ყველა მუშა-მოსამსახურეებს. საზოგადოებას აქვს: 34 მაღაზია, 36 დუქანი, 9 საწყობი, 9 დუქანი-ვაგონი, 88 პურის დუქანი, 4 საყასბო, 1 სარძეო დუქანი და 1 საშაქარლამო.

საბჭოთა სასამართლო

მეგრელიშვილის საქმე

მოქ. ოსმანცევი ცოლით და ბავშვით მოდიოდა მატარებლით ფოთიდან. გზაში ოსმანცევის ცოლი ძალიან ცუდათ შეიქნა. ზოგჯერ გიჟივით წამოიჭრებოდა, აგინებდა ქმარს, მივარდებოდა ბავშვს დასარჩობად და შიშს გვრიდა დანარჩენ მგზავრებს.

თბილისამდე როგორც იყო გაუძლეს მგზავრებმა, ხოლო თბილისში ოსმანცევები გადმოსხეს სადგურზე.

ოსმანცევმა წაიყვანა თავისი ცოლი რკინისგზის საავადმყოფოში და თხოვა მიეღოთ ის.

რკინისგზის საავადმყოფოს ექიმმა უარი უთხრა მას იმ მოსაზრებით, რომ ჯერ ერთი მოქ. ოსმანცევა არ იყო მოსამსახურე და, გარდა ამისა, ის იყო სულიერად ავადმყოფი და ურჩია ქმარს გაეგზავნა ის პსიქიატრიულ საავადმყოფოში.

ოსმანცევმა სთხოვა რკინისგზის საავადმყოფოს ექიმის თანაშემწეს შალვა მეგრელიშვილს გაეგზავნა მისი ცოლი პსიქიატრიულ საავადმყოფოში და მოეთავსებია ის იქ.

მეგრელიშვილი დასთანხმდა ამ თხოვნის დაკმაყოფილებაზე, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, გადასდო ავადმყოფის გაგზავნა მეორე დღისათვის.

საღამოს მეგრელიშვილი ისვენებდა, ხოლო ავადმყოფ ოსმანცევასთან იყო მომვლელი ქალი.

— გააღეთ ფანჯარა, სთქვა ოსმანცევამ, მე მინდა სუფთა ჰაერი.

მაგრამ მომვლელი ქალი ამაზე არ დაეთანხმა.

მაშინ ოსმანცევამ ჩაამტვრია ფანჯრის მინები და სცადა გადმოხტომა.

შეშინებულმა მომვლელმა ქალმა სტაცა ავადმყოფს ხელი ტანსაცმელზე და დაუძახა მეგრელიშვილს, რომელიც მაშინვე მიეშველა.

მაგრამ ოსმანცევი ძალით გაუსხლტა ორთავეს და გადახტა ფანჯრიდან ძირს. ისე მაგრად დაეცა ავადმყოფი, რომ რამოდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა.

მეგრელიშვილს წარდგენილი ჰქონდა ბრალდება, გათვალისწინებული სისხლის სამართლის 111 მუხლში (სამსახურისადმი გულგრილად მოპყრობა).

საქმე გაირჩა გამოსავლით საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ოდილავაძის თავმჯდომარეობით.

სასამართლომ მეგრელიშვილი გაამართლა.

ა—ძე.

გაფლანგვა

კოოპერატივ „ბოეცკა"-ში რევიზია, რასაკვირველია, ხშირად ხდებოდა. მაშ რის მაქნისი იყო სარევიზიო კომისია, რომელიც არსებობდა კოოპერატივთან.

მაგრამ რევიზია უშედეგოდ რჩებოდა, ვინაიდან მოანგარიშეებს არ შეეძლოთ შეეთავსებიათ მიმდინარე მუშაობა სარევიზიო უწყებათა შემოწმებასთან და უწყებიც შეუმოწმებელი რჩებოდა.

სარევიზიო კომისია მუშაობდა, მოანგარიშეებიც მუშაობდენ, მაგრამ ყველაზე უფრო მეტ მუყაითობას იჩენდენ გამგეები თავისი ჯიბეების გასქელების საქმეში.

განსაკუთრებით „გულმოდგინე" იყო ამ მუშაობაში № 11 დუქნის გამგე ნიკოლოზ მელნიკოვი. მან იმ ხნის განმავლობაში, სანამ უწყებებს გასინჯავდენ, მოასწრო 1530 მანეთის მითვისება და გაფლანგვა.

მაგრამ მალე გამოაშკარავდა მელნიკოვის ბოროტმოქმედება.

სასამართლომ მიუსაჯა მას 3 წლით გამასწორებელ სახლში მოთავსება. მელნიკოვს უფლება არ აქვს ხუთი წლის განმავლობაში დაიკავოს საპასუხისმგებლო თანამდებობა, გარდა ამისა მან უნდა დააკმაყოფილოს კოოპერატივის სარჩელი.

ღ.

ამხ. მიხა სოხაძის ხსოვნას

22 ნოემბერს, ღამის 3 საათზე, მოულოდნელად სიცოცხლეს გამოესალმა 1905 წ. რევოლიუციის ერთი თვალსაჩინო მუშაკთაგანი ამხ. მიხა ივანეს ძე სოხაძე.

ამხ. მ. სოხაძე.

ის დაიბადა 1880 წ... სოფელ მიქარწმინდაში. მიუხედავათ უკიდურესი სიღარიბისა, მან მოახერხა თბილისის სემინარიის დამთავრება. მას მოწაფეობის დროსვე ეტყობოდა რევოლიუციონური სულისკვეთება და ის სხვა ამხანაგებთან ერთად ჩაება რევოლიუციონურ მოძრაობის ფერხულში.

1904 წელს ის, მტკიცე რევოლიუციონერი, რაჭის ბოლშევიკურ ორგანიზაციის აქტიური წევრია და ეწევა დაუღალავ, მედგარ მუშაობას. 1907 წლამდე მას ერთი წამითაც არ მიუტოვებია რაჭის ორგანიზაცია.

1906 წელს ალიხან-ავარსკის რაზმმა გადასწვა მიხას სახლკარი და ისიც შეიპყრეს და გადაგზავნეს ონის ციხეში, საიდანაც ის მოხერხებულად გაიქცა, და გაორკეცებულ ენერგიით განაგრძო მუშაობა.

რამოდენიმე თვის შემდეგ, მიხა ისევ უვარდება ჯალათებს ხელში და ასახლებენ ცივ ქვეყანაში ექვსი წლით.

სასჯელის მოხდის შემდეგ მიხას ვხვდავთ ხარკოვის უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, სადაც ის განაგრძობს თავის საყვარელ მუშაობას მეოთხე კურსამდე. მისმა მუშაობამ იქაც მიიქცია ჟანდარმების ყურადღება და მოინდომეს დაჭერა, მაგრამ მან დაახწია თავი ჟანდარმებს და ჩამოდის თბილისში.

შენ მოგვშორდი უდროოთ ძვირფასო მიხა, მაგრამ შენი ღვაწლი დაუვიწყარია. მშვიდობით, საყვარელო მეგობარო.

მეგობარი.

ქრონიკა

ვერცხლის ლატარია

საქ. ავიოქიმთან შესდგა კომისია ვერცხლის ლატარიის გასათამაშებლად. კომისიაში შედიან ფინანსთა სახ. კომისარიატის და მ.-გ. ინსპექციის წარმომადგენელნი.

გათამაშება დაიწყება 1 დეკემბერს.

გათამაშებული იქნება 7154 მანეთის ვერცხლის სხვადასხვა ნივთები.

თბილისის ალმასკომში

— **საბინაო ნიხრი.** თბ. ალმასკომის საბინაო განყოფილებასთან არსებული განსაკუთრებული კომისია ამჟამად იმუშავებს პროექტს ახალი საბინაო ნიხრის შესამუშავებლად.

— **სასოფლო-მეურნეობის საქმის საწარმოებლად** თბ. ალმასკომმა თბილისის მაზრაში 25—26 წლისათვის გადასდო 191,581 მან.

— **ქ. სასაკლაოსთან არსებული** საუტილიზაციო ქარხანა გადაწყვეტილია გადატანილი იქნას მტკვრის ნაპირზე.

დამზღვევ სალაროში

— დაზღვევის გადასახადით ხელზე მოსამსახურეებისათვის დამზღვევ სალაროს დადგენილებით დაზღვეულთა დამქირავებლები გადაიხდიან 1-ლ ... დაზღვეულთ—8 მან.

— **დახმარება უმუშევრებს.** დღეს, იმ უმუშევრებს, რომლებსაც აქვთ წიგნაკი № 6901-დი ზევით, მიეცემათ ნოემბრის თვის დახმარება.

შრომის კომისარიატში

— **მოზარდი უმუშევრები.** შრომის კომისარიატის ცნობით ამ ჟამად ბათომში ითვლება 150 მოზარდი უმუშევარი.

— **მოზარდი უმუშევრები.** შრომის კომისარიატმა დაადგინა, პროვინციაში მოაწყოს შრომის კოლექტივები, სადაც იმუშავებდენ მხოლოდ მოზარდი უმუშევრები.

— **შინამრეწველთა დაზღვევა.** შრ. სახ. კომისარიატმა სოც. დაზღვევის სამმართველოს დაავალა გამოიმუშავოს გეგმა შინამრეწველთათვის დასაზღვევ ანგარიშების გადასახადში შეღავათის მიცემის შესახებ.

— **წარმოებებში.** მოზარდთა სავალდებულო რიცხვის ყოლის ცხოვრებაში გასატარებლად შესდგა კომისია შრ. კომისარიატის, პროფსაბჭოს, უმ. სამეურნეო საბჭ. და ახ. კომკავშირის წარმომადგენლებისაგან.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში

— **აგრონომების გადამზადება.** მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატი 20 იანვარს თბილისში ხსნის აგრონომების გადასამზადებელ კურსებს.

— **კოლექტივების გამოკვლევა.** მიწათ-მოქმ. კომისარიატი ამ ჟამად მაზრებში აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების გამოკვლევას, მათ მუშაობის გაცხოველების მიზნით.

— **მავნებლებთან ბრძოლის ბიურო** ახლო ხანში გახსნის მავნებლებთან ბრძოლის შესასწავლ კურსებს, სადაც ისწავლიან სას.-სამ. კოლექტივების წევრი გლეხები.

— **ბოტანიკურ ბაღის მორწყვა.** მიწათ-მოქ. კომისარიატი შეუდგა მტკვრიდან წყალსადენის გამოყვანის საქმეს ბოტანიკურ ბაღის მოსარწყავად. სამუშაოებს ხელმძღვანელობს ინჟენერი გეგეჭკორი.

— **ტყის მოწყობა.** თელავის მაზრაში დღემდე შესწავლილი და დახარისხებული იქნა 90 ათასი დესეტინა ტყე.

საქონლის ჭირი

— **შირაქის საზამთრო იალაღებზე** გაჩნდა საქონლის ჭირი.

— **ბრძოლა საქონლის ჭირთან.** თბილისის და ახალქალაქის მაზრებში დაარსდა საქონლის ჭირის წინაღმდეგ მებრძოლი სამაზრო კომისიები.

სხვადასხვა

— **სახალხო კომისართა საბჭოს** დადგენილებით ბათომ-ტრაპეზუნდის შორის გასაყვან რკინისგზის ყველა მოწყობილება გადაეცა შავი ზღვის სანაპირო რკინისგზას.

— **ბათუმში 1 დეკემბრიდან** იხსნება ქართული 4 წლიანი მუშფაკი.

— **აზერბეიჯანის სოც. უზრ. კომისარიატმა** მიმართა საქართველოს სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატს, რათა ერთიმეორეს შორის იქონიონ მჭიდრო კავშირი და გააცნონ ერთმანეთს მუშაობის გეგმები.

— **საექიმო პუნქტები.** თვითმპყრობელობის დროს მთელ საქართველოში არსებობდა 36 სასოფლო საექიმო პუნქტები, ამ ჟამად კი არსებობს 218.

კრებები და მოხსენებები.

— **განათლების მუშაკთა სახლში.** დღეს, საღამოს 6 საათზე—პროგრამების დამუშავება—1 და 2 კრეფის ქართველ მასწავლებელთათვის (ცალ-ცალკე), საღამოს 7 საათზე—კომპარტიის ისტორია—ამხ. პაპავა.

— **მასწავლებელთა საყურადღებოდ.** პარასკევს, 4 დეკემბერს, საღ. 7 ს. საქართველოს მუზეუმის აუდიტორიუმში, დანიშნულია საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პედაგოგიური განყოფილების წევრთა მორიგი საერთო კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება შემდეგი მოხსენებები: 1. პედაგოგიური განყოფილების ... კონიაშვილი; 3. გეოგრაფია და მხარისმცოდნეობა სკოლაში—მომხსენებელია დავ. დონდუა. დასწრება ყველა მსურველს შეუძლია.

— **მუზეუმის აუდიტორიაში.** ოთხშაბათს, 2 დეკემბერს, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება საქართველოს ფიზიოტერაპევტთა და რენტგენოლოგთა საზოგადოების მორიგი კრება. დღის წესრიგი: 1. ექ. ანდრეევისა: „კურორტი მაცესტა და მისი მომავალი". 2. ექ. ლ. ელიაშვილი: „წყალტუბოს მინერალური წყლების მნიშვნელობა გინეკოლოგიაში".

— **საინსტრუქტორო მოხსენება.** ოთხშაბათს, 2 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბში ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილება მართავს საინსტრუქტორო მოხსენებას 1905 წლის—20 წლის თავის დღესასწაულის ჩატარების გეგმის შესახებ. მოხსენებაზე ყველა კლუბების სამხატვრო წრეების ხელმძღვანელებისა და წრეების მამასახლისების, კლუბების გამგეებისა და გამგეობის წევრების დასწრება სავალდებულოა. მოხსენებაზე მოწვეული არიან აგრეთვე ყველა კლუბების აქტიური მუშაკები.

— **წერა-კითხვის უცოდინარობასთან** მებრძოლ საზოგადოების სრ. საქართველოს ყრილობა, რომელიც უნდა შემდგარიყო 28 ნოემბერს შესდგება 12 დეკემბერს.

შემთხვევები

— **მტკვარში** 29 ნოემბერს გადავარდა ნავის საყრელი დროგით და თიკო კობიაშვილი. დროგში ება ორი კამეჩი, ერთი დაიხრჩო. პატრონი და ერთი კამეჩი კი გადაარჩინეს.

— **ცეცხლი.** 28 ნოემბ. თომას ქ. № 32 გაბრიელის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლისმქრობელ რაზმის მიერ.

— **ცოფიანმა ძაღლმა** 29 ნოემ. კომუნალურ ქუჩაზე დაკბინა სამი მოქალაქე და ერთი ბავშვი.

— **ძარცვა.** 28 ნოემ. ნავთლუღში ღამით გაძარცვეს სადგურიდან მომავალი სუმბათ არუთინოვი, რომელსაც წაართვეს 150 მან. ნივთები.

— **შეპყრობა.** 29 ნოემ. შეიპყრეს ვინმე შმიდტი, რომელსაც ბრალდება დიმიტრი ნიკოლაიშვილის შერემეტიევის ქ. № 21, ბინის გაქურდვა.

— **ნათლობა.** 29 ნოემ. კომუნალურ ქუჩაზე მცხოვრებ ქართან კოშკელოვს ბავშვის ნათლობის დროს მოჰპარეს ოქროს ჯვარი.

— **ქურდობა.** 29 ნოემ. პლეხანოვის პრ., № 127 გაქურდეს ართემ კეშიშოვის გასტრონომიული მაღაზია.

— 28 ნოემ. ნოვოპროექტიროვის ქ. ისაკა ტულაშვილს ბინიდან მოჰპარეს 250 მან. ნივთები.

— 26 ნოემ. სასამართლოს ქ., № 10 გაქურდეს კატაპოვის ბინა.

— 28 ნოემ. ტროიცკის ქ., № 21 გაქურდეს მაზარაშვილის სახელოსნო.

— ამავე დღეს რიყის ქ., № 20 გაქურდეს ოლღა ივანოვის ბინა, ქურდი ვინმე დათიკო შეიპყრეს.

მუშათა ცხოვრება

მუშათა ჯანმრთელობისათვის

(პროფეს. ავადმყოფობის საკითხებიდან)

პროფესიონალურ სნეულებას უწოდებენ მუშის იმგვარ დაავადებას, რომელიც გამოწვეულია მუშაობის მავნე პირობებით.

პროფესიონალურ სენთა გამომწვევი მიზეზი მრავალია; ერთ-ერთი მიზეზი მუშის ამგვარი დაავადებისა არის მოწამლვა სამრეწველო დაწესებულებებში ხმარებულ შხამებით ან და შხამიანი მასალით.

ამ წერილში ჩვენ შევეხებით მხოლოდ მუშათა ტყვიით მოწამვლის საკითხს.

ტყვია იხმარება მრავალ სამრეწველო დაწესებულებაში; ტყვიისაგან ამზადებენ ასოებს, საღებავებს და სხვა.

ძლიერ დიდ ხიფათს ტყვიით მოწამლვის მხრივ განიცდიან ასოთჩამომსხმელი (ლინოტიპის) და ასოთამწყობი მუშები.

ტყვია წარმოადგენს ფრიად მძლავრ შხამს. იგი იწოვება ადამიანის ორგანიზმში, უმთავრესად, ლორწოიან გარსთა და კუჭ-ნაწლავების ძირით. დაუზიანებელი კანი ძნელად უშვებს ტყვიას; მაგრამ ვინაიდან ადამიანის კანი თითქმის ყოველთვის არის დაზიანებული (ნაკაწრი, ნაფხაჯნი და სხვა), ამიტომაც მისი შეწოვა კანიდანაც ხდება.

ტყვია სასტიკად აზიანებს ადამიანის ორგანიზმს... როგორც შედეგი ტყვიის ხანგრძლივი მოქმედებისა, ადამიანს უჩნდება მძლავრი სისხლნაკლულოვანება, კუნთების, და მეტადრე, ზედა კიდურების კუნთების დამბლა, ნერვული სისტემის დაზიანება, კუჭნაწლავების მოშლა და სხვადასხვა. ერთი სიტყვით, ტყვიით მოწამლვა იწვევს მთელი ორგანიზმის სასტიკ დაუძლურებას და დაქვეითებას. ორგანიზმი სუსტდება იმდენათ, რომ ველარ ეწინააღმდეგება მრავალ გადამდებ სენის ჩანერგვას.

მაგრამ ყველაზე უფრო სამწუხარო არის ის, რომ ტყვიით მოწამლულის ორგანიზმი ძლიერ სუსტად ეწინააღმდეგება ჭლექის მიკრობთა ჩანერგვას. ამის გამო ტყვიით მოწამლული მუშა ძლიერ ხშირად ავადდება ჭლექით. ჭლექი წარმოადგენს პროფესიონალურ სნეულებას ტყვიის ხმარებასთან დაკავშირებულ მუშაობაში ჩაბმულ მუშებისას.

ტყვია ღუპავს შთამომავლობასაც. ტყვიით მოწამლულ ქალთა შორის ფრიად ხშირია მუცლის წახდენა. ... თის მხრივ ეს შესაძლოა აიხსნას იმით, რომ ტყვია ღუპავს ნაყოფს ჯერ უკვე დედის მუცელშივე; მეორე მხრივ კი იმითაც, რომ ეს შხამი გადადის დედის რძეში და, რასაკვირველია, იწვევს ბავშვის მოწამლვას.

რანაირი ზომები უნდა იყოს ნახმარი მუშათა დასაცავათ ტყვიით მოწამლვისაგან?

ამ მიზნით გატარებული უნდა იყოს ცხოვრებაში შემდეგი ღონისძიებანი.

სამრეწველო დაწესებულების დაცვა მშრალად—აკრძალული უნდა იყოს, ივი უნდა სუფთავდებოდეს დასველებული ტილოებით. წინააღმდეგ შემთხვევაში დაგვის დროს გაჩენილი ტყვიის ანარეკი მტვერი მოსწამლავს მუშებს. რათა მტვერი არ მოგროვდეს კედლებზე, საჭიროა შემდეგი: ადამიანის სიმაღლეზე კედელი შეღებილი უნდა იყოს ზეთის საღებავით; ყოველ-დღე კედლები უნდა იწმინდებოდეს დასველებული ტილოებით; მოწყობილი უნდა იყოს კარგი ვენტილაცია. სამრეწველო დაწესებულებებში მოწყობილი უნდა იყოს ხელსაბანები თბილი წყლით, საპნით და პირსახოცით.

თავის მხრივ მუდამ უნდა შეასრულოს შემდეგი: არას გზით არ შეიტანოს საჭმელი სამუშაო ადგილზე, არ დაახვიოს პაპიროსი დაუბანელი ხელით. საჭმლის მიღება უნდა ხდებოდეს განსაკუთრებულ სასადილო ოთახში და მხოლოდ ხელების დაბანის შემდეგ: პაპიროსის დახვევაც უნდა ხდებოდეს მხოლოდ ხელების დაბანის შემდეგ.

ეს ზომა იმისათვის არის საჭირო, რომ მუშამ გატყვიანებული საჭმელით და ხელებით გატყვიანებული პაპიროსით შესაძლოა შეიტანოს თავის პირში ტყვია; იქიდან ტყვია გადავა კუჭში, გაიხსნება იქ კუჭის მჟავე წვენში, ადვილად შეიწოვება და გამოიწვევს მოწამლვას.

მუშაობის შესრულების დროს მუშამ უნდა ჩაიცვას სამუშაო ტანსაცმელი. მუშაობის დამთავრების შემდეგ კი ეს ტანსაცმელი დატოვებული უნდა იყოს სამრეწველო დაწესებულებაში. არას გზით არ არის დასაშვები, რომ მუშამ წაიყოლიოს სამუშაო ტანსაცმელი სახლში, რადგანაც, მასთან ერთად იგი წაიყოლიებს ტყვიასაც და მოსწამლავს თავის მახლობლებს.

ცხიმიანი საჭმელი იცავს მუშას ტყვიის მომშხამავ მოქმედებისაგან. ამ მიზნით მუშებს აძლევენ ზოგჯერ რძეს და ზოგჯერ კი კარაქს. როგორც რძე, კარაქიც ნახმარი უნდა იყოს თვით მუშის მიერ, რადგანაც ეს საჭიროა მისი ორგანიზმის დასაცავათ ტყვიით მოწამლვისაგან.

უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს მუშამ თავის ტანის სისუფთავეში შენახვასაც. მან ხშირად უნდა დაიბანოს ტანი აბანოში. რადგანაც ამნაირად, იგი მოიშორებს ტყვიის მტვერს, იგი უნდა ერიდოს მჟავე საჭმელებს და სპირტიან სასმელებს, ... და მაშასადამე მოწამლვასაც.

ყველა ის, რაც იყო ნათქვამი აქ, შეეხება სტამბებს. მხოლოდ კი სტამბის მუშებს ჩვენ მივუთითებთ კიდევ ერთ ფრიად მავნე ჩვეულებაზე: ეს არის ასოების ჩადება პირში, ეს ჩვეულება დამღუპველია და ამიტომაც უსათუოდ უნდა იყოს უკუგდებული.

მეგობარი ექიმი.

საერთო კრება მთავარ სახელოსნოში

30 ნოემბერს მუშაობის შემდეგ შესდგა მთავარ სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრება გახსნა ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. ბოლქვაძემ. კრებამ აირჩია თავიანთ შორის ცხრა ამხანაგი, საქართველოს კომპარტიის მე-4 ყრილობაზე გასაგზავნათ და საჩუქრის მისართმევათ; საჩუქრათ ყრილობას გადაეცემა „ბუფერი". არჩეული იქნენ შემდეგი ამხანაგები: ათაბეგოვი, ლორთქიფანიძე, ყიფიანი, კუდრიავცევი, კავალსკი, კერესელიძე, დემეტრაშვილი, ციცვიძე, ჭანტურია.

მუშკორი დამსწრე.

დადგენილება უნდა გატარდეს ცხოვრებაში

ქალაქის ალმასკომის დადგენილებას დიდის აღტაცებით და სიხარულით შეხვდენ მუშა-მოსამსახურეები.

ეს დადგენილება ეხებოდა დანგრეული სახლებისათვის კაპიტალური რემონტის გაკეთებას სახლის პატრონების მიერ.

ალმასკომის დადგენილებით, თუ სახლის პატრონი დანიშნულ ვადაში არ გაუკეთებდა სახლს საჭირო კაპიტალურ რემონტს, ასეთებს სახლები ჩამოერთმევოდათ. დადგენილება მიზანშეწონილია და სამართლიანი ყოველ მხრივ. მხოლოდ ცხოვრებაში კი არ გატარდა და რა მიზეზით, არ ვიცით.

მუშა-მოსამსახურეები მოუთმენლად მოელოდენ ბინების შეკეთებას და ნგრევისაგან საშიშროების აცდენას, მაგრამ ამაოდ.

ალმასკომის დადგენილება, რომ გამოქვეყნდა სახლების რემონტის შესახებ, სახლების მეპატრონეები შეფუცფუცდენ და რაღაცას აპირებდენ, მაგრამ, როდესაც შეხედეს დადგენილების ცხოვრებაში გატარება არავის აინტერესებდა, მათაც (მეპატრონეებმა) ამაყად გამართეს წარბები და სიცილიც კი დააყარეს მუშა-მოსამსახურეების კანონიერ მოთხოვნილებას.

კმარა მრავალწლობით დანგრეულ სახლების შეკეთების შესახებ წერა...

საჭიროა ალმასკომის დადგენილების დაკვრითი წესით ცხოვრებაში გატარება.

აქეთ ყურადღება ვისგანაც ჯერ არს!

მდგმური.

მადლობის ღირსია ასეთი მუშაკი!

თბილისის რკ. გზ. დეპოში მსახუ... ლად სდარაჯობს თავის მოვალეობას.

მისი მუყაითობით სამჯერ ზედიზედ სხვადასხვა სახალხო სწრაფი მატარებლები იქნა გადარჩენილი უბედურ შემთხვევებს, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ხალხის აუარებელი მსხვერპლი. საჭიროა სხვებმაც მიბაძონ ამ მაგალითს.

მუშკორი გარდი.

ადგილკომებში

— **ადგილკომში.** იმ მიზნით, რომ ადგილკომთან არსებული სხვადასხვა კომისიები ერთმანეთთან დაკავშირებული იქნენ და გაეცნონ ადგილკომის საქმეების შინაარსს, დაევალა ალმასკომის „უქსის" ადგილკომს მიაწოდოს კომისიებს პროფკავშირის ყოველგვარი ცირკულიარები და განკარგულებები.

— **კანდიდატები უნდა ესწრებოდნენ სხდომებს.** ალმასკომის უძრავ ქონების ადგილკომის სარევიზიო კომისიის სხდომამ დაადგინა, რომ აუცილებლად სარევიზიო კომისიის სხდომაზე ესწრებოდენ სარევიზიო კომისიის კანდიდატებიც.

მუშათა კლუბში

— **დრამ წრის დაარსება.** პლეხანოვის სახელობ. კლუბის გამგეობამ დაადგინა დაარსდეს დრამწრე პლეხანოვის კლუბში, მომღერალთა გუნდი და მოეწყოს სიმებიანი ორკესტრი.

— **კედლის გაზეთის გამოცემა.** პლეხანოვის სახ. კლუბის კულტ-კომისია ამ მოკლე ხანში გამოსცემს კედლის გაზეთს.

— **უფასო წარმოდგენის მოწყობა.** პლეხანოვის კლუბის პრეზიდიუმის სხდომამ დაადგინა—მოეწყოს პლეხანოვის კლუბში უფასო წარმოდგენები და წრე იურიდიული ცნობების მისაცემად კლუბის წევრებისთვის.

— **სამნეო კომისია.** კლუბის პრეზიდიუმმა დაადგინა მოეწყოს პლეხანოვის კლუბში კომისიები—საორგანიზაციო-სამნეო და მუშათა ყოფაცხოვრების შესასწავლი კომისიები.

— **სალაროს ბინის შეკეთება.** ვინაიდან პლეხანოვის სახ. კლუბში სივიწროვის და ფანჯრების უქონლობის გამო შეუძლებელია მუშაობა, ამისთვის დაევალა სამნეო კომისიას საჩქაროდ შეაკეთოს სალაროს ბინა.

პლეხანოვის კლუბში.

გაიხსნება წრეები. კლუბის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომამ დაადგინა გაიხსნას პლეხანოვის სახელ. კლუბში პროფწრე, და პოლიტწრე, ქართულ და რუსულ ენებზე.

— **კითხვა-პასუხის საღამო.** პლეხანოვის კლუბის გამგ. დაადგინა მოეწყოს პლეხანოვის კლუბში კითხვა-პასუხის საღამო.

— **კულტმუშაობის გაძლიერებისათვის.** ალმასკომის უძრავ-ქონების სამმართველოს თანამშრომელთა საერთო კრებამ დაავალა კულტ-კომისიას გაადიდოს კულტ-ფონდი და ... ოს გასაძლიერებლად მოაწყოს ფასიანი საღამოები სპექტაკლების, და ლიტერატურული გასამართლების მოწყობით.

— **ზედმეტი დახმარების გაცემა.** რკ. გზ. უბნის სალაროს განზრახული აქვს ზედმეტი მუშაობის ჯილდოს გაცემა ყოველ თვიურად ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„ქეთო და კოტე"

ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე" ინტერესს იწვევს მხოლოდ: როგორც ქართული კომიკური ოპერის პირველი ნიმუში. სიუჟეტი, რომელიც აღებულია ცაგარელის კომედიიდან „ხანუმა", სავსეა კომიკური მომენტებით, რომლებიც მხიარულ განწყობილებას ქმნიან მაყურებელში.

ვერც თავისი შინაარსით, ვერც სტილიურობით და ვერც მელოდიების ორიგინალობით დოლიძის ამ ნაწარმოების მუსიკა დიდ ყურადღებას ვერ მიიქცევს. მართალია აქა-იქ შეხვდებით ადგილობრივ კოლორიტს (საქოს და სიკოს დუეტი, მე-2-ე აქტის კვარტეტი), მაგრამ აქ ნასესხებია სხვა ოპერებიდან თუ მელოდიები არა მუსიკის ხასიათი მაინც. მაგალითად მაჭანკალ ბარბალეს პირველი დიალოგი სხვა პერსონაჟებთან პირველი აქტის ფინალში, ქეთოს არია, ორივე დუეტი,—ყველა ამ ადგილებში მუსიკას აქვს ძველი იტალიური სკოლის მუსიკის ხასიათი, ზოგჯერ დოლიძეს ნასესხები აქვს მუსიკალური ფორმები როსინისაგან. ყველაზე უკეთესია მეორე აქტი, მაგრამ არა მუსიკალური შინაარსით, არამედ ყველა მომქმედ პირთა ცოცხალი თამაშით დაწყებული მთავარ პარტიების შემსრულებლებიდან გათავებული გუნდით და განსაკუთრებით ბალეტით, რომელშიაც ძალიან კომიკური არიან სერგეევი (ცაცხვის მასწავლებელი) და ბარხუდაროვი (ბოქაული). ორივე მსახიობმა გამოიჩინა კარგი კომიკური ნიჭი, მაგრამ სერგეევი აშარჟებს.

მაჭანკალი ბარბალე (ნეიმანი) უფრო სწორად უდგება თავის როლს, ვინემ მაჭანკალი ხახუსი (დობრჟანსკაია). ის იძლევა მაჭანკალის უტყუარ ტიპს ძველი თბილისის ცხოვრებიდან. მუსიკალურია ცაგარელი (ქეთო) ძალიან კარგია ისაკი (მარკარ). აქედან ჩანს, რამდენად მრავალფეროვანია მისი ნიჭი.

„კოტე" კავსაძის შესრულებით სავსებით მისაღებია, აგრეთვე „თავადი ლევანიც" ელიაშვილის შესრულებით.

მაყაშვილი (ქვრივი მარო) ჯერ არის მტკიცეთ თავის პარტიაში და თვალს არ აშორებს დირიჟორის ჯოხს, რაც აქარწყლებს შთაბეჭდილებას.

დადგმა სავსებით რეალურია და ეპოქის შესაფერი.

ბ. ბ.

ქართული აკად. დრამა.

„გააზნაურებული მდაბიო".

შაბათს, 28 ნოემბერს, აკადემიური დასის მიერ წარმოდგენილ იქნა მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო".

„გააზნაურებული მდაბიო" მთელი სამი წლის განმავლობაში წარმოადგენს ერთერთ საუკეთესო დადგმას, როგორც სანახაობის მხრივ, ისე მსახიობების შერჩევითა და შესრულებით.

აქ ყველაფერი ახალისებს მაყურებელს: პიესის მსუბუქი ტონი და მოქმედებაში განსახიერებული ცოცხალი იუმორი. სცენიური ფერადოვნება და ლამაზათ შერჩეული კოსტიუმები. მსახიობებიც განსაკუთრებულის სიხალისით აქსოვენ შიგ თავიანთ ბუნებრივ ნიჭსა და სცენიურ ცოდნას. ყველა ამას თან სდევს მშვენიერი მუსიკა, რომელსაც თამაშში შეაქვს კეთილ-ხმოვანება და რიტმი.

წინააღმდეგ ზოგიერთ მაგალითისა, ამ პიესის განახლება განირჩეოდა იშვიათი მოხდენილობითა, სისრულითა და ხალისით.

პერსონალური შემადგენლობა, გარდა ერთი-ორი მეორე ხარისხოვანი როლისა, იგივე იყო და წინანდელთაც ჩაატარეს მთელი თამაში.

აუდიტორია მრავალი, მცირეოდენ უკმაყოფილო იყო, მაგრამ ფრიად კმაყოფილი დარჩა ამ მოხდენილი წარმოდგენით.

ლელი.

— **ახალი მწერლობის კავშირის მორიგი საღამო.** დღეს ხელოვნების სასახლის სპარსულ ოთახში შესდგება ახალი მწერლობის მორიგი დახურული საღამო. გერონტი ქიქოძე წაიკითხავს ქართული თარგმანით „ტრისტან და იზოლდა"-ს. დასწრება შეუძლიათ მხოლოდ წევრებს. დასაწყისი სრულ 8 საათზე.

— **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ჰოფმანის ზღაპრები".

— **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ჰამლეტი" მეორე შემადგენლობის მონაწილეობით.

— **კონსერვატორიის დარბაზში** დღეს გაიმართება ტერენტი გრანელის საღამო.

— **კინო გლეხებისათვის.** აჭარისტანის პოლიტგანათლების სამმართველომ გადასწყვიტა სოფ. ჩაქვში მოაწყოს კინოთეატრი გლეხებისათვის.

— **მუსიკალური და სამხატვრო წრეები.** ტრამვაის ადგილკომის კულტკომისიამ მოაწყო მუსიკალური და სამხატვრო წრეები.

— **სომეხ ხელოვანთა სახლში** „ჰაირარტუნში" დღეს გაიმართება იმავე სახლთან არსებულ მუსიკალურ სტუდიის მოწაფეთა საღამო.

— **მცირე წითელ თეატრში** ხვალ სამხედრო მოსამსახურეებისათვის წარმოდგენილი იქნება: „ოვოდ".

შ. მ. ო-ს დღე

კვირას, საღამოს 7 საათზე ახალ კლუბში ჩატარებულ იქნა შ. მ. ო.-ს დღე.

ახალი კლუბის საკონცერტო დარბაზი სავსეა ხალხით. სხდომას ხსნის ამხ. ვარდანიანი, რომელიც თავის სიტყვაში არკვევს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მნიშვნელობას და დანიშნულებას წარმოების აწევისა და შრომის და მმართველობის რაციონალურად მოწყობაში. იგი აღნიშნავს, რომ შრომის მეცნიერულად ორგანიზაციის მოწყობას დიდ ყურადღებას აქცევდა ამხ. ლენინი, რომ ამ მოძრაობამ რუსეთში უკვე ფეხი მოიკიდა, იგი მძლავრ ორგანიზაციაში ყალიბდება, ხოლო ჩვენში კი მას მხოლოდ ორი წლის ისტორია აქვს. მიუხედავად ამ მცირე დროისა, „შმო"-ს დიდი მიღწევები აქვს. ამას ამტკიცებს თუნდაც ის გარემოება, რომ ორგანიზაცია თანდათან ვითარდება, იჭრება ღრმად მუშათა მასაში და იპყრობს მათ ყურადღებას.

მაგრამ მომხსენებელი აღნიშნავს იმ გარემოებასაც, რომ შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას ზოგიერთები უნდობლობით და სკეპტიკურად უცქერიან.

ამხ. ვარდანიანის მოხსენების შემდეგ იწყება მილოცვები. მილოცვებით გამოდიან ამხანაგები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, როგორც, მაგ., რკ. გზის მთავარი სახელოსნოდან, სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტიდან და მის მუშფაკიდან, ინჟენერ-ტეხნიკოსთა საზოგადოებიდან და სხვა.

მისალმებათა შემდეგ გააკეთეს მოხსენებები შ. მ. ო—ს მოძრაობის შესახებ ჩვენში: ამხ. გვიჩიამ და ამხ. ტატულოვმა. მოხსენება გააკეთა ამასთანავე ამხ. სკოროდუმოვმა შ. მ. ო—ს მოძრაობის შესახებ საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა ინსცენიროვკები.

საღამოში მონაწილეობას იღებდენ ლენინგრადის მსახიობები ერონსკი და გაიდაროვი, რომლებიც თავის იუმორით იწვევდენ საერთო სიცილს, თითოეულ მათ მიერ შესრულებულ ნომერს საზოგადოება მქუხარე ტაშის ცემით ხვდებოდა.

დასასრულ უჩვენეს კინო-ქრონიკა „შმო".

ამ დღის აღსანიშნავად გამოშვებულ იქნა სპეციალური გაზეთი „ნოტ"-ი რუსულ და ქართულ ენებზე.

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთის საშემოდგომო სეზონის დახურვა

კვირას, 29 ნოემბერს დამთავრდა ფეხბურთის საშემოდგომო სეზონი.

საფინალო მატჩში ერთმანეთს შეხვდა თბილისის ორი უძლიერესი რაზმი: ს. ორჯონიკიძის და გ. ქავთარაძის სახელობის გუნდები.

შეჯიბრება რამოდენიმეთ უხალისოთ დაიწყო. ჩანდა, რომ ორივე მხარე სინჯავდა ერთმანეთის ძალას და ეძებდა სუსტ ადგილებს მოწინააღმდეგის შემადგენლობაში.

ორჯონიკიძის სახელობის გუნდი ჩვეულებრივ მტკიცედ და გაბედულათ თამაშობდა; ამ მხრივ ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებდა ქავთარაძის სახელობის გუნდი, რომელსაც მოდუნება და დაღლილობა ემჩნეოდა.

პირველი ორი დამარცხების შემდეგ, რომელიც ბაგდოევის და ფრუიძის მოუფიქრებლობის ბრალი იყო, ქავთარაძის სახელობის გუნდმა უფრო ინტენსიურათ განავითარა შეტევა და პირველი ხავტაიმის უკანასკნელ წუთებში უკვე შესძლო წაგებულის გაქვითება.

ქავთარაძის სახელობის გუნდში, სხვათა შორის, თამაშობდა ერთი ახალი ოდესელი მოთამაშე—კალპერინი, რომელიც თუმცა არ არის ურიგო მოთამაშე, მაგრამ მას მაინც არ შეუძლია ვლ. თურქიას შეცვლა, რომელიც გამოაკლდა ამ გუნდს.

მეორე ხავტაიმი უფრო ხალისიანათ დაიწყო. უტევდა როგორც ერთი, ისე მეორე მხარე, თუმცა ხავტაიმის პირველ ნაწილში უპირატესობა ქავთარაძის სახელობის გუნდის მხარეზე იყო.

თამაშის მეორე განყოფილების ბოლოს ორჯონიკიძის სახელობის გუნდის ფეხბურთელებმა მარდი სირბილით და ბურთის ლამაზი გადაცემით გაარღვიეს მოწინააღმდეგის ფრონტი და თითქმის ზედიზედ სამი ბურთი შეიტანეს მის ჭიშკარში.

შეჯიბრება გათავდა 5:3 ს. ორჯონიკიძის სახელობის გუნდის სასარგებლოთ. ამრიგად, პირველობა ქალაქში დარჩა ამ გუნდს.

გაზაფხულამდე ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება შეწყვეტილია.

შ.

სოფლად

უვარგისი აღმასკომი

ახლოვდება თემსაბჭოების არჩევნები. საჭიროა მიუდგომლად აღინიშნოს ამა თუ იმ აღმასკომის დადებითი თუ უარყოფითი მხარეები რომ უვარგისი მომუშავეები ხელახლა არ იქნენ გაყვანილი საბჭოებში და მათ მაგიერ იქ ადგილი დაეთმოს ღარიბ და საშუალო გლეხობიდან გამოსულ აქტივს. ამაზე მივვითითებს ჩვენი ორგანოები, ამაზევე მო ვაგონებდა ამხ. „ა. ზ—ლი" ამას წინად სოფლის გლეხკორებს.

მეც ვრედავ და ვიღებ კალამს ხელში ისეთ აღმასკომზე, რომელზედაც არდაწერა შეიძლება კიდეც აჯობებდა. ამ დალოცვილ ჩვენს სოფელში, თუ ვინმეს შეეხე და ცუდათ ახსენე, გუდა-ნაბადი აკრული უნდა გქონდეს და საგზალი გამზადებული. სულ ერთია მოსვენებას არ მოგცემენ.

გადავიდეთ პირდაპირ საკითხზე. მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო წყალტუბოს აღმასკომს და მის თავმჯდომარეს.

შეიძლება ჩვენმა აღმასკომმა თავისთვის ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ გარეთ არაფერი სჩანს საამისო. აღმასკომი არ აქცევს ყურადღებას კულტურულ მუშაობას. ეს ჩვენს სოფელში ყველასათვის ცხადია. თეატრი, სამკითხველო, ბიბლიოთეკა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, სკოლები და სხვა, აი კულტმუშაობის მთავარი საკითხები.

ყველა ესენი ჩვენი აღმასკომის მუშაობაში სადღაც მიჩქმალული იყო. თეატრში მუშაობა არ წარმოებულა, ბიბლიოთეკა-სამკითხველო უპატრონოდ არის. წერკუმსის საზოგადოებაზე ლაპარაკიც მეტია.

თვით აღმასკომის თავმჯდომარეზე გინება-ლანძღვის მეტი არა დაწერილა-რა გაზეთებში. ან კი რა უნდა დაწერილიყო, როცა მუშაობა სავსებით მოდუნებულია. როცა საბჭო იკრიბებოდა, დღის წესრიგში უსათუოდ თავმჯდომარის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები იდგა. ამნაირად საბჭო ხშირად იმისთვის იკრიბებოდა, რომ ნდობა გამოეცხადებინა თავმჯდომარისათვის. ამდენმა დრომ ისე განვლო, რომ საბჭოს არ წამოუყენებია არც ერთ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხი. არ მოგონებიათ არც სახალხო სახლი, არც გზების გაყვანა და მოწესრიგება თვით სოფლის ახლომახლო კუთხეებში და სხვა. ეს მაშინ, როცა წყალტუბო თავისი მდგომარეობით და კულტურულ ძალების მიხედვით წინ უნდა იდგეს და მაგალითს უნდა იძლეოდეს.

წყალტუბოში ბევრი რამ არის გასაკეთებელი. საჭიროა ინიციატივის და საკმაო ცოდნისა და გამოცდილების მქონე აღმასკომის თავმჯდომარე. დღევანდელ თავმჯდომარეს ამის ძალა არ შესწევს. ის ნიკოლოზის დროინდელი მწერალია და ახალი სული ვერ შეაქვს სოფლის მუშაობაში. მისი მეოხებით ჩვენი თემის აღმასკომი ნიკოლოზის კანცელარიას უფრო წააგავს, ვიდრე საბჭოთა სოფლის დაწესებულებას. ვინც იცნობს ჩვენს თემაღმასკომს, ეს სურათი მას ცხადათ გადაეშლება თვალწინ აღმასკომში შესვლისთანავე.

ყველაფერი ეს კარგად უნდა გაითვალისწინოს ჩვენმა გლეხობამ მომავალ აღმასკომში აირჩიოს ისეთი პირები, რომლებიც სავსებით გაამართლებენ მათ ნდობას.

გარაკელი.

დაუდევრობის შედეგი
(ლეჩხ. მაზრა)

ტყის მნიშვნელობა გლეხობისათვის მეტად დიდია; მაგრამ ჩვენმა სატყეო განყოფილებამ რამოდენიმე ათეული დესეტინა ტყე წაბლნარი ცეცხლის მსხვერპლათ გახადა, რომელიც გამოუსწორებელი დანაკლისია ლეჩხუმელი გლეხობისათვის.

მიზეზი უნდა ვეძიოთ სატყეო განყოფილების სისუსტეში და ტყის მცველების უპასუხისმგებლობაში. თითქმის ორი კვირის განმავლობაში მთელი მაზრა კვამლით იყო გადაბურული, რომელზედაც ხალხი დიდ მწუხარებას გამოსთქვამდა, მაგრამ ჩვენი ტყის მცველები თითქოს სეირს უყურებდენ.

საჭიროა ჯეროვანი ყურადღება, თორემ ჩვენი ტყის მცველებიდან ფარესს უნდა ველოდეთ.

ლეჩხ. სიო

ვაჭრების ოინები
(გორი)

გორის მაზრა ცნობილია ხილის მდიდარი მოსავლით. მაგრამ ხილის გასაღების საკითხი ჩვენმა კოოპერატივებმა კიდევ და კიდევ ვერ [illegible] ვალი; ამიტომ გლეხს უხდება მიმართოს ისევ ჩარჩ ვაჭრებს, რომელნიც წელს განსაკუთრებით გამრავლდენ.

ეს კიდევ არაფერი; უბედურობა ისაა, რომ წინდაწინვე ჩილის ფარად დაბევებული ხილი ვაჭარს თავის დროზე აღარ მიაქვს. ის უცდის ფასების გაზრდას. გლეხი ებვეწება, წაიღე და გამისტუმრეო. ხილი კი თანდათან ცოტავდება.

ამის გამო გლეხი ორნაირად ზარალობს. ერთი, რომ ხილი ცოტავდება და მეორე ხვედრ ფულს დიდი დაგვიანებით ღებულობს.

არის კიდევ ერთი გარემოება. ვაჭრები იმდენათ გათამამდენ, რომ გამოართმევენ გლეხს ხილს, ჩამოიტანენ გორის საწყობებში. ფულს [illegible] თავენ: „რის გეშინიან, დამაცადე, მე ხომ კოოპერატივი არა ვარ, რომ შეჭამო შენი ხილიო". ხშირათ ხან ერთ ვაჭართან, ხან მეორესთან ატყდება ყვირილი: „მომეცი, ძმაო, ჩემი ფული, რას მემართლებიო". აქ ჩაერევიან ვაჭრის მეგობრები, დაამშვიდებენ გლეხს. უყიდიან ერთ ჩარექ ღვინოს და ისევე ხელცარიელს ისტუმრებენ. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რამდენათ სუსტია ჩვენში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.

ლიახველი.

საქონელი ექიმობას საჭიროებს
(ხონი)

ჩვენს მაზრაში მხოლოდ 1 ვეტერინარული ექიმი და ორი ფერშალია. ფაქტიურად ეს სამი თანამშრომელი მაზრის ქვედა რაიონებს ემსახურება. ხოლო საჩხინოს, მარტვილის, ნაქალაქევის და ბანძის რაიონები უპატრონოდ არიან მიგდებული.

მართალია ექიმი ი. ბარათაშვილი ამ რაიონებშიც ხშირად მოგზაურობს, მაგრამ განა გავლით შეიძლება საქმე გაკეთდეს?

ეს რაიონები კი ძლიერ მისდევენ მესაქონლეობას და ამრიგად საჭიროებენ საქონლის ექიმს ან თუნდაც გამოცდილ ფერშალს. დ. მარტვილში საბეითლო პუნქტის მოწყობილობაც არის.

მე მგონია უკეთესი იქნებოდა სამაზრო აღმასკომი ზოგიერთ ხარჯებს შეუმცირებდეს რომელიმე განყოფილებას და თუნდაც ერთ ფერშალს დაიქირავებდეს ხსენებულ რაიონებისათვის.

თუ შეიძლებოდა ჯანმრთელობის განყოფილებისათვის სპეციალურად დარაჯის დაქირავება, რომელიც სრულიად არ საჭიროებს განსაკუთრებულ დარაჯის ყოლას, რატომ არ მოხერხდებოდა ამავე თანხის ცოტათი გადიდებით ფერშლის დაქირავება? ჩვენ ვფიქრობთ ეს ნაკლი მალე იქნება გამოსწორებული.

ბ. უჩანეიშვილი.

წერილებიდან

ახალ-ხიბულა (ზუგდ. მ.)

რას აკეთებს ჩვენი ინტელიგენცია? აქაური ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება ყავახანას უფრო წააგავს, ვიდრე სახელმწიფო დაწესებულებას. აფთიაქარი კაშელავა, ფერშალი შენგელია, მასწავლებელი კაკაბაძე და სხვები მთელ თავისუფალ დროს იქ ატარებენ ბანქოს თამაშში.

ძრო გორწყედით.

ს. ზომლეთი (გურია)

საექიმო პუნქტი არა გვაქვს. ჩვენს თემში ექვსასამდე მეკომური ცხოვრობს. არა გვაქვს საკუთარი საექიმო პუნქტი. გლეხობა ამით შევიწროებულია, რადგან საჭიროების დროს მეზობელ თემებში უხდება ექიმის ძებნა. იმედია მაზრა გამოიყვანს ზომლეთის თემს ასეთ მდგომარეობიდან.

დახეჯილი.

ზუგდიდი

ხასიას ხასიათი. მასწავლებელი ხახია უდიერათ ეპყრობა ოთხწლედის მოწაფეებს, ბეგმებს სცემს, კუთხეში აჩოქებს და სხვა. მტყობა ხასია ჯერ კიდევ ვერ გადაჩვევია ძველ ხასიათს.

მუშის შვილი.

დ. მარტვილი (სენ. მ.)

უწესრიგობა წარმოდგენის დროს. ადგილობრივ კლუბში ჩატარებულ იქნა კინო-წარმოდგენა. დარბაზს აუარებელი ხალხი მიაწყდა. სურათის ჩვენების დროს არავითარი წესრიგი არ იყო. ვინ სკამზე იდგა. ვინ ფანჯარაზე, ვინ კიდევ მასხრობდა და ოხუნჯობდა. ზოგიერთები მთვრალიც იყო, იქვე არწყევდენ და სვრიდენ დამსწრეებს, განსაკუთრებით თავი ისახელა მოწაფეობამ. უმაღ ფული გლეხები იძულებულნი იყვნენ წარმოდგენა გათავებამდე მიეტოვებინათ.

კავშირელი.

გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციას

გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში შემდეგი განცხადება:

როგორც გამოირკვა ამ უკანასკნელ დღეებში, ჟურნალ „მნათობის" ექსპედიციის გამგეს, მოქ. ჩიქვანაიას, უწარმოებია ხელის მოწერა ჟურნალ „საუნჯე"-ზე და აუღია ფულები ხელის მომწერლებისაგან. ვინაიდან „საუნჯე"-ს რედაქციის არავითარი მანდატი მოქ. ჩიქვანაიასთვის არ მიუცია, რომლის ძალითაც მას ჰქონოდა უფლება „საუნჯე"-ს ფულების მიღებისა და მით უფრო მითვისებისა, ამიტომ რედაქცია სთვლის ამას ბოროტმოქმედებათ და აცნობებს ყველას, ვინც კი გახდა მსხვერპლათ ჩიქვანაიას ბოროტმოქმედებისა, რომ რედაქცია ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობას არ კისრულობს.

„საუნჯე"-ს რედაქცია.

[illegible] რაონ და მოსე; დები: ოლღა, ესმა, ვერა, მარია, ნინა და სოლომონიდა ბიძა ირაკლი მგალობლიშვილი, ბიძაშვილი მიხაკო გერასიმეძე მეგრელიძე, აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს და კეთილებს უდროოდ დაკარგულს, მათ საყვარელს სახ. უნივ. პოლიტეხნიკური ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტ

ზაქარია (ზაქრო) როსტომისძე მეგრელიძის

გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულებას, რის გამო ხუთშაბათს 3 დეკემბერს დღის 4 საათზე დანიშნულია ნიკოლოზის ვერის საკათედრო ტაძარში სამოქალაქო პანაშვიდი.
1—1 ნ. 665.

რუსთაველის თეატრი — დღეს, 1 დეკემბერს

ჰამლეტ

მონაწილეობს პირველი შემადგენლობა

ხუთშაბათს, 3 დეკემბერს

მიწის ძვრა

(ლისაბონის ტუსაღები)

2—1 ნ. 344 დადგმა დ. ანთაძის.

სახელმწიფო ოპერა — დღეს, 1 დეკემბერს

გოფმანის ზღაპრები

ოთხშაბათს 2 დეკემბერს

ჰუგენოტები

2—1 ნ. 343

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ვ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.
0—25

ქალ. ქუთაისში გაზ. „კომუნისტ"-ზე ხელის მოწერა

[illegible] მიხა ტყავლაძესთან

„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა
0—

განცხადება ჟურნალ „მნათობი"-ს რედაქციისა

ჟურნალ „მნათობი"-ს რედაქცია ხელის მომწერლებისა და მკითხველთა საყურადღებოთ აცხადებს შემდეგს:

რათა ხელის მომწერლებს დროზე და უნაკლოდ დაურიგდეს ნომრები 1926 წლისათვის ჟურნალ „მნათობი"-ს რედაქცია თვითონვე მოაწყობს ჟურნალის კანტორას

დაიწყო ხელის მოწერა 1926 წლისათვის

ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში და აგრეთვე სათანადო ქვითარებით და მანდატებით აღჭურვილ აგენტებთან.

წლიურად გამოვა 12 ნომერი ათ წიგნად და ხელის მომწერთათვის ეღირება 16 მანეთი, ნახევარი წლით 8 მანეთი, ცალკე ნომერი—2 მან.—ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

1925 წ. „მნათობი"-ში დაიბეჭდა შემდეგი ავტორების ნაწარმოებნი:

ადამაშვილი ჯავახიშვილი მ. ამაღლობელი ს. ბუმბერანგ-მაშაშვილი ა. ბახტაძე ვ. გამსახურდია კ. გაფრინდაშვილი ვ. გვეტაძე რ. გოგებერიძე მ. გარგაძე გ. გორგაძე ს. დევდარიანი ს. დუდუჩავა შ. ვაკელი ი. იაშვილი პ. იოსელიანი ი. ირეტელი ბ. კაკაბაძე პ. კაკაბაძე ს. კალაძე კ. კალაძე რ. კლდიაშვილი დ. კლდიაშვილი ს. ლეონიძე გ. ლორთქიფანიძე ვ. მახარაძე ფ. მარრი ნ. მგალობლიშვილი გ. მეჯვრისხევ-ბეგი ლ. მიწიშვილი ნ. ნადირაძე კ. რამიშვილი ტ. რობაქიძე გ. როსტელი დ. ჟღენტი ბ. ქურუმი გ. ხომხოშიძე პ. სტალინი-ჯუღაშვილი ი. ტაბიძე გ. ფილავა ა. ფერადოსიშვილი კ. ქაჯთარაძე ს. ქიქოძე გ. ქუთათელი ა. ქუჩიშვილი გ. ყაზბეგი ს. შენგელაია დ. ჩიქნელი დ. ჭიჭინაძე კ. ხუნდაძე ს. ხუროძე გ.

1926 წლისათვის ჟურნალში სათანამშრომლოდ მოწვეულნი არიან საქართველოს ცნობილი პოეტები, მწერლები, მხატვრები, მეცნიერები და პუბლიცისტები.

რედაქციას ჰყავს საკუთარი თანამშრომლები რუსეთში და საზღვარ-გარეთ.

რედაქციისა და კანტორის მისამართი: რუსთაველის პროსპექტი № 31 (სახელგამის ყოფილი ბინა)

P. S. „მნათობი"-ს ძველი კანტორა, რომლიც კერძო პირების ხელში იყო, მომავალი წლისათვის გაუქმებულია. ვისაც 1925 წლის რომელიმე ნომერი დააკლდა, გვაცნობოს სათანადო საბუთების წარმოდგენით და ნომერს მიიღებს.
ნ. 338—7—1

ბარო-უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 5 დეკემბერს 1925 წ. საათის 12, ქუთაისის ქ. № 6 საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის ალექსი რეშეზოვის მოძრავ ქონებას ფეხით საკერავ მანქანას და დიდ კედლის სარკეს, შეფასებულს 110 მან. დასაკმაყოფილებლად მალაკანთა კოოპერატივისა, ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან.
1—1 663

აპოლლო არტისტო სოლეი

სეზონის საუკეთესო სურათი

პოლიციის ბრჭყალებში

გეტი კომპსონის მონაწილეობით

ადგილების ფასი: პირველი სეანსის დასაწყისამდე: პარტერი—35 კ., ამფიტეატრი—25 კ., მეოთხე ადგილები—20 კაპ.

ნიშანი Z ზერო

მთავარ როლში დუგლას ფერბენქს

საუკეთესო ამერიკული სურათი.

0-11 ნ. 254

ა | წ. 8 დეკემბრიდან გაზ. „სპარტაკის" ნაცვლად იწყებს გამოსვლას

ს. ა. ლ. კ. კ. ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ყოველდღიური გაზეთი

„ახალგაზრდა კომუნისტი"

ამხ. ვ. ბახტაძის რედაქტორობით

გაზეთს ექნება შემდეგი მუდმივი განყოფილებები:

1. სახელმძღვანელო ხასიათის წერილები კომკავშირის მუშაობის ყველა დარგიდან.
2. წერილები საბჭოთა-პარტიულ ამოცანებზე, საერთაშორისო მდგომარეობაზე, მუშათა საერთაშორისო მოძრაობაზე.
3. ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობა (კომუნისტური ახალგაზრდობის მოძრაობა და ჩვენი მტრები საზღვარ-გარეთ).
4. ჩვენი კავშირის ცხოვრება.
5. ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრება.
6. პიონერთა შორის.
7. საქართველოს სამეურნეო აღმშენებლობა.
8. მეცნიერება და ტექნიკა, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, ახალგაზრდობა და ხელოვნება, ქრონიკა და სხვა.

თვითეული კომკავშირელი, ყოველი ახალგაზრდა მუშა და გლეხ ყოველი მოსწავლე, ახალგაზრდა და წითელარმიელი უნდა იწერდეს და კითხულობდეს თავის გაზეთს.

„ახალგაზრდა კომუნისტს"

თვითეულმა ა. ლ. კ. კ. უჯრედმა, თვითეულმა კლუბმა, კოხსამკითხველომ და სკოლამ უნდა გამოიწეროს

„ახალგაზრდა კომუნისტი"

ხელის მოწერის პირობები	1 თვით	60 კაპ.
გაზეთის ფასი ქალაქათ	3 „	1—80 „
და გარეთ..	6 „	3—50 „
	1 წლ.	7 მან.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) № 30 მე 3-ე სართული ოთახი 36.

ხელის მოწერა სწარმოებს კანტორაში.

გაზეთის პირველი ნომერი გამოვა 8 დეკემბერს
ნ. 327 5—2.

სახელმწიფო საუჰპალტრო კურსების ლექტორის

ზაქ. ინწკირველის

მიერ შედგენილი სახელმძღვანელო

„ბალანსი მისი შედგენა და ანალიზი"

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

ფასი 60 კაპ.

2-2 ნ. 316

ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს

ტყავტრესტი

ახლად გახსნილი ტრესტის მაღაზია № 8 ვაგზლის ქუჩაზე, № 5

ვაჭრობს

ტრესტის ქარხნებისა და ფაბრიკის ყოველგვარი ნაწარმოებებით, როგორც ტყავეულობით, ისე ნაგდეულობით

აგრეთვე აქვს მრავლად მოსკოვისა და ლენინგრადის ფაბრიკების შეკერილი ფეხსაცმელები,

ფასები კონკურენციის გარეშე.

3—1 341 ცენტრალური გამგეობა.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის

ცხენთსაშენის განყოფილება

ამით აცხადებს, რომ 1925 წლის დეკემბრის 4-ს დღის 12 საათზე, ყულარის სახალხო მამულში (ბორჩალოს მაზრა, სადგური შულავერი) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

უვარგისად ცნობილ 33 კვიცისა და ორი ფაშატი ცხენის გასასყიდათ.
1—1. ნ. 842.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

სხივებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებით ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
9205 25—1

ექიმი გ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49). ტელ. 4—82 საღამოს 7—8 საათ. ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.

ექიმი მ. ა. ლუკოვსკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე. საპიორის ქუჩა № 35. ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

ექიმი ე. მ. მქინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. ცალკე: ქალების და ბავშვების 5—6 ს. მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

ექიმი ე. ი. კალანდაძე

ღებულობს ავადმყოფებს: საღამოობით 5—7 ს. შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ, დილით—7—8 ს. ვენერიულით, საშარდე და სასქესო ორგან. და სიფილისით. მისამართი: ბარნოვის (ყოფ. გუნიბის) ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩიდან მარჯვნივ 1 უბანი). 25—1

ექ. ე. მ. მქინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. დღე 1—2 ს. და საღამო 6—8 ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

ექიმი პ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

მიღება დილით 8—9 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე.

სურამის ქუჩა № 9, სადგურის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად.

ტომსკის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი

დ. ე. კაკუტაშვილი

იღებს ავადმყოფთ შინაგან სნეულ. ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე. კრილოვის ქ. № 8. 625 25—1

ექიმი გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი „606"—„914")

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 სათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).

ექიმი მალაევი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება თვალების სნეულებაში. მიღება დილის 8—9 საათამდე, საღამოს 6—7 საათამდე. თვალის სამკურნალო, ელისაბედის ქ., 47.

ექიმი მ. ა. ლუკოვსკი

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე, ქალები—დღის 1—2 საათამდე. საპიორის ქ. № 35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

ექიმი ი. ა. შაფერ

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება 2—3 საათ. და 6—8 საათ. კურსანტების ქ. (ყოფ. კადეტის ქ.) № 6, მესამე სართული. 25—1

ქიმიურ-ბაქტერიოლოგ. კაბინეთი

ექიმ ნ. პ. ფალიაშვილის

მიიღებს ყოველგვარ მედიკურ ანალიზებს შარდის, სისხლის, ნახველის და სხვა; ვასერმანის რეაქცია (ათაშანგზე), ბაქტერიოლ. (ჭლექზე) და სხვა; ანალიზებს მიიღებს მთელი დღე. პირადათ საღამო 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა; ბაქრაძის შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ექიმი შუხმანი

ვენერიული და შარდ-სასქესო ორგანოების ავადმყოფობანი. მიღება ქალებისათვის 2—3 საათამდე, მამაკაცებისათვის—საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქ. 89. (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ).

დაბრუნდა

ექიმი ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეთი. ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათ. ლენინის (ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82

ექიმი ა. დ. პაპელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება. პლეხ. პროსპ. № 116 „ნოეს" პირდაპირ. მიღება 9—11 დილ., 4—8 საღ.

ექიმი [illegible]

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოს თი 5—8 საათ. ქალებისთვის 12—1 საათ. ასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

ექიმი ა. ს. ფუნ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი). გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა. მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38.

ექიმი ნ. გ. ახვერდოვი

დაბრუნდა გერმანიიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება ქალურ ავადმყოფობასა და მეანობაში, სინათლით მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათამდე, საღამოთი 4—7 საათამდე, ყოველ-დღე. ვერის დაღმართი № 15.

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე. სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ექიმი ი. დ. თოფურიძე

ალიხანის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33. იღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

დაიკარგა სამხედრო წიგნაკი ფორმა № 4 ლეონიძე პანტელიმონის ძე სულაკველიძის სახელზე, ჩ. გ. 672 1—1

დაიკარგა დ | სალაროს წიგნაკი № 1331, ფოთის დემშ. სალაროს მიერ მოცემული, კავშირის საწევრო წიგნაკი № 596 ფოთის ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის, პარტიული მანდატი № 5019ა7. თედორე დარისპანის ძე ხანნელიძის სახელზე, ჩ. გ. 671 1—1

დაიკარგა პასპორტი, მეტრიკული მოწმობა და ლომბარდის ქვითარი № 1216 სერგო ბოქერიას სახელზე, ჩ. გ. 670 1—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 1 დავით უშლიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 669 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, გაცემული მ | გ. მილიციის უფროსის მიერ 15 ივნისიდან 1925 წ. № 5415 თარიღით, სამუელ მზითარის ძე დარჩინიანის სახელზე, ჩ. გ. 668 1—1

დაიკარგა აღრიცხვის ბარათი მე-9 კომისარიატში აღებული ი. გელეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 667 1—1

დაიკარგა ძარღვის ხიდის აშენების ანგარიშიდან მოცემული მოწმობა № 933 მუშა აბაშიძის სახელზე, ჩ. გ. 661 1—1

დაიკარგა დამხლევე სალაროს წიგნაკი № 6406, კავშირის წიგნაკი № 866, ლითონტრესტის მოწმობა, ესტატე ლოლაძის სახელზე, ჩ. გ. 666 1—1

სამხედრო კოოპერატივი („ევკოგრუზინ") სალიკვიდაციო კომისია აცხადებს, რომ 1) გადასახადი მოწმობა № 4370 ა | წ. 26 სექტემბრიდან მოცემული თამბაქოს ქარხანა „პროლეტარი"-ს, 2) გადასახადი მოწმობა მიღებული ნახიჩევანის ქვა-მარილის სამმართველოდან № № 3350 მიმდინარე წლის 10 აგვისტოდან და 3341 მიმდინარე წლის 6 აგვისტოდან დაკარგული ჩაითვალოს გაუქმებულად. 654 1—1

დაიკარგა ჯარის წერის მოწმობა ვიქტორ დვალის სახელზე, ჩ. გ. 673 1—1

დაიკარგა განათლების კავშირის წიგნაკი № 796, კლემენტი თალაკვაძის სახელზე, ჩ. გ. 674 1—1

დაიკარგა პარტიული ბილეთი № 49358 სილიბისტრო კაპანაძის სახელზე, ჩ. გ. 674 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 11098 სასურსათო ბილეთი № 39833 და ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 410134, ნოე ფილიპეს ძე გუჯაბიძის სახელზე, ჩ. გ. 674 1—1

დაიკარგა სააღრიცხვო წიგნაკი № 33 ლონგინოზ წილოსანის სახელზე, ჩ. გ. 674 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, სამხედრო აღრიცხვის ნუსხა, პლატონ ისლანის ძე ჯღარკავას სახელზე, ჩ. გ. 674 1—1

დაიკარგა წიგნაკი № 28, მიღებული ფოთის მონადირეთა კავშირისაგან შალვა შენგელიას სახელზე, ჩ. გ. 675 1—1

დაიკარგა მთლიანი პარტბილეთი № 490046, დამხლევე სალაროს წიგნაკი № 961, საკავშირო წიგნაკი № 673, მიღებული ფოთში, ვანო ფაჩულიას სახელზე ჩ. გ. 675 1—1

დაიკარგა პირადობის წიგნაკი № 795 (ფ. № 4), მიღებული ფოთის სამხედრო მაგიდისაგან, იასონ შაბანავას სახელზე, ჩ. გ. 675 1—1

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-ს საშ წულუკიძის ქუჩა № 4